


შვიტარლობური პარეზის მხარეაჭერიტვიტ



DEFENDER

მეცვიტოვე

სამხედრო-პაბრიოტული ჟურნალი

№3 იანვარი 2019 წელი

ფასი 5 ლარი



გიორგი აბლაღაძის ფოტო

ს ა რ ჩ ე ვ ი

ქაქუცელები 3

ომის ნამდვილი სახე 5

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპული ქაქუცელები..... 6

ტყვედჩავარდნილი ზაზა მეტრეველის სიმამაცე..... 7

„სამშობლო დღესაც დასაცავია“ 8

ქართული ქვედანაყოფის მეტაური საერთაშორისო მისიაში 12

რეზერვში ჩაირიცხებიან ის ადამიანები, რომელთაც აქვთ ქვეყნის დაცვის
სურვილი და უნარი 14

სანგრების ომი დონბასზე..... 17

„საზღვაო აკადემიაში სამხედრო მიმართულება აუცილებლად უნდა აღდგეს“ 18

„ხუთი ნაბიჯი არ მქონდა გადადგმული, თითქოს გავფრინდიო,
ტყვიამ იმხელაზე გამისროლა“ 20

რუსეთის მორიგი აგრესია ქერჩის სრუტეში..... 22

ომში დავაჟკაცებული 24

„ვხედავდით, მანქანას, სადაც ჩვენი ბიჭები ისხდნენ, ცეცხლი ეკიდა“ 25

გზა გაგრიდან თბილისამდე 30

როგორ ყალიბდებოდა ეროვნული გვარდია..... 34

ქართველი სამხედროები უცხოეთში 35

„ამ გაჭირვებას ვიტან სამშობლოსათვის“ 36

საბრძოლო მაშველი 38

ზ ნ ე ნ ი..... 40

ყველაზე დიდი მარხვა სიკეთის კეთებაა 43

ღია გაკვეთილი გმირების ნავსაყუდარში..... 44

ძალდი 45

„ომში შვილებზე არავინ ფიქრობდა“ 46

შურნალი გამომდის 3 თვეში ერთხელ

ISSN 1987-5428



9 771987 542005

დამფუძნებელი და მთ. რედაქტორი: ზაირა მიქატაძე

დირექტორი: მალაქი (მამუკა) ჭანუყვაძე

მობ.: 577 00 75 10; 598 594 655

ტექნიკური რედაქტორი: ალექსანდრა კუზანაშვილი

სარედაქციო კოლეგია: მარინე მარკოზაშვილი,

გია თუხარაძე, იოსებ ჭონქაძე, ნუგზარ გომბაძე

E-mail: mikatadze.zaira@gmail.com.

რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში,
რეგისტრაციის ნომერი: 406115813

საქართველო



ეროვნული გვარდია
ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის
პოლკი

ქაქუცაშვილები

იგი 19 წლის იყო.

ნუგზარ გოგშელიძე: „1991 წლის მაისში გამიწვიეს ეროვნულ გვარდიაში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის პოლკში. სამაჩაბლოში საბრძოლო მოქმედებები რომ დაიწყო, ჩვეულებრივ, ბრძანება მოვიდა და ისე წავედი. სამაჩაბლოს შემდეგ იყო აფხაზეთი. აფხაზეთში ომის დაწყების შესახებ არაფერი ვიცოდი, რადგანაც სახლში სამდღიან შევებულებაში ვიყავი. როგორც კი გავიგე, ნაწილში დავბრუნდი. ჩვენი შტაბის უფროსს, გენერალ ნოდარ მუსხერიძეს ვუთხარი, რომ მეც მიხდოდა ომში წასვლა. ჯერ არა, როცა შემდეგი ეტაპი წავა, მაშინო, მითხრა. მაშინვე დავტოვე ნაწილის ტერიტორია, არ დაველოდე შემდეგი ეტაპის გასვლას, სამოქალაქო ავტობუსზე დავჯექი და აფხაზეთისკენ გავსწიე. ჯარს გალის მისადგომებთან დავენიე, მაგრამ ახლოს არავინ გამოიკარა. ბოლოს ქუთაისის ბრიგადის ბიჭებმა შემიკედლეს და ასე მივალწიე სოხუმამდე.

ვილს შეატყობინეს, მოვიდა და იქ რომ დამინახა, გაუკვირდა, შენ აქ რა გინდა, სახლიდან ნაწილში ხომ უნდა დაბრუნებულიყავიო?!

ასე შევეუერთდი ჩემს ქვედანაყოფს და ჩავერთე ბრძოლებში. 1992 წლის 15 სექტემბერს რკინიგზის დასაცავად მივდიოდით. ტამიშში პატარა ხიდი თურმე დანალმული ჰქონიათ. „ბემეპე“ ხიდზე შედგა თუ არა, კიდევ ავფეთქდით. მე ფეხის და თავის არეში დავიჭერი, მივიღე კონტუზია. „ბემეპე“-ს მძღოლ-მექანიკოსი, იმედა მჭედლიძე კი დაიღუპა. არადა, იმ დროს მე უნდა გავსულიყავი და მთხოვა, ახლა მე გავალ, შემდეგ კი შენ გადი, ერთი-ორი დღე მაინც შევისვენებო. მის ადგილზე მე უნდა ვყოფილიყავი...

აფხაზეთის ომში დაიღუპა ჩემი ძმა, შმაგი გოგშელიძე. ასევე, ომმა შეინირა ჩემი მეგობრები და თანამებრძოლები, რომლებმაც არანაკლებ დამწყვტეს გული: იმედა ბუბაშვილი, იმედა მჭედლიძე, ანდრო შკა-

ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკი შეიქმნა 1991 წლის გაზაფხულზე სასტუმრო „უშბაში“. მისი ჩამოყალიბება დაიწყო თადარიგის პოლკოვნიკმა ტარიელ აბუაშვილმა, პოლკის პირველი მეთაურიც სწორედ ბატონი ტარიელი გახდა. პოლკის შემდეგი დისლოკაციის ადგილი პოლიციის აკადემიის გვერდით მდებარე ტექნიკუმის შენობა იყო. ქაქუცა ჩოლოყაშვილის პოლკი ეროვნული გვარდიის შემადგენლობაში შედიოდა და მის რიგებში პირველი განვევა 1991 წლის მაისის თვეში განხორციელდა. თუ რა გზა განვლო პოლკმა, ამის შესახებ პირველ ქაქუცელებს ვესაუბრეთ. ქაქუცა ჩოლოყაშვილის პოლკის, ისე, როგორც სხვა ქვედანაყოფების მეომართა მოგონებებს, ჩვენი ჟურნალი ეტაპობრივად გამოაქვეყნებს.

„პოლიციის აკადემიის გვერდით გვქონდა დისლოკაციის ადგილი. სწავლებები და ვარჯიში იქვე, ტერიტორიაზე გვიტარდებოდა. ოფიცერსა და ჯარისკაცს შორის არაჩვეულებრივი დამოკიდებულება სუფევდა. როგორც გვარდიელები, უდიდეს სიამაყეს განვიცდიდით. ქუჩაში გამოსულებს ხალხი სიყვარულით გვხვდებოდა, ყველა გვეფერებოდა. არ არსებობდა, ფეხით გაგვევლო და ვინმეს მანქანა არ გაეჩერებინა. ასეთი სიყვარული იყო გვარდიელების მიმართ. ფიცი ქაქუცობას მივიღეთ, 1991 წლის 14 ივლისს, ახმეტის რაიონის სოფელ მატანში. ორი თუ სამი ავტობუსი ჯარისკაცები ვიყავით წასულები“, – იხსენებს პირველი გვარდიელი და ქაქუცელი, **ნუგზარ გოგშელიძე.** აფხაზეთის ომის დროს



ქაქუცელები აფხაზეთის ომში

იქ კი გიორგი ყარყარაშვილთან მიმიყვანეს. ჩემი იქ ყოფნის შესახებ პოლკის მეთაურს, ტარიელ აბუაშ-

მარიდინი, მამუკა ბენიშვილი, სლავიკა კუზმინი, ჯონი თორღვაშვილი, ნუგზარ ლომიძე, ზვიად ცერცვაძე



და კიდევ ბევრი სხვა“. ძმისა და მეგობრების დალუპვამ კიდევ მეტი პასუხისმგებლობა



ნუგზარ გომგულიძე


დააკისრა ნუგზარს. მათი ოჯახები მისახედი და საპატრონო შეიქნა. სწორედ ამან უკარნახა, 2015 წელს, არჩილ ერისთავთან, ნინო ჭკადუასთან, შალვა არჯვანიძესთან და ვლადიმერ გიკმანთან ერთად, დაეფუძნებინა ა.ა.ი.პ. ეროვნული გვარდიის ვეტერანთა კავშირი "გრაალი", რომელიც ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების მიმართ საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა, რა თქმა უნდა, შეძლებისდაგვარად.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის პოლკთან თავისი ჯარისკაცური მოგონებები აკა-

შირებს აფხაზეთის ომის ვეტერანს, დავით ჩახმახაშვილსაც, რომელიც ომში მიღებული ჭრილობების შედეგად მეორე ჯგუფის ინვალიდი გახდა.

„მეც პირველი გვარდიელი ვარ, მოხალისედ წავედი ეროვნულ გვარდიაში და ქაქუცა ჩოლოყაშვილის პოლკში მოვხვდი. მაშინ ქვედანაყოფი გლდანში იყო დისლოცირებული. ყაზარმები ჩვენ თვითონ მოვანწყვეთ, შესამაბისი ინვენტარით აღვჭურვეთ. პოლკის მეთაური იყო ტარიელ აბუაშვილი, მოადგილე კი – ტარიელ ჩქარეული. ამის შემდეგ 16 კაცი ყაზბეგში, საზღვარზე გადაგვიყვანეს. პირველი მესაზღვრეები ვიყავით და ხუმრობით პირველ მერცხლებსაც კი გვეძახდნენ. ზუსტად არ მახსოვს, ალბათ, 1991 წლის მაისის ბოლო იქნებოდა, არც გვარდია იდგა

იქ და არც რუსის ჯარი, პირველები ჩვენ ვიყავით. სოფელ სიონის ზემოთ პიონერთა ბანაკი მდებარეობდა, კომუფლიაჟში გადავღებეთ და დისლოკაციის ადგილად ვაქციეთ. ორლულიანი თოფები გვექონდა, ესეც ადგილობრივებმა მოგვცეს. მხოლოდ მეთაურს ჰქონდა „AKS“, ეგ იყო და ეგ ჩვენი შეიარაღება. ოსებსა და ქართველებს შორის ახალი ჩავარდნილი იყო ნაპერწკალი. მახსოვს, მღვდლები ამოვიდნენ ერთხელ, საყოველთაო ნათლობა უნდა ჩაეტარებინათ, სიონის ზემოთ მდებარე ეკლესიაში. სეპარატისტებმა მთებიდან დაგვიწყეს სროლა. როგორც შეგვეძლო, დავიცავით მოსახლეობა. ხალხს, როგორც პირველი გვარდიელები, ძალიან ვუყვარდით. ალ-



მარცხნივ დავით ჩახმახაშვილი



ქაქუცა ჩოლოყაშვილის პოლკთან თავისი ჯარისკაცური მოგონებები აკა-


ბათ, დღესაც ვემახსოვრებით უფროსებს ყაზბეგში. პირველი გვარდია მაინც სხვანაირად უყვარდა ხალხს. ამის შემდეგ დაინყო ომი აფხაზეთში, ბევრი დაგველუპა, ცოცხლები ვინც დავრჩით, დავიქსაქსეთ. მე თიანეთის ბატალიონში გადავედი. ორჯერ დავიჭერი, ორივეჯერ გავიპარე საავადმყოფოდან და აფხაზეთში, ჩემს ძმებთან დავბრუნდი“ – გვიყვება დავით ჩახმახაშვილი.

ომის ნამდვილი სახე

შუალაისას ქალის განწირული კვიცილი გაისმა. „დედას გეფიცები, ცოცხალია“, - ჩემამდე აღწევს მა-

მარი და დაჭრილი მეგობრის უსაფრთხოებას საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდა.

იმსვენებლებდა. გადაკოტრილდა და ნალმს ზედ გადაეფარა. კიდევ ერთი აფეთქება და... თანამებრძოლები საშინელი ფაქტის მხილველები გახდნენ. სლავიკა ადგილზე დაიღუპა. მან მალხაზი სიკვდილს გადაარჩინა. დაჭრილი მაკარი კი ბიჭებმა შემთხვევის ადგილიდან სასწრაფოდ გამოიყვანეს. მაკარმა თვალის ჩინი დაკარგა, თუმცა ეს ხელს სრულებით არ უშლის, მეგობრის საფლავზე იაროს. სწორედ იგი სლავა კუზმინის საფლავზე გავიცანი.



შუაში სლავა კუზმინი

1992 წლის 31 აგვისტოს მიმედ დაიჭრა გიგა თუთბერიძეც. ალყაში იყვნენ ქაქუცელები, დაჭრილის გამოყვანა ვერ ხერხდებოდა. ტკივილი აუტანელი გახდა, ვეღარ უძლებდა. იბრძოდნენ ბიჭები, ალყის გარღვევას ცდილობდნენ. თვითმკვლელობა გადაწყვიტა გიგამ. შეამჩნია ეს ლადო გურიელმა და ახლოს მიუჩოჩა მეგობარს. ხელი გადახვია, დამშვიდება სცადა, გამოუვიდა. მეორე დღეს ალყის გარღვევაც გამოუვიდათ ქართველ მეომრებს. გიგა თუთბერიძე სიკვდილს გადაარჩინეს...

ქაქუცელებში იბრძოდა თბილისელი რუსი, სტანისლავ (სლავიკა) კუზმინი,


მაკაცის სიტყვები, რომელიც, ცხადია, დედის დასამშვიდებლად არის წარმოთქმული. მალევე კარის გაჯახუნების ხმა გაისმის და სამარისებური სიჩუმე ვარდება. ვდგები, სასტუმრო ოთახში გავდივარ. იქვე, სავარძელში, ქალის ნაკუნებად ქცეული ხალათი გდია. უეჭველია, გოჩა ჩამოიყვანეს, მაგრამ როგორი, დაჭრილი, ცოცხალი თუ... გაფიქრება არ მინდა. ვზივარ და გათენებას ველოდები. დილით ვიგებ, რომ დაჭრილი, უფრო სწორად, დაფლეთილი ჩამოუყვანიათ.

რომელსაც ქართველებზე ნაკლებად როდი უყვარდა საქართველო. სლავა გამნადმველი იყო, თავისი საქმის ჩინებული მცოდნე. მან თითქმის მთელი ტამიშის განაღმვა შეძლო. ნალმის ამოსაღებად პირველი ყოველთვის თვითონ მიდიოდა. ხშირად ამბობდა თურმე: მენაღმე ორჯერ ცდება. ერთხელ, როცა იბადება, მეორედ, როცა ნალმზე ფეთქდება. პოლკში სლავიკა ყველას უყვარდა.

„მე შევეცდები, დაგანახოთ ომის ნამდვილი სახე“, - თქვეს ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილ სპექტაკლზე თავდაცვის აკადემიის კადეტებმა და თავისსავე დადგმულ სპექტაკლში კიდევ გვანახეს ომი და ომის ტკივილები, სპექტაკლში, სადაც მომავალმა ოფიცრებმა ქაქუცელების სახეები და სახელები გააცოცხლეს. არჩილ ოშიაძე, ზაზა გაბედავა, ლევან ფალავანდიშვილი, კახა მიქელაძე, ილია კოვზირიძე, გიორგი პაპიძე, ალექო ჩხეიძე იმ ნამდვილი ისტორიებით განასახიერეს, რომლებიც მართლაც გადახდათ თავს ქაქუცელებს აფხაზეთის

ქართველი მორაგბეები, რომლებიც იმხანად ქუხდნენ და გვრგვინავდნენ, აფხაზეთის ომის დროს ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკში ჩაენერნენ. მათ შორის იყო გოჩა მაჭავარიანიც. 1992 წლის აგვისტოს მიწურულს ეშერას მიდამოებში მოუხდათ ქართველებს სეპარატისტებთან შებრძოლება. ბრძოლაში ქაქუცელებიც მონაწილეობდნენ. მათი ნაწილი სკოლის შენობაში იყო გამაგრებული. სწორედ იქ ჩამოვარდნილი ნალმის ნამსხვრევებმა დაფლითა გოჩა მაჭავარიანის სხეული. სკოლის აივანზე იგი ერთ-ერთ ქაქუცელთან ერთად იმყოფებოდა. ელვის სისწრაფით ხან აივნის თავიდან აკაკანდებოდა ავტომატი, ხანაც - ბოლოდან. ასე იგერიებდა მტერს ერთადერთი მეო-

1993 წლის 27 მარტს დაბადების დღე განსაკუთრებულად მიულოცეს. საჩუქარი არაფერი ჰქონდათ და ხელყუმბარა აჩუქეს. მეორე დღეს კი იგი მაკარ კალმახელიძესთან ერთად ტერიტორიის გასანაღმავად გაგზავნეს. აქ უმტყუნა ბედისწერამ. ნაწვიმარზე თავდაღმართში ფეხი დაუცურდა, დაეცა და კიდევ აფეთქდა. დაიხედა, ცალი ფეხი მოწყვეტოდა. დაინახა მალხაზ გვარამაძემ, მაკარს მთელი სახე სისხლიანი ჰქონდა, სლავიკაც სისხლში ცურავდა და მისაშველებლად გაიქცა. ადვილად მიხვდა გამნადმველი, იქვე მეორე ნალმიც იქნებოდა, რომელიც თანამებრძოლს



ომში. როგორც ომში, ისე სცენაზე და ისე ომისა და სცენის მიღმა აგერ, 25 წელია, არ ასვენებთ ბიჭებს დაღუპული თანამებრძოლების აჩრდილები...

ზაირა მიქაბაძე

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული ქაქუხელები

არტურ აივაზიანი დაიბადა 1973 წლის 19 სექტემბერს ოზურგეთის რაიონის სოფელ ნასაკარალში. დაამთავრა საშუალო სკოლა მშობლიურ სოფელში. ნასაკარალის მეურნეობაში მუშად მუშაობდა, როდესაც აფხაზეთში ომი დაიწყო. იგი ქაქუცა ჩოლოყაშვილის პოლკის შემადგენლობაში იბრძოდა. არტური რადიოკავშირზე ოპერატორი იყო, P-159-ის რადიოსადგურით. 1993 წლის 2 ივლისს, ტამიშის დესანტის წინააღმდეგ ბრძოლაში, იგი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. დაკრძალულია სოფლის სასაფლაოზე. სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით.

არჩილ ოშიაძის მოგონებებიდან: „... როდესაც ტანკმა სელა შეანელა, ალბათ, წინათვრძნობა თუ იყო, დავაკვირდი არტურს, რომელსაც მუქი კანისფერი სულ მთლად გაფითრებოდა. მისი პატარა, როგორც თავად იტყოდა, „ჯორკოდან“ წამოდგომა და გასროლა ერთი და იგივე იყო. გასროლა იმდენად ახლო იყო, რომ წნევამ ყველანი აქეთ-იქით მიმოგვფანტა. თვალებიდან არ ამომდის ის მომენტი, როცა ტანკის გასროლის შემდეგ ჭურვისგან გაგლეჯილი არტურის სხეული ჰაერში მიფრინავდა და ამ დაფლეთილი ადამიანიდან კიდევ ამოდოდა ღრიალის ხმა“.

ლარი ბაინდურაშვილი დაიბადა 1964 წლის 26 იანვარს ქ. თბილისში. დაამთავრა თბილისის 85-ე საშუალო სკოლა. ქაქუცა ჩოლოყაშვილის პოლკში იგი ოცმეთაურად მსახურობდა. ჯერ იყო სამაჩაბლო, სადაც მძიმედ დაიჭრა და მკურნალობდა სამხედრო ჰოსპიტალში. როგორც თანამებრძოლები ამბობენ, მისი თავი ოს სეპარატისტებს 5 მილიონ რუბლად ჰქონდათ შეფასებული. ჭრილობები მოშუშებული არ ჰქონდა, როცა აფხაზეთში წავიდა საბრძოლველად. 1993 წლის 24 სექტემბერს სოხუმში, ახალდაბის მისადგომებთან, მტრის შემოტევის მოგერიების დროს გმირულად დაიღუპა. მაიორი ლერი ბაინდურაშვილი სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

ვახტანგ გიჩელაშვილი ავთიაქის გამგედ მუშაობდა, როდესაც ეროვნული გვარდია ყალიბდებოდა. მან საყვარელი საქმეც მიატოვა და პატარა ქალ-ვაჟიც, თამარიც და ზურაბი. გამომშვიდობა ოჯახს და ახალშექმნილ ქართულ ჯარს მიაშურა. გვარდიის შექმნის დღიდან ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკში მსახურობდა. „ჩემო ნუნუ, შენ ნურაფერს იდარდებ, რაც უნდა მოხდეს, გახსოვდეს, არასოდეს ვყოფილვარ სამშობლოს მოღალატე. ბიჭები მიბრახდებიან, რა სულ წინ მიიწევი, ხომ ხედავ,

ტყვია არავის ინდობსო. სხვაგვარად როგორ იქნება, რომ განახა აქაური ამბები, შენც მომიწონებდი თავგანწირვას“, - წერდა ომიდან მეუღლეს ვახტანგ ბიჩელაშვილი. იგი გმირულად დაიღუპა სოხუმის მისადგომებთან. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენით.

გამუკა ბროლაძე დაიბადა 1972 წლის 22 თებერვალს კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქში. იგი მოხალისედ ჩაირიცხა ქაქუცა ჩოლოყაშვილის პოლკში. დაკრძალულია სოფლის სასაფლაოზე.

გამუკა ბაინაშვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის პოლკის მეგრძოლი, 1992 წლის 31 აგვისტოს საბრძოლო მოქმედებით გადავიდა მდ. გუმისთაზე ეშერას მიმართულებით. „ჩვენი პატარა ვაჟუაცი კაცი“, - ასე იხსენებენ მას თანამებრძოლები. მათი თქმით, იგი თავისი პი-



რადი თვისებებისა და შემართების გამო მოხვდა სადაზვერვო ასეულში, რომელიც ძველმსახური სამაჩაბლოს ომგამოვლილი სამხედრო მოსამსახურეებით იყო დაკომპლექტებული. მამუკა ბაინაშვილი გმირულად დაიღუპა ეშერის სკოლის ეზოში 1992 წლის 1 სექტემბრის ღამეს.

ოთარ გაბუა დაიბადა 1954 წლის 13 ნოემბერს სოხუმში. დაამთავრა სოხუმის მე-11 საშუალო სკოლა. იბრძოდა ჯერ სამაჩაბლოში, შემდეგ კი - აფხაზეთში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის პოლკის შემადგენლობაში. 1993 წლის 21 სექტემბერს, სოხუმზე შემოტევის დროს, სოფელ ბირცხაში მოხვდა მტრის ალყაში. ტყვედ ჩავარდნას სიკვდილი არჩია. მოწინააღმდეგის მოახლოებისას ყუმბარა გასხნა და თავი აიფეთქა. დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისათვის“ და ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით.

ჯონი თორღვაშვილი დაიბადა 1968 წლის 13 ოქტომბერს ჭიათურაში. სამხედრო სავალდებულო სამსახურს ავღანეთში გადიოდა. დედას კი ატყუებ-

და, მონოლოგით ვარო. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ, 1991 წელს, მოხალისედ ჩაენერა ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკში. ჯერ სამაჩაბლოში იბრძოდა, სადაც მკლავში დაიჭრა. ჭრილობამოშუშებელი აფხაზეთის ომში ჩაება. იგი მაგალითი იყო თავისი თანამებრძოლებისათვის. 1993 წლის 2 ივლისს, რუსეთის დესანტის გადმოსხმისას, ჯონი თორღვაშვილმა შეძლო, გაერღვია ალყა და თანამებრძოლები გამოეყვანა. შემდეგ ბიჭები შშირად ამბობდნენ, რომ არა ჯონი, ცოცხალი ვერცერთი გამოვიდოდითო. თვითონ კი სიცილით პასუხობდა, მე ტყვია არ მეკარება, მთავარია, ნალმზე არ აფეთქდე, არ მინდა დასახიჩრებული სიცოცხლეო. 1993 წლის 24 სექტემბერს, სოხუმის დაცემამდე სამი დღით ადრე, ახალდაბასთან გამართულ უთანასწორო ბრძოლაში, დაჭრილი მეგობრის ფრონტის ხაზიდან გამოყვანის დროს, მასთან ერთად, ჯონი წნორედ ნალმზე აფეთქდა. სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

რაზო შუშანაშვილი დაიბადა 1953 წლის აპრილში. ოფიცრის ნოდება სამხედრო სავალდებულო სამსახურში მიიღო. ქაქუცა ჩოლოყაშვილის პოლკის შექმნისთანავე ამ პოლკის ფეხოსანთა ბატალიონის უფროსი გახდა. იგი იყო გამჭრიახი და უშიშარი მეთაური. თავისი მოვალეობის შესრულებას ყველას მკაცრად სთხოვდა. უდისციპლინობას არავის პატიობდა. ბრძოლის წინ ბიჭებს მამაშვილურად ეფერებოდა და არიგებდა. საბრძოლველად როცა გადიოდნენ, თურმე ასაკოვნებს ამოარჩევდა და წინ იმათ გაიყოლებოდა, ახალგაზრდები კი უკან მიჰყვებოდნენ. ეშერაში დაღუპულ თანამებრძოლებს მოასვენებდა დუშეთში, როდესაც ცაიშთან მუხთალმა ტყვიამ იმსხვერპლა. რეზო შუშანაშვილი სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენით იქნა დაჯილდოებული.

ბიზ ბაქარაშვილი 1992 წლის 12 აგვისტოს მოხალისედ ჩაირიცხა ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკში. იგი აქტიურად მონაწილეობდა აფხაზეთის რეგიონში მიმდინარე საომარ მოქმედებებში. კერძოდ: ტამიშთან, ეშერასთან, კელასურთან... მეგომრების გადმოცემით გაი იყო უღალატო, ერთგული, მამაცი, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული. 1992 წლის 19 ნოემბერს იგი გმირულად დაიღუპა სოხუმთან მოწინააღმდეგის შემოტევის მოგერიების დროს.

ბრიგოლ გიჭინაშვილი 1992 წლის 28 აგვისტოს მოხალისედ ჩაირიცხა ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკში. პოლკის პირად შემადგენლობასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა ყველა

საბრძოლო მოქმედებაში. 1992 წლის 31 აგვისტოს, ეშერის სკოლის გათავისუფლებისას, იგი დაიღუპა გამირულად. დაღუპვის მომენტში მასთან ერთად იბრძოდნენ პოლკის სამეთაურო რგოლიდან პოლკოვნიკი ტარიელ ჩქარეული და რიგითი ბოლქვაძე. სწორედ მათ

გამოიყვანეს მიცვალებული ბრძოლის ველიდან. გრიგოლ ბიჭინაშვილი თბილისში, ძმათა სასაფლაოზეა დაკრძალული.

1993 წლის 2 ივლისს, რუსული დესანტის წინააღმდეგ ბრძოლაში ოჩამჩირის ფრონტზე გამირულად დაეცნენ

ბრძოლის ველზე ქაქუცა ჩოლოყაშვილის პოლკის მეზობლები: არტურ აივაზიანი, ნიკოლოზ იმნაძე, გიორგი პაპიძე, როინ მიროტაძე, თემურ ცუცქირიძე, ოლეგ შევჩენკო, ვალერი ტარასენკო, ფრიდონ ნეფარიძე, გოჩა ჭინჭარაული.

მცვედრავარდნილი ზაზა მეზრველის სიბაბაძე



ქაქუცა ჩოლოყაშვილის პოლკის მეზობლის, პოლკოვნიკ არჩილ ომიადის მოგონებებიდან: „ზაზას და კიდევ ჩვენს ერთ თანამებრძოლს, ჭიათურელ თემურ ცუცქირიძეს თორმეტი დახვეწილი მეგობრის სამარე გააჭრევინეს და დაამარხინეს, ხოლო თავად ისინი ერთ-ერთ საველე შტაბში გადაიყვანეს. მთელი ღამე თეთრად გაათენეს ბიჭებმა ამ

თავზარდამცემი ამბის მერე და თითქმის შეეგუენ იმას, რომ მათაც იგივე ბედი ელოდათ. მეორე დღეს, ორთავეს ბარები მისცეს და ორმა აფხაზმა ისინი ამჯერად თავიანთი საფლავების გასათხრელად წაიყვანა. როგორც ზაზა მოგვიყვია, მან თემურს ანიშნა, ბარებით თავს დასხმოდნენ ბადრაგს და გაქეულიყვნენ. მაგრამ, ალბათ, ადამიანი იმედის უკანასკნელ

ნაპერნკალსაც ეპოტინება და მიუხედავად იმისა, რომ თემური სიკვდილთან შესახვედრად მიდიოდა, მანაც ვერ გაბედა ამის გაკეთება. ხოლო რაც შეეხება ზაზას, ალბათ, სწორი არჩევანი გააკეთა. ათი წუთით ადრე მოკვდებოდა თუ გვიან, ამას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მან ბარი მოისროლა და ზიგზაგისებური სირბილით თავქვე დაემუცა. ტანად მორჩილი მეტრეველი ორი ავტომატიდან გახსნილ ცეცხლს ოსტატურად იცილებდა. მალე შეიბრინა ტყეში და როგორც კი ოდნავ მოეფარა მდეგრის თვალს, ერთ-ერთ ხეზე აძვრა და შეინიღბა. ძალიან ბევრი მონინააღმდეგე ექებდა მას. იმ ხესთან კიდევ მოისაქმა რამდენიმემ, მაგრამ მისმა სიმტკიცემ და გონიერებამ იგი არ გასცა. სამი დღე ხეზე იყო. შემდეგ კი ღამის საფარქვეშ ნელ-ნელა ჩამოვიდა ხიდან და სამი დღის განმავლობაში მონინააღმდეგით სავსე ტერიტორიაზე უიარალო დიდი სიფრთხილით გადაადგილდებოდა. ასე წვალებ-წვალებით, 9 ივლისს ჩვენი ძალების განლაგებებთან გამოვიდა კინდლის მიმართულებაზე. ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ ადამიანმა ბრძოლა არ უნდა შეწყვიტოს“.

დაღუპული გმირების სულები ვერ გაეახარეთ თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი გიორგი თუხარელი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის პოლკის უფროსი 1993-94 წწ-ში:

„პოლკში ვიყავი ოცმეთაურიც, ასმეთაურიც, სატრანსპორტო განყოფილების უფროსიც და ა.შ. ბოლო თანამდებობა კი პოლკის მეთაურობა იყო. წამოვედი ემიგრაციაში, რადგან, როგორც ყველა ქართველმა, მეც ვიფიქრე, ამერიკაში დიდ თანხას ვიშოვიდი. საქართველოში ბიზნესს დავინწყებდი, შევკრებდი ჩემს ნაომარ მეგობრებს, გავფართოვებოდი და ვიცხოვრებოდი ერთად შრომაშიც, ჭირშიც, ლხინშიც... მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, ოცნება ოცნებად დარჩა, მთლად ისე ვერ არის საქმე, როგორც ვფიქრობდი...“

ვფიქრობ სამშობლოში დაბრუნებაზე, რადგანაც არ მეგულდება ადამიანი, რომელსაც საკუთარ ქვეყანაში დაბრუნება არ უნდოდა. გვარის გამგრძელებელი შემეძინა ამერიკაში. ორჯერ იყო საქართველოში. მას მერე სულ მეკითხება, როდის დავბრუნდებით საქართველოში საცხოვრებლადო?!

ვარ სამშობლოდან მოშორებით და გულით ბევრ ტკივილს დავატარებ. პირველი ის, რომ დაღუპული გმირების სულები ვერ გაეახარეთ, ვერ გაეაკეთეთ ის, რასაც მათ გამირულად

შესწირეს თავი - ვერ დავიბრუნეთ ჩვენი მიწები ამ ხნის განმავლობაში. მეორე გულისტკივილი - მინდა იმ ბიჭებს, რომლებიც ომებს გადაურჩნენ, მადლობა ვუთხრა ვაჟკაცობისთვის, მამაკაცობისთვის... მინდა, ყველა ლაშაზად და კარგად ცხოვრობდეს თავის ოჯახთან ერთად ამ ჩვენს ღვთისგან დალოცვილ მიწა-წყალზე, ჩვენს



გიორგი თუხარელი ქალიშვილთან ერთად

ქვეყანაში, ჩვენს სამშობლოში, ჩვენს საქართველოში. მესამე გულისტკივილი - ნეტავ, როდის დამიდგება ის ბედნიერი დღე, როდესაც დავბრუნდები ჩემს სამ-

შობლოში და დაეტკები ჩემი ღამაზი ქვეყნით და ერთი. მე ქართველი ვარ სულით და ხორციით, დროებით გადახვეწილი უცხო ქვეყანაში.

რაც შეეხება იმედს, ღრმად ვართ დარწმუნებული, საქართველო იქნება ერთ-ერთი საუკეთესო სახელმწიფო, სადაც ყველა ქვეყნიდან მოსული ტურისტები, კიდევ მრავალჯერ ჩამოვა კეთილი ზრახვებით. დაისადგურებს მხოლოდ და მხოლოდ კარგის მოლოდინი, მშვიდობა, მეგობრობა, სიყვარული და არა იქნება ომი, ნგრევა და სიძულვილი.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჯარისკაცი მონწყვეტილია თავის ოჯახს, მეგობრებს, ნათესავებს, ახლობლებს, რათა მტრისგან დაიცვას თავისი ქვეყანა. ყველა ჯარისკაცი ფიქრობს გმირობის ჩადენაზე, ვაჟკაცობაზე, მაგრამ მათ ეს არ უფასდებათ. გმირები და დაინვალიდებული მეომრები ერს მანამ ავინწყებთ, სანამ თავიანთ პირადს არ შეეხება. მინდა, ჯარისკაცებს ვუსურვო დღეგრძელობა, შინ მშვიდობით დაბრუნება. ესარგებლობ შემთხვევით და მივმართავ მათ: ბიჭებო, ყოველთვის იყავით ის, ვინც ხართ. თქვენა ხართ ქვეყნის გული და სული. თქვენზეა ერის და ქვეყნის გადარჩენა. მიყვარხართ ყველა. ალბათ, ერთი დიდი ბრძოლა მოგვიწევს მტერთან და მე, ყოფილი ოფიცერი, თქვენს გვერდით დავდგები, როგორც რიგითი. სამშობლოს და ერის დაცვა ჩვენი ცხოვრების დიდი ნაწილია“.

„საფორტო დღესაც დასასაზრია“



თამარ კიკნაძე ეროვნული გვარდიის ოცეულთან ერთად

ქართველი
ჭარის ყაფი
ქალი
აფრიკის
მისიიდან

საქართველოს სამხედრო კონტინგენტი ევროკავშირის სამშვიდობო მისიას ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში 2014 წლის 8 ივნისიდან ასრულებს. ეს არის დასტური იმისა, რომ საქართველო იცავს ევროკავშირთან შეთანხმების პირობებს, კონკრეტულად, ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში (CSDP), ევროკავშირის კრიზისების მართვის ოპერაციებსა და მისიებში საქართველოს მონაწილეობის პირობას. 2015 წლის 16 მარტს, ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ახალი მისია დაიწყო – სამხედრო მრჩეველთა მისია (EUMAM RCA), რომლის მიზანია, დახმარება გაენიოს ადგილობრივ ხელისუფლებას შეიარაღებული ძალების რეფორმის განხორციელებაში. ევროკავშირის სამხედრო-საწვრთნელი მისიის ფარგლებში, აფრიკის ცენტრალურ რესპუბლიკაში მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცებაში წვლილის შეტანით, ქართველი ჯარისკაცები საქართველოს წარმოაჩენენ, როგორც ევროკავშირისათვის სანდო პარტნიორ ქვეყანას.

დღეს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქ ბანგიში, აღნიშნული მისიის ეგიდით, ეროვნული გვარდიის ნაკრები ქვეითი ოცეული იმყოფება. ჩვენი ბიჭებისთვის საამაყო ის, რომ მსოფლიო უსაფრთხოების დაცვასა და სტაბილურობაში მათაც შეაქვთ თავიანთი წვლილი, რაც თავის მხრივ, ქართველი ჯარისკაცების პროფესიონალიზმის შეფასებასა

და დაფასებას ნიშნავს. გარდა ამისა, იმ გამოცდილების გაზიარება, თუ რა სტანდარტებით ხელმძღვანელობენ ევროკავშირის ქვეყნები მსოფლიოს სტაბილურობაში, ქართველი ჯარისკაცებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

აფრიკის ოთხნობიანი მისიას უჩუმრად არ ჩაუვლია, იყო სკანდალიც, რომელმაც ჩვენი ბიჭების პროფესიონალიზმსა და ჰუმანიზმს ჩრდილი ვერ მიაყენა. პირიქით, მოსახლეობა, განსაკუთრებით კი პატარები, მათგან დიდ სიბოძს იღებენ. შეიძლება ითქვას, რომ რელიგიურ ნიადაგზე წარმოქმნილ დაპირისპირებაში კოალიციის ჯარების მფარველობის ქვეშ ადგილობრივები თავს უფრო დაცულად გრძობენ.

ალბათ, უმჯობესია, საზოგადოებაში იცოდეს, ვინ იღებს მონაწილეობას საერთაშორისო მისიაში, ვინ წარმოაჩენს ქართველი ჯარისკაცის სახელს და სამშობლოს... დღეს ყურადღება პოლიციის მაიორ თამარ კიკნაძეზე შევჩერეთ, პირველ ქალზე საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან, რომელიც ევროკავშირის საერთაშორისო მისიის ეგიდით ცენტრალურ აფრიკაში, კერძოდ, დედაქალაქ ბანგიში იმყოფება.

თამარ კიკნაძე აფხაზეთის ომის გმირის, გოგიტა კიკნაძის ოჯახიდანაა. მეორე შეილიშვილი რომ შეეძინა, ავღანეთის მისიაში იმყოფებოდა. ჯარისკაცმა ბებომ პატარა გაბრიელი ექვსი თვის შემდეგ გაიცნო. მანამდე ჩვილს ინტერნეტით ესიყვარულებოდა. თამარი გადმოგვცემს, თუ როგორი რეაქციები აქვთ ნიკოლოზს და გა-

ბრიელს ფორმიანი ბეზოს დანახვაზე, თურმე პატარებს სიამაყის ჟრუანტელი უვლით. ორივეს ძალიან უყვარს ფორმა და მათაც ჯარისკაცობა სურთო, გვეუბნება. თამარმა შსს-ს სტრუქტურებში 11 წელი დაჰყო. თავდაცვის უწყებაში კი ხუთი წელია, მსახურობს. საერთაშორისო მისიებში მისი მოვალეობა წესრიგის დაცვაზე ზრუნვაა. სამხედრო პირისთვის დამახასიათებელი სიმკაცრე და დედობრივი მზრუნველობა თამარს თანაბრად ახასიათებს, რაც თავისი მოვალეობის პირნათლად შესრულებაში დიდად ეხმარება.

ქალბატონმა ელენე აფციაურმა-კიკნაძემ სამი შვილი გაუზარდა სამშობლოს: გოგიტა, მაია და თამარი. აფხაზეთში ომი რომ დაიწყო, გოგიტა 17 წლის იყო, პოლიციის უმაღლესი სკოლის პირველ კურსზე სწავლობდა. 20 წლის ვარო, უპატაკა უფროსს და ამგვარი ტყუილით შეძლო, ჩვენი ბიჭების კვალდაკვალ თვითონაც ომის ქარ-ცეცხლში გახვეულიყო. როგორც ასაკით პატარას, მეომრები საბრძოლო მოქმედებებში ჩაბმას უშლიდნენ. გაგრის ბრძოლებისას ჯავშანტრანსპორტიორიდან გადმოსვეს, მაგრამ ხელახლა ჩაუხტა მათ. საბრძოლო მანქანა, რომელშიც გოგიტა იჯდა, მტრის სამიზნე გახდა. დაჭრილი ჯარისკაცი აფეთქებული ჯავშანტრანსპორტიორიდან სამედიცინო მანქანაში გადაიყვანეს. როგორც ჩანს, მართლაც განწირული იყო ეს ღიმილის ბიჭი და ახლა სამედიცინო მანქანას მოხვდა ჭურვი. აქ წყდება გოგიტას სიცოცხლეც და კვალიც. გოგიტა ჯერჯერობით უსა-



ფლავო გმირია. წყდება მისი სიცოცხლის გზა, და სამაგიეროდ, ახლდება და მეორდება ისტორია. თამარზე წერაც, გარკვეულწილად, გოგიტას ისტორიის გამეორებაა. ხოლო მისი გზა – გოგიტას გზის გაგრძელება. ამას არც თვითონ უარყოფს, როცა ამბობს, რომ დების მიერ შეირალებული ძალებისკენ გეზის აღება სწორედ რომ გოგიტას ფაქტორმა განაპირობა. გზასაც გოგიტა უკაფავს და ძალასაც გოგიტა აძლევს. როგორც ამბობს, თავადაც ძალიან ჰგავს ძმას, სამართლიანი, მომთხოვნი და საქმეში პირველი. იგი პირველი ქალი იყო სამხედრო პოლიციიდან ავღანეთის სამშვიდობო მისიაში. დღეს კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკვე შეირალებული ძალებიდანაა პირველი ქალი აფრიკის საერთაშორისო მისიაში.

ჩვენი საუბარი ინტერნეტით შედგა. დამათვალეირებინა ოთახი, სადაც ქართველი მაიორი ქალი ცხოვრობს. სიცილით მანიშნებს ბადეში შეფუთულ სანოლზე, რომელიც ძილის დროს მალარიისა და სხვა ინფექციების გადამტანი კოლოებისგან იცავს. მართალია, როგორც ჯარისკაცს, რომელსაც ექვსი თვე აფრიკის ურთულეს კლიმატურ პირობებში უხდება ცხოვრება, შესაბამისი აცრები ჩატარებული აქვს, მაგრამ, როგორც იტყვიან, სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

თამარი მისიას ეროვნული გვარდიის ნაკრებ ქვეით ოცეულთან ერთად ასრულებს. ოცეულის მეთაური 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილე, კაპიტანი კახა ასათიანია. თამარი კახას საუბრის დასაწყისშივე ახასიათებს: ორგანიზებული, მონესრიგებული, დისციპლინებული ოფიცერი, რომელიც ყოველთვის

კეთილსინდისიერად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ოცეული, რომელსაც კახა ასათიანი მეთაურობს, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე სამხედრო-საწვრთნელ მისიაში EUTM RCA, 6 თვის განმავლობაში, ფრანგული სარდლობის დაქვემდებარებაში იღებს მონაწილეობას. კონტინგენტი დედაქალაქ ბანგოში ბაზა „უკატექსზეა“ განთავსებული. ქართველი მშვიდობისმყოფელების მთავარ ამოცანას ბაზის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მოტორიზებული პატრული, კონვოირება და გაცილება წარმოადგენს. მქონდა პატივი, გავსაუბრებოდი ნაკრები ოცეულის მეთაურს, კახა ასათიანსა და მისიის პირველ ქართველ ქალ მონაწილეს, თამარ კიკნაძეს. მათთვის გიორგობის დღესასწაული მიმელოცა და შინ მშვიდობით დაბრუნება მესურვა.

ავღანეთის მისიაში, ქაბულის ბაზაზე, თამარის ოთახი ბაზის კედლიდან რამდენიმე მეტრით იყო დაშორებული. ხუმრობით ვუთხარი, ისე ახლოს ხარ ქუჩასთან, თალიბებმა რომ მოინდომონ, ბომბს პირდაპირ ფანჯარაში შემოგადებენ-მეთქი. იცინოდა, რადგანაც შიში შორსაა მისგან და საერთოდაც, ნამდვილ ჯარისკაცში საფრთხე, რაც უნდა რეალური იყოს იგი, შიშს არ ინვესს. ყველაზე დიდი შიში ამოცანის შეუსრულებლობას მოჰყვება და ამიტომაც ქართველი ჯარისკაცები თავს არ ზოგავენ ყველგან, სადაც კი შეიძლება, ქართული ჯარის სახელი და დიდება დატოვონ.

თამართან საუბრისას გვერდი ვერ ავუარე გოგიტას ისტორიას. უფრო

მეტიც, როცა ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს ვესაუბრები, რაც უნდა დამსახურებულნი იყვნენ ისინი, თავს მოვალედ ვთვლი, საუბარი სწორედ გმირის გახსენებით დავიწყო. რა თქმა უნდა, წესი არც თამართან საუბრისას დამირღვევია.

– თამარ, რამ მიგიყვანათ იმ გადამწყვეტილებამდე, რომ თქვენ და თქვენი დაც, მაიაც, საქართველოს შეირალებულ ძალებში ყოფილიყავით, ხომ არ გამოიწვია ეს თქვენი ძმის, გოგიტას ფაქტორმა?

– რა თქმა უნდა, ეს პირველ რიგში, ჩვენი ძმის ფაქტორმა განაპირობა. მიუხედავად იმისა, რომ ომისთვის ძალიან პატარა იყო, იგი სამშობლოს ერთიანობის დაცვაზე ოცნებობდა. ოცნება კი აიხდინა, რასაც შეეწირა კიდევაც, მაგრამ სამშობლო დღესაც დასაცავია. ჩვენი ძმის სიკვდილით მოყენებულ ტკივილს ვერც მე და ვერც მაიას, ვერაფერი გაგვიყურებს, მაგრამ ისიც შეგნებული გვაქვს, რომ იმ საქმეს, რისთვისაც გოგიტამ სიცოცხლე გაიმეტა, გაგრძელება სჭირდება, და ჩვენც ვაგრძელებთ, რაც შეგვიძლია.

– როგორ გაიხსენებდით თქვენს ძმას? რა იღო 17 წლის ჭაბუკში ისეთი, რამაც ომში წასვლა გადაწყვეტინა?

– გოგიტა იყო ყველაზე ნაბოლარა დედამამიშვილებში. ბავშვობიდანვე გულღია, თბილი და ნამდვილი ვაჟკაცი იყო. ძალიან მიკვირს, ამხელა სიყვარულის მოხვეჭა როგორ მოასწრო ამ პატარა ბიჭმა. ვინც იცებს, რომ გოგიტას და ვარ, სულ სხვაგვარი პატივისცემით იმსჯელება ჩემ მიმართ. ხასიათითაც მე და გოგიტა ძალიან ვგავართ ერთმანეთს. ვერ იტანდა, როდესაც სუსტი იჩაგრებოდა. უყვარდა პირველობა, ძალიან სამართლიანი იყო. გამორიცხული იყო, მის გვერდით ვინმეს ვინმე დაეჩაქრა. ერთ ამბავს გავიხსენებ: სკოლა ახალი დამთავრებული ჰქონდა. ერთ ბიჭს მეორესთან კამათი მოსვლია. ამას უთხოვია, გაჩერდით. არ გაჩერებულა და იმდენი ქნა, გოგიტას თავი გააღახინა. ჩაცმითაც ძალიან მოწესრიგებული ბავშვი იყო. სულ შარვალკოსტუმით დადიოდა. ჩვენს უბანში ვისაც არ უნდა ჰკითხო, ყველას ახსოვს ის კოპნია ლიმილის ბიჭი. არ დამეხესო, კოსტუმი გაუხდია და ისე უცემია. მერე, ამოვიდა სახლში, იჯდა და ნერვიულობდა, ძალით მაცემინა თავი. ძალიან სხვანაირი იყო. ფორმაზე უზომოდ შეყვარებული. ექვსი წლისას დედამ მეზღვაურის ფორმა შეუკერა. გიჟდებოდა, ისე უხაროდა. სულ იმას

ამბობდა, სამხედრო კაცი უნდა გამოვიდეთ. თვითონ ვერ აიხდინა, მაგრამ მე ავუხდენ იმ ოცნებას და ვუხდენ კიდევ, ვცდილობ, ყველგან პირველი ვიყო და არც მე მიყვარს, სუსტს რომ ჩაგრავენ.

– ის დღე თუ გახსოვთ, როცა ომში წავიდა?

– ჩვენ არ ვიცოდით, რომ ომში მიდიოდა. შევარდნაძის აგარაკის დაცვაზე იყო წასული. მერე გავიგეთ, რომ პატაკი დაუწერია და ომში წასულა. 25 აგვისტოს სახლში მოიბრინა. სამხედრო ფორმა გამომზადე, დილით ადრე უნდა წავიდეო, დედას უთხრა. დილით ადრინადა გავიდა. 27 აგვისტოს პოლიციის უმაღლესი სკოლის კურსანტები, მათ შორის თურმე ჩემი ძმაც, გაგრაში ჩასულან. ჩვენ არაფერი ვიცოდით. მესამე დღეს გაიგო დედამ, მაშინ, როდესაც სასწავლებელში მივიდა და გოგიტას ამბავი იკითხა. იქ კი მისი ხელით დანერილი პატაკი უჩვენეს: „ვარ 20 წლის, კარგად ვფლობ იარაღს, გთხოვთ ჩამწეროთ აფხაზეთში წამსვლელთა სიაში“. 2 ოქტომბრამდე სახლში რამდენჯერმე დარეკა, დედაჩემი ეხვეწებოდა, ჩამოდი, ძალიან მენატრებიო. გოგიტა ცივ უარზე იდგა, ეგ ხომ ლალატის ტოლფასი იქნებაო. ყოველ ფეხის ხმას ვიყავით ჩასაფრებული, გვეგონა, კარი გაიღებოდა და გოგიტა შემოვიდოდა. 29 სექტემბერს კვლავ დარეკა. სიამაყით გვითხრა, პოლიციის ლეიტენანტი გავხდით. თურმე მისი ბოლო ზარი და უკანასკნელი სიხარული იყო...

1992 წლის 2 ოქტომბერს, როდესაც გაგრაზე მასირებული შეტევა დაიწყო,

ჩემი ძმა, სხვა თანამებრძოლებთან ერთად, საბრძოლო მანქანით ქალიქისკენ მიიწვედა. ნახევარი ქალაქი გაუვლიათ, მერე ინტენსიური სროლა ამტყვდარა და მონინააღმდეგის საბრძოლო მანქანიდან გამოსროლილმა ჭურვმა ჯავშანტრანსპორტიორი, სადაც ჩემი ძმა იჯდა, ცეცხლის ალში გაახვია. ალექო დათებაშვილი, სერგო დავიდოვი და ჩემი ძმა ცოცხალმკვდრები ამოიყვანეს ჯავშანტრანსპორტიორიდან. დაჭრილები ბრძოლის ველიდან სასწრაფოდ უნდა გაეყვანათ, ის იყო, სამედიცინო მანქანაში მოათავსეს, დაიძრნენ და მანქანაც აფეთქდა. ეს ამბავი მოგვიანებით გავიგეთ...

– თამარ, დედაზე მინდა გკითხოთ. რას იტყვით იმ ქალზე, რომელმაც სამშობლოს სამი დამცველი გაუზარდა, როგორ გზრდიდათ შვილებს, რა სულისკვეთება ჩადო თქვენში?

– ბავშვობიდან გვიყვებოდა გმირებზე. გვიკითხავდა პატრიოტულ ლექსებს. სამშობლოს სიყვარულს შთაგვაგონებდა. დღევანდელ თაობაშიც ეს არის უმთავრესი, მოზარდს სკოლის ასაკიდანვე უნდა ასწავლო სამშობლოს სიყვარული. როცა ბავშვი იზრდება, ის სიყვარულიც იზრდება მასთან ერთად. მითუღია დედაჩემი, ძალიან სამართლიანი, ამაყი და პატრიოტი ქალია. შვილებსაც ამ პინციპებით გვზრდიდა.

– როცა მაია 2008 წლის აგვისტოს ომში წავიდა (თუ არ ვცდები, იგი ორსულად იყო), დედისგან არ ჰქონია წინააღმდეგობა, მითუმეტეს, რომ ერთი შვილი დაკარგული ჰყავდა ომში?

– როცა მაიკო წაიყვანეს, არავის ეგონა, რომ საომარი მოქმედებები დაიწყებოდა. ზუსტად იმ ღამეს აირია სიტუაცია.

– გაუშვა ერთი შვილი სამსახურეობრივი მოვალეობის შესასრულებლად და აღმოჩნდა ომში, მეორე შვილი გაუშვა და ისიც ომში აღმოჩნდა. მესამე შვილი მსოფლიოს ყველაზე ცხელ წერტილში მიდიოდა – ავღანეთის მისიაში. ამას როგორ შევხვდა დედა?

– ეს მითხრა, შვილო, ყველგან ჩემი შვილები როგორ უნდა იყვნენ წინო?! იცოდა, რომ პირველი ქალი ვიყავი სამხედრო პოლიციიდან. ნათქვამი მქონდა, როცა გაიგებენ, გოგიტა კიკნაძის და ვარ, ამით ჩემს ძმას ვასახლებ-მეთქი. დავამშვიდე, ნუ გეშინია, ყოველდღე დაგირეკავ-მეთქი. და ასე ლამაზად შევაგუე ჩემს წასვლას. წინააღმდეგობას აზრი არც ჰქონდა, დედამ იცის, ჩემს გადანყვებილებას ყოველთვის რომ სისრულეში მოვიყვან.

– ავღანეთში ორჯერ იყავით. ამჯერად იმყოფებით აფრიკაში. რომელი მისია უფრო რთული?

– ყველა მისია ინდივიდუალურია და განსხვავებულია თავისი სპეციფიკით. ავღანეთში სხვა საბრძოლო ამოცანები იყო შესასრულებელი, აქ კი სხვა დავალებებია, რასაც საქართველოს წარმომადგენლობა პირნათლად და მაღალპროფესიონალურად ასრულებს, რითაც ვამაყობ. ბედნიერი ვარ, როცა ამ ბიჭებს ვუყურებ, მართლაც რომ თითოეული ჯარისკაცი ღირსეულად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ქვეყნის ღირსებასა და



თამარ კიკნაძე ევროკავშირის განმარტებულან ერთად

პრესტიჟს უფრო მაღლა სწევს. უცხოელები გაკვირვებულნი არიან ჩვენი ბიჭებით. ვინა ხართ, ეს ქართველები?!

– ყოველდღიურად მესმის მათგან. ვისმენ ჩვენი ბიჭების ქება-დიდებას, მადლობებს, რაც ჩემთვის ნამდვილად დიდი ბედნიერებაა.

– მაშინ, როდესაც ავღანეთში იმყოფებოდით, მოხდა ტერაქტი. ვიცი, რომ ძალიან განიცადეთ დაღუპული და დაჭრილი ჯარისკაცების მდგომარეობა. რას იტყვით იმ ბიჭებზე?

– გასული წლის 6 სექტემბერს, როდესაც ბაგრამის საავიაციო ბაზაზე ვიმყოფებოდი, ბაზასთან ახლოს აფეთქება მოხდა. თვითმკვლელმა ტერორისტმა, რომელიც მოტოციკლეტს მართავდა, თავი აიფეთქა. უფროსი ლეიტენანტის, ივერი ბუაძის მეთაურობით, ქართველი ჯარისკაცები ბაზის შესასვლელთან ავტომობილებს ამონებდნენ. მძიმედ დაიჭრა ივერი. ორი თვე კომატოზურ მდგომარეობაში იყო. სასწაულმა გადაარჩინა. თვითონ ექიმებიც შოკირებული დარჩნენ, მისი სიმძიმიდან გამომდინარე, ისე მოკლე დროში შეძლო მდგომარეობიდან გამოსვლა და ძალების აღდგენა. სამწუხაროდ, ფეხის ამპუტაცია დასჭირდა, პროთეზი გაუკეთეს და სიარული შეძლო. ამჟამად სარეაბილიტაციო კურსს გადის ამერიკაში. სირბილზე ოცნებობს, რასაც, დარწმუნებული ვარ, აიხდენს, იმდენად მოტივირებული და ძლიერი ჯარისკაცია.

მდინარი ბებიაშვილის დაღუპვამ კი ჩემი გოგითა გამახსენა და ტკივილი გამიახლდა. დადგება დრო და ისტორია იტყვის ამ ბიჭებზე თავის სათქმელს. ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, თითოეულ თავგანწირულ ჯარისკაცზე უნდა დაინეროს. სწორედ მათ გმირობებზე უნდა იზრდებოდნენ თაობები.

– თამრიკო, როგორც ქალისტვის, ძნელი ასატანი არ არის მაქაური კლიმატი? როგორ ეგუებით, როგორ უძლებთ?

– ძალიან ნესტიანი ჰავაა... ტროპიკული სიცხეები... ახლა მითუმეტეს, სიცხის სეზონი დაიწყო, მაგრამ პირობები ნორმალური გვაქვს. აი, ჩემი ოთახი, ბაღში მძინავს, ხომ უყურებ? (ოთახს მათვალისწინებებს და იცინის)

– მოსახლეობაზე რა იტყვით, რო-

გორი ურთიერთობა აქვთ ჩვენს ჯარისკაცებს ადგილობრივებთან?

– ძალიან თბილი და არაჩვეულებრივი. ერთხელ ქალაქში ვიყავი გასული. დავინახე ერთად შეჯგუფებული ბავშვები. მომცვივდნენ და წყალი მთხოვეს. საერთოდაც, წყალს ითხოვენ ხოლმე. როგორც ავღანეთშია წყლის პრობლემა, ისეა აქაც. გვეხვეწებიან წყალსა და საჭმელს. მოსახლეობის დიდ ნაწილს ძალიან უჭირს. ხელებითა



ბაზის მეთაურთან - გენერალ არკინიო შაიოსთან ერთად

და ფესტიკულაციით გვანიშნებენ ხოლმე, გვძიან. ქართველი ჯარისკაცები, როგორც ყოველთვის, პირიდან იღებენ ლუკმას და ამათ აძლევენ.

ბაზაზე მომსახურე აფრიკელებს ქართულს ვასწავლით. რამდენიმე ქართული სიმღერაც კი ვასწავლეთ. როცა დამინახავდნენ, „ბიჭო, ბიჭო“ მეძახდნენ, ახლა ისწავლეს და „ქალბატონ თამარს“ მეძახიან.

– ახლახან დაბადების დღე გქონდათ. ალბათ, ვერცერთ დაბადების დღეს ვერ წარმოიდგენდით, რომ ერთ-ერთ იუბილეს აფრიკაში შეხვდებოდით. როგორ აღნიშნეთ, როგორი ზეიმი მოგიწევს ქართველმა ჯარისკაცებმა ერთადერთ ქართველ ქალ ჯარისკაცს?

– ბაზის ხელმძღვანელობა შეიკრიბა და ძალიან პომპეზურად და ოვაციებით შემხვდნენ. სამახსოვრო სუვენირიც კი გადმომცეს.

– განსაკუთრებული სუფრა არ გაგიკეთეს?

– ქართველებმა კი, აღნიშნეს, მაგრამ სუფრა როგორ, ახლა... აქ დალევა და ალკოჰოლური სასმელი არ

შეიძლება. უბრალოდ, ერთად შევიკრიბეთ, სამახსოვრო ფოტო გადავიღეთ, რომელსაც ასეთი წარწერა გაუკეთეს: „თამარ, გილოცავთ, დაბადების დღეს“. ყველა ქართველი ჯარისკაცის დაბადების დღეს ასე აღვნიშნავთ ხოლმე. მთელი ოცეულია ამ ფოტოზე, რომელიც მთელი ცხოვრება დარჩება ჩემს ოჯახში. როცა მე აღარ ვიქნები, ჩემს მომავალ თაობას რელიქვიად ექნება.

– თამრიკო, პირადად თქვენთვის რას ნიშნავს იყო, ჯარისკაცი?

– ძალიან ბევრს. მით უმეტეს, ამ მისიებით უფრო მეტად დავინახე და დავაფასე ჯარისკაცების სიმამაცე, თავდადება და ვაჟკაცობა. ყველამ თავისი საქმე იცის და ასრულებს პირნათლად.

– ხშირად უწევთ მათ ბაზიდან გასვლა?

– ქალაქში გასვლა ყოველთვის შეიძლება, მაგრამ არის ადგილები, სადაც გადაადგილება საფრთხის შემცველია და ვერ გადაადგილდები.

– ანუ ავღანეთისგან განსხვავებით, მანდ ბაზიდან გასვლა შეიძლება...

– კი, ასეა. ავღანეთში თუ გახვიდოდი, მკვდარი იყავი. აქ მასე არ არის. აქ მეტი კეთილგანწყობაა ადგილობრივ მოსახლეობასა და კოალიციის ჯარებს შორის.

– თამრიკო, როგორია მაქედან დანახული საქართველო?

– დღეს რომ ვუყურებ ჩემს სამშობლოს, მეცოდება. საქართველოში ერთმანეთის პატივისცემა დაიკარგა, ხალხს ერთსულოვნება აკლია, განეღობა ერთმანეთის სიყვარული. საქმეში კი არა, სიძულვილში უფრო ეჯიბრებიან ერთმანეთს. ეს დამლუბველია ჩვენი ქვეყნისთვის, რასაც ძალიან განვიცდი. პირველ რიგში, მე ვარ საქართველოს მოქალაქე და შემდეგ, პოლიციის ოფიცერი. როგორც საქართველოს მოქალაქეს, არ მომწონს, პოლიტიკური სიმპატიისა და ანტიპატიის გამო ხალხი რომ ერთმანეთს დაუპირისპირდა და მიდის ერთმანეთის ლანძღვა. არ შეიძლება რომელიმე პოლიტიკური დაჯგუფებისა თუ ლიდერის გამო ქართველებმა რომ ერთმანეთი შევიძულეთ.

ესაუბრა
ზაირა მიქაბაძე



ქართული ქვედანაყოფის მეთაური საქართველოს მისიაში

2008 წლის აგვისტოს ომის დროს კახაბერ ასათიანი სახმელეთო ჯარების კავშირგაბმულობის ცალკეულ ბატალიონში ირიცხებოდა. 2008 წლის 7 აგვისტოს ღამეს, S-3-ის ოფიცერი მორიგე იყო, როდესაც ნაწილში შეტყობინება მივიდა. წესისა და რიგის მიხედვით გააფრთხილეს ჯარისკაცები და გამთენიისას საომარი მოქმედებების ზონისკენ დაიძრნენ. 12 აგვისტოს, საბედნიეროდ, დისლოკაციის ადგილზე, საგურამოში, უდანაკარგოდ დაბრუნდნენ.

დღეს კაპიტანი კახაბერ ასათიანი აფრიკის საერთაშორისო მისიაში მყოფ ეროვნული გვარდიის ნაკრებ ქვეით ოცეულს ხელმძღვანელობს. მომავალი წლის მაისში 13 წელი გახდება, რაც იგი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობს. ამ ხნის განმავლობაში, როგორც ვთქვით, იყო ომი, კლასში შექმნილი თეორიული ცოდნის ბრძოლის ველზე, პრაქტიკაში გამოყენება, ტკივილი, მარცხი, მაგრამ ყველაფერმა ამან ჯარისკაცურ პროფესიონალიზმის ამალგებაში თავისებური როლი ითამაშა. კახას გამოცდლება შესძინა და განსაკუთრებულად საპასუხისმგებლო პოზიციაზეც დააყენა. გარდა საბრძოლო ამოცანის პირნათლად შესრულებისა, მეთაურმა სხვა მისიაც დააკისრა თავის ქვედანაყოფს - წარმოაჩინოს საკუთარი ქვეყნის ისტორია, ტრადიცია და კულტურა იმ ქვეყნების წინაშე, რომელთა ჯარებთან ერთადაც ქართული შენაერთი ევროკავშირის საერთაშორისო მისიას ასრულებს აფრიკაში.

კახაბერ ასათიანს შინ მშობლები, მეუღლე და ორი ქალიშვილი - რვა წლის ელენე და ხუთი წლის ნინი ელოდებიან. უმცროსმა გოგონამ მამის მისიაში წასვლა ვერ აღიქვა. ელენემ კი მოიწინა, თვალებში სევდა ჩაუდგა, გააცნობიერა, რომ ექვსი თვის განმავლობაში მამის უნახავობა მას ძალიან მოანატრებდა. იდარდა დედამაც. „დედა ყოველთვის ნერვიულობს შვილზე. მითუმეტეს, როცა ასე შორს მიდის და თანაც საერთაშორისო მისიაში“, - ამბობს კახა. ოჯახს ინტერნეტით ხშირად უკავშირდება. იგი საერთაშორისო მისიაში პირველად. ასე რომ, ოჯახთან განშორება მისთვისაც ძნელი და მტკივნეული აღმოჩნდა.

პირველი მისია და ასეთი საპასუხისმგებლო საქმე, ქვედანაყოფის უდანაკარგოდ ჩამოყვანა, დაკისრებული ამოცანის შესრულება და ქართული ჯარის წარმოჩენა... საინტერესოა, როგორ ართმევს თავს ამ ყველაფერს ქართველი ოფიცერი?!

კაპიტანი კახაბერ ასათიანი: „რა თქმა უნდა, რთული საკეთებელი საქმეა, რადგანაც დიდია პასუხისმგებლობა, მაგრამ ბიჭები მობილიზებული და მოტივირებულები არიან. აქ იმდენად მაღალია ქართული ჯარის ავტორიტეტი, რომ ეს ჩვენ ძალას და ენერჯიას გვმატებს. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მაღლობა გადავუხადო იმ ქვედანაყოფების მეთაურობას და პირად შემადგენლობას, რომლებიც ჩვენამდე იმყოფებოდნენ აფრიკაში. სწორედ მათ დატოვეს ისეთი სახელი, რომელიც გვახალდეულებს, გავუ-

ფრთხილდეთ ქართული ჯარის იმიჯს და რეპუტაციას. შეიძლება ითქვას, რომ გვარდიის ნაკრები ოცეული ღირსეულად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ეს ხშირად აღუნიშნავს კიდეც ევროკავშირის მისიის სარდლობას და ამისთვის მაღლობასაც გვეუბნებიან. აქ ქართველი ჯარისკაცის მომზადება მაღალკვალიფიციურადაა შეფასებული. პირადი შემადგენლობაც კარგი მომზადებულია და მმართველი რგოლიც საკმაოდ განათლებული და კვალიფიციური გვყავს, ასე რომ, მშვენივრად ვართმევთ საქმეს თავს და ასე გავაგრძელებთ ბოლომდე - დაკისრებულ ამოცანასაც პირნათლად შევასრულებთ და საქართველოსაც წარმოვჩენთ. არ შემიძლია, ამ საქმეში, არ აღვნიშნო ქვედანაყოფის მეთაურის მოადგილის, უფროსი ლეიტენანტის, ალექო ფირცხალაიშვილის ღვაწლი. 24 წლის ახალბედა ოფიცერი აქ დიდ გამოცდილებას იღებს და ღრმად ვარდარწმუნებული, საქართველოს შეიარაღებულ ძალებს მისი სახით, შესანიშნავი ოფიცერი ეყოლება“.

აღვილობრივი მოსახლეობა და ქართველი ჯარისკაცები

კახაბერ ასათიანი: „იმის გამო, რომ უცხო ქვეყნის ჯარისკაცები ვართ, მოსახლეობის მხრიდან აგრესია ნამდვილად არ შეგვიმჩნევია. პირიქით, როცა დაგვინახავენ, ემოციას ვერ მალავენ. ღიმილით გვხვდებიან, განსაკუთრებით, ბავშვები. ნაგვიყვანეთ საქართველოში, დამტვრეული ინგლისურით გვეუბნებიან. სტუდენტები

გამართული ინგლისურითაც კი საუბრობენ. ერთმანეთში თავიანთ ენაზე, სანგოზე, ურთიერთობენ, ისე კი, ძირითადად, ფრანგულად ლაპარაკობენ. ცხოვრების დონე ძალიან დაბალია, უჭირთ და ვცდილობთ, იმით მაინც დავეხმაროთ, რაც გვაქვს. პროდუქტს ვერ ვაძლევთ, რადგანაც ჩვენ თვითონ სასადილოში დავდივართ, მაგრამ წყალს ხშირად ვურიგებთ და ჩვენი წილიც ბევრჯერ მიგვიცია“.

როგორ ცხოვრობენ სამშობლოდან მონყვეტილი ქართველი ჯარისკაცები, როგორ ხვდებიან ისინი დღესასწაულებს, რა სიურპრიზებს უწყობენ ერთმანეთს?..

კახაბერ ასათიანი: „აქ რომ ჩამოვდივით, პირობები გაუმჯობესებული დავგვხვდა, ოთახებში ყველგან კონდინციონერები დგას. გარეთ კი ვერ გაჩერდები, ისეთი სიცხეებია. ტენიანობაა ძალიან მაღალი და იმიტომაც ჭირს აქაური კლიმატის ატანა, მაგრამ ასე ვთქვათ, აქაურ ყოფა-ცხოვრებას ვიხალისებთ. დაბადების დღეებზე მთელი საცულის პირადი შემადგენლობა საერთო სურათს ვიღებთ, შემდეგ კი იუბილარს წარწერიან ფოტოს ვჩუქნით. გიტარა გვაქვს და გიორგობას კიდევაც ვიმღერეთ. ჩვენი ბიჭები ისეთ შემოქმედებით ნიჭსა და უნარს ავლენ,



ნენ, სხვა ქვეყნების წარმომადგენლები გაცობენ გვიყურებენ, თქვენ ვინ ყოფილხართ?!.. გვარდიის დღის აღნიშვნასაც ვაპირებთ, რაღაც კარგს და საინტერესოს მოვიფიქრებთ.

35 ადამიანი ერთ სივრცეში, ერთ შენობაში მარტო ვართ, აქ ჩვენ არავინ გვყავს. დღე-ღამის განმავლობაში ერთად ვართ, ერთმანეთზე ვზრუნავთ, ერთმანეთს ვუფრთხილდებით, ეს ქართული ჯარის სიმტკიცისთვის ცოტას არ ნიშნავს. ამ კუთხითაც მისიაში

ყოფნა დიდი გამოცდილებაა. სხვადასხვა ქვეყნის ჯარებთან მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება და გაღრმავება ჩვენი ჯარისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. გარდა ამისა, უცხო ქვეყნების ჯარების სარდლობასა თუ პირად შემადგენლობას, როგორც კი საშუალება მოგვეცემა, საქართველოს კულტურასა და ისტორიას ვაცნობთ. დავაინტერესეთ ჩვენი ტრადიციებით. ამის შემდეგ მათგან უფრო მეტი დაფასება და პატივისცემა ვიგრძენით. ვუყვებით ჩვენს მხედართმთავრებზე, ბრძოლებზე, თანამედროვე

ჯარისკაცების გმირულ ისტორიებზე. კედელზე დიდგორის ველის უზარმაზარი სურათი გვიკიდა. სურათზე ამ ბრძოლის მოკლე ისტორია გვიწერია ინგლისურად. მოდიან და დიდი ინტერესით კითხულობენ.

ახალი ჩამოსულები ვიყავით, ტრადიციული სუფრის ფესტივალის მოწყობა დავგვაფალეს. ყველა ქვეყანამ თავისი ეროვნული სუფრა წარმოადგინა. ჩვენ ხინკალი გავაკეთეთ, ხაჭაპურები გამოვაცხვეთ. თიხის ღოქი გვაქვს წამოღებული თავისი ფიალებითა და ყანწებით. ასევე, პატარა ურემიც... მოკლედ, რაც შეეძლია, პატარ-პატარა ნივთები ჩამოვიტანეთ ჩვენი ტრადიციისა და კულტურის გასაცნობად. გენერლებს ძალიან მოეწონათ ჩვენი სასმისები. დოქზე ხომ საერთოდ აღფრთოვანებულიები დარჩნენ. ყველა ქვეყანას

ჰქონდა გაშლილი თავისი ტრადიციული სუფრა, მაგრამ ყველა ჩვენს მაგიდასთან მოდიოდა. ბიჭებსაც ეხერხებათ კერძების მომზადება, ასე რომ, მხოლოდ ქალბატონ თამარზე არ გადაუვლია ტრადიციული სუფრის ზეიმს. სხვათაშორის, ქალბატონი თამარ კინაძე ერთადერთი და პირველი ქალია ქართულ კონტინგენტში. იგი სამხედრო პოლიციიდანაა.“

ქართველი ჯარისკაცის გმირობა აფრიკაში

კახაბერ ასათიანი: „ორი თვის წინ ქალაქში კონკრეტული დავალების შესასრულებლად ვიყავით გასული. უცებ ჩვენმა ჯარისკაცმა, ლევან სართანიამ, დაინახა, აუზში აფრიკელი ბავშვი იხრჩობოდა. არც დაფიქრებულა, პირდაპირ ტანსაცმლიანი გადაეშვა წყალში. პატარა ამოიყვანა და დახრჩობას გადაარჩინა. ბავშვის მშობლები და იქ მყოფი ადამიანები მოცვივდნენ, ქართველ ჯარისკაცს შემოეხვივნენ და მადლობას უხდინდნენ. თავდაცვის სამინისტრომ კი გამოჩენილი სიმამაცის გამო ლევანი მედლით, „სიცოცხლის გადარჩენისთვის“, დააჯილდოვა. ასეთი ჯარისკაცები გვყავს ქვედანაყოფში, ასეთი მაგარი ბიჭები, რომლებიც ქართული ჯარის ავტორიტეტს არათუ უფრთხილდებიან, არამედ ზრდიან და ამალალებენ“.

ესაუბრა
ზაირა მიქაბაძე



რეზერვში ჩაირისხებიან ის ადამიანები, რომელთაც აქვთ ქვეყნის ღირსების სურვილი და უნარი



გიორგი ჩუთლაშვილი

მიმდინარე წლის პირველი აგვისტოდან თავდაცვის სამინისტრომ აქტიური რეზერვის საპილოტე პროგრამა დაიწყო, რითაც საფუძველი ჩაეყარა ქვეყნის ტოტალურ თავდაცვას. ქვეყნის თავდაცვის საქმეში ჩართული იქნებიან ომისუნარიანი საქართველოს მოქალაქეები. სარეზერვო სამსახური წლების წინაც არსებობდა და მან, ფაქტობრივად, ფუნქცია 2008 წლის აგვისტოს ომის დამთავრებისთანავე დაკარგა. თანამედროვე სარეზერვო სამსახური უფრო დახვეწილია და დიდ მასშტაბებსაც მოიცავს, საპილოტე პროგრამის ამოქმედებით კი გამოვლენილი იქნება ის ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრა რეზერვს უფრო დახვეწს და გააძლიერებს. სარეზერვო სისტემის ამოქმედების პროცესში აქტიურადაა ჩართული ვეტერანების საქმეთა საქმეთა სახელმწიფო სამსახურიც. რეზერვის კონტიგენტს ძირითადად, სწორედ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები და ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები შეადგენენ.

19 ოქტომბერს სარეზერვო სამსახური ოფიციალურად დაიწყო. პროგრამის მონაწილე რეზერვისტებმა ქ.თელავში, ეროვნული გვარდიის მე-20 კადრირებული ბრიგადის ბაზაზე, სამხედრო ფიციც დადეს. ფიცის და-

დების ცერემონიაზე თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ, სამხედრო თავდაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად სარეზერვო სამსახური დაასახელა. „თითოეული თქვენგანის მონდომებაზე იქნება დამოკიდებული ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება“, – მიმართა მინისტრმა რეზერვისტებს.

თელავის შემდეგ, სარეზერვო სამსახურის საპილოტე პროგრამის დაწყების ოფიციალური ცერემონია 22 ოქტომბერს ბათუმში, ეროვნული გვარდიის მე-10 კადრირებული ბრიგადის ბაზაზე გაიმართა, სადაც რეზერვისტებმა სამხედრო ფიცი დადეს.

„ამაყი ვარ, რომ აჭარის რეგიონიდან ამდენმა ახალგაზრდამ გამოთქვა სურვილი, მონაწილეობა მიეღო ამ უნიკალურ პროექტში. აღსანიშნავია, რომ რეზერვისტებს შორის არიან სტუდენტები ადგილობრივი უმაღლესი სასწავლებლებიდან. განსაკუთრებით მახარებს ახალგაზრდების ჩართულობა, მათი შემართება და სურვილი, ემსახურონ სამშობლოს და მის უსაფრთხოებას. ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხს სწორედ ასეთი ახალგაზრდების ვაჟკაცობა და თავდადება განაპირობებს. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს რეზერვისტებს, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს სარეზერვო სამსახურში განუვრიანების. ამით მათ გამოხატეს უდიდესი სიყვარული ქვეყნისა და სამშობლოს წინაშე“, – მიმართა იქ შეკრებილ საზოგადოებას აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარემ, თორნიკე რიჟვაძემ.

„რეზერვის სისტემა ხაზს უსვამს ყოვლისმომცველი სტრატეგიის ფარგლებში საზოგადოების ჩართულობის მაღალ ხარისხს. როდესაც ახალი სარეზერვო სისტემის ამოქმედება დაიწყეთ, განსაკუთრებით აქცენტი გავაკეთეთ აქტიური რეზერვის ფარგლებში ტერიტორიული რეზერვის პრინციპზე და ეს პასუხისმგებლობა

აილო ეროვნულმა გვარდიამ“, – განაცხადა ლევან იზორიამ.

სამხედრო ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ საზოგადოების მეტი ინფორმირებისათვის სწორედ ეროვნული გვარდიის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერს, მაიორ გიორგი ჩუთლაშვილს ვესაუბრეთ.

– ბატონო გიორგი, საიდან წამოვიდა სარეზერვო სამსახურის იდეა და რა ნაბიჯები გადაიღდა ამ სამსახურის ჩამოსაყალიბებლად?

– იდეა კარგა ხანია არსებობდა და მასზე რამდენიმე ჯგუფი მუშაობდა. თავდაპირველად ჩვენ გავუშვით საპილოტე პროგრამა, რაც იმას ნიშნავს, რომ გასწორდება ყველა მიწუსი და დანარჩენი პროგრამები უფრო დახვეწილი იქნება. რაც შეეხება სტრუქტურას, არის სამობილიზაციო და აქტიური რეზერვი. სამობილიზაციო რეზერვი სავალდებულოა და მასში შედიან 18-დან 65 წლის ჩათვლით ომის უნარიანი საქართველოს მოქალაქეები. სამობილიზაციო რეზერვის ფუნქციაა ქვედანაყოფში დანაკლისის შევსება ომის ან კონფლიქტის დაწყებამდე.

ამის გარდა არის აქტიური რეზერვი, რომელიც შედგება შეიარაღებული ძალების, ტერიტორიული და სპეციალისტების რეზერვისაგან. თავდაპირველად საპილოტე პროგრამაში ჩავუსვით ტერიტორიული რეზერვი და მივიღეთ ორი გაძლიერებულ ასეული აჭარის, გურიისა და კახეთის რეგიონებში.

– მოსახლეობისთვის გასაგებად რომ ახსნათ, რას ნიშნავს ტერიტორიული რეზერვი?

– როგორც გითხარით, საპილოტე რეჟიმში მხოლოდ სამი რეგიონია ჩასმული. კახელი და იცავს კახეთის რეგიონს, აჭარელი და გურიელი კი – აჭარისა და გურიის რეგიონს.

– დაცვაში რა იგულისხმება?

– შეიარაღებული კონფლიქტების გარდა რეზერვის ჩართვა გა-

თვალისწინებულია სტიქიური უბედურებების ლიკვიდაციის საქმეშიც, როგორცაა, ხანძარი, წყალდიდობა და ა.შ. გაძლიერებული ასეულის პირად შემადგენლობას გამოძახებიდან მაქსიმალური გამოცხადების დრო აქვს 12 საათი (თუმცა 2-3 საათშიც შეუძლია), მოხდება 170 კაცის მობილიზება, რომელიც შეებრძოლება სტიქიას.

რაც შეეხება სპეციალისტთა რეზერვს, არის სამოქალაქო სპეციალობის 69-მდე ჩამონათვალი, თუ თავდაცვის სამინისტროს კონკრეტულ შემთხვევაში დასჭირდება ესა თუ ის სპეციალისტი, შეავსებენ მათ რიგებს. ძირითადად მოთხოვნაა კიბერუსაფრთხოებისა და აიტი დეპარტამენტიდან. მათ სპეციალისტებთან ერთად მოხდება რეზერვის გადამზადება და საჭიროების შემთხვევაში გამოიძახებენ.

- ექნება თუ არა რამე სახის სოციალური გარანტიები სამხედრო სარეზერვო სამსახურში ჩარიცხულ პირებს?

- რა თქმა უნდა, ექნებათ. რეზერვისტი სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის პერიოდში სარგებლობს სამხედრო მოსამსახურისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გარანტიებით. თუ მას იმ 45 დღის განმავლობაში რამე დაუშავდება, თავდაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს მისი მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებას.

- იქნებ უფრო კონკრეტულად გვი-

თხრათ, რომელ 45 დღეზეა საუბარი?

- ეს არის სამსახურის ხანგრძლივობა ერთი წლის განმავლობაში, რომელიც გაშლილია 12 თვეზე. ამის გარდა, 5-წლიანი საკონტრაქტო პერიოდი ჩაეთვლება შრომის სტაჟად, ხოლო აღნიშნული 45 დღე - სამხედრო მოსამსახურის ნამსახურეობად.

- ანუ კონტრაქტი იქნება 5-წლიანი და წელიწადში იგი უნდა მოიცავდეს 45 დღეს?

- არანაკლებ 45 დღისა, მაგრამ თუ იქნება დამატებითი გამოძახებები, რეზერვისტი იღებს შესაბამის ანაზღაურებას დღეში 25 ლარის ოდენობით. გარდა ამისა, გამოძახების პერიოდში რეზერვისტს უნარჩუნდება სამუშაო ადგილი და შრომის ანაზღაურება დანესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად. კანონი ავალდებულებს ყველას, ხელი არ უნდა შეუშალოს პირს, რომელიც გაივლის შერჩევას და ჩაირიცხება რეზერვში.

- სტუდენტების შემთხვევაში რა ხდება?

- სტუდენტებიც, 18-დან 22 წლის ჩათვლით, გაივლიან სარეზერვო სამსახურს, ოღონდაც იმ რეგიონის მიხედვით, სადაც არიან რეგისტრირებული. მათ ვთავაზობთ ასეთ რამეს: მიენიჭებათ რიგითის წოდება, წლიური ხელფასი ექნებათ 2700 ლარი, რომლითაც მათ მიეცემათ საშუალება, დაიფინანსონ სწავლის საფასური. ამის გარდა, 5-წლიანი

კონტრაქტის დამთავრების შემდეგ სამხედრო სავალდებულო სამსახური მოხდის ჩათვლებათ, რაც ვფიქრობ, კარგი შეთავაზებაა, რადგანაც სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 22 წლის ახალგაზრდას უკვე უნევს ჯარში წასვლა.

და ბოლოს, სამხედრო სარეზერვო სამსახურში ჩარიცხულ პირს უნარჩუნდება სახელმწიფო კომპენსაცია, აგრეთვე „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონითა და შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი სხვა სოციალური დაცვის გარანტიები, რაც იმას ნიშნავს, რომ სოციალურ აგენტს უფლება არ აქვს, მოუხსნას დახმარება იმ სოციალურად დაუცველ პირს, რომელიც ნამოვა რეზერვში.

- ვისი განწვევა მოხდება რეზერვში და ბევრი მსურველის შემთხვევაში როგორ მოხდება შერჩევა?


- საპილოტე პროგრამის ფარგლებში ტერიტორიულ რეზერვში მიიღება 18-დან 50 წლის ჩათვლით საქართველოს მოქალაქე, რომელიც დათხოვნილი იქნა სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან, საკონტრაქტო სამხედრო სამსახურიდან, კადრის სამხედრო სამსახურიდან (მოიცავს ოფიცრებს კაპიტნის ჩათვლით), დათხოვნილი იქნა სამართალდამცავი სისტემის/აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების დანესებულებათა სისტემის საბრძოლო ქვედანაყოფიდან, აგრეთვე, როგორც აღვნიშნეთ,



ფიცის დაღების ცერემონია თელავის მეოცე კადრიჩულ პრიგადაში

სტუდენტები 22 წლის ჩათვლით. შეიძლება მოხდეს ისე, რომ გვეჩრდებოდეს 150 რეზერვისტი, მაგრამ შერჩევა გაიაროს 300-მა. უკვე კონკურსის სახით აირჩევიან ისინი და პრიორიტეტი მიენიჭება ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს, სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ პირებს, რომელსაც არ შესრულებიათ 50 წელი, რომელსაც აქვს შესაბამისი სამხედრო სააღრიცხვო სპეციალობა და სამხედრო წოდება რიგითიდან კაპიტნის ჩათვლით, ასევე, იმ პირებს, რომელთაც აქვთ ნამსახურები შეიარაღებული ძალების რეზერვში.

კონტრაქტი არის ნებაყოფლობით, 5-წლიანი, ასაკი 18-დან 50 წლის ჩათვლით საპილოტე პროგრამის ფარგლებში, ისე კი კანონმდებლობით 18-



დან 55 წლის ჩათვლით. წელიწადში არის 45-დღიანი საბრძოლო მომზადება ქვედანაყოფის შემადგენლობაში. ქვედანაყოფში იქნება 7 საკონტრაქტო, დანარჩენი რეზერვისტი, მათგან 48 აუცილებლად იქნება სტუდენტი. მინიმალური ანაზღაურება წელიწადში, რიგითისთვის ხელზე ასალები იქნება 2700 ლარი, ხოლო მაქსიმალური, კაპიტნისთვის – 3500 ლარი. გამოძახება მოხდება საბრძოლო გეგმის მიხედვით.

ტერიტორიული რეზერვის დანიშნულებაა ომის შტატზე გადასვლა, ეროვნული გვარდიის კადრირებული ბრიგადების დაკომპლექტება და ტოტალური თავდაცვის მხარდაჭერა. ჩაირიცხებიან ის ადამიანები, რომელთაც აქვთ ქვეყნის დაცვის სურვილი და უნარი.

– საპილოტე პროექტში ამ ეტაპზე რომელი ქვედანაყოფები არიან მზად

რეზერვისტების მისაღებად?

– ეროვნული გვარდიის მე-10 კადრირებული ბრიგადა, რომელიც დისლოცირებულია ქალაქ ბათუმში და მე-20 კადრირებული ბრიგადა ქალაქ თელავში. რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, ბათუმში დისლოცაციის ადგილი არის ადლია. სანვრთნელი ცენტრი და სასროლეთი – „სორტა“. თელავში – სანვრთნელი ცენტრი „პალდო“ და ასევე, სასროლეთი – „პალდო“. 2018 წელს სულ განვეული იქნა 164 რეზერვისტი თითო რეგიონში, საიდანაც 48 ვაკანსია განისაზღვრა 18-დან 22 წლამდე სტუდენტებისათვის.

– მიღების რა პროცედურები უნდა გაიაროს მოქალაქემ?

– განცხადების ჩაბარებისას თან

გვექონდა პროექტის პრეზენტაცია, ამის შემდეგ რეზერვის მოზიდვის პროცესში (ინფორმაციის მიწოდება, კომისიაში მიყვანა და ა.შ.) ჩართული იქნა სამსახურის ორი ჯგუფი: ერთი აჭარა-გურიისა და მეორე – კახეთის რეგიონში, რომლებიც კონტაქტში არიან ბრიგადებთან და გვეხმარებიან პიარ-კამპანიაში, რათა მოიზიდონ მოქალაქეთა ის კატეგორია, რომელთაც არ აქვთ ინფორმაცია სარეზერვო სამსახურის შესახებ.

– სარეზერვო სამსახურის ფართო მასშტაბით გაშლა როდიდან იგეგმება?

– 2019 წლის ივნისის თვიდან. შემდეგ ეტაპზე სავარაუდოდ განიხილება თბილისი და იმერეთის რეგიონი. მიმდინარეობს ბაზების შერჩევა, სადაც მოხდება დისლოცირება და მომზადება.

– რა მოლოდინი არსებობს, რა შედეგზე შეიძლება გავიდეთ სარეზერვო სამსახურის ჩამოყალიბებით?

– შედეგი ის იქნება, რომ პირველ რიგში გაიზრდება საქართველოს თავდაცვისუნარიანობა, რადგანაც ჩვენს მეზობელ მტერთან შედარებით პატარა ქვეყანა ვართ და ის ჯარი, რაც შტატით გაგვარჩნია, საკმარისი არაა. გარდა იმისა რომ კონფლიქტურ სიტუაციებში იქნება ჩართული რეზერვი, იგი დაეხმარება მოსახლეობას სტიქიური უბედურებების დროსაც. რეგიონს ეყოლება თავისი მცველები. ახლა თუ ასეულის დონეზე იქნება ეს, შემდეგ გაიზრდება ბატალიონის დონეზე. როდესაც რეზერვის ნაირსახეობები გაიშლება, ყველას ეცოდინება თავისი საქმე, ვინ რა უნდა გააკეთოს ამა თუ იმ სიტუაციაში.

რედაქციისგან:

აფხაზეთის ომის ვეტერანი, სადესანტო-მოიერიშე ბატალიონის მეომარი (ყუმბარმტყორცნელი), ვასილ გოგატიშვილი ერთ-ერთია რეზერვში ჩარიცხულ ვეტერანთაგან. ნაომარმა ხალხმა რალა უნდა ისწავლოთ-მეთქი, ვეუბნები ვასიკოს. რატომაც არა, ზოგი რამ დავიწყებული მქონდა, ზოგი რამ, ახლებურად ისწავლებაო, მპასუხობს იგი. ასე რომ, რეზერვში სამსახური თურმე ვეტერანების სამხედრო განათლების ამალგებასაც კი უწყობს ხელს, არათუ ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქის.

მოამზადა
ზაირა მიქაბაძე



სანგრების ომი დონბასზე

აქ წაღში მოხრილმა სწრაფად უნდა გადაირბინო. მონინალმდევე თვალყურს გვადევნებს, თუ შეგვამჩნია, ცეცხლს გაგვისხნის. ასეულის მეთაური, საძახისით „ფოქსი“, რომელიც თავისი საქმის კარგი მცოდნეა, როგორც ნამდვილი გიდი, ისე მაცნობს ავდეენკოს სამენარმეო ზონაში ჩვენი პოზიციების განლაგების განსაკუთრებულ დეტალებს. მრავალწლიანი ომის განმავლობაში ამ პოზიციებზე არაერთხელ ვყოფილვარ, მაგრამ ცხოვრების წესები ერთი და იგივე რჩება. და ეს მარტივად აიხსნება. პრორუსული ბოევიკების უახლოეს ბლინდაჟამდე სულ რაღაც ორასიოდე მეტრია – ჩვეულებრივი ავტომატის ჯერიც კი შეიძლება სასიკვდილო იყოს, „დეშეკა“-სა და ყუმბარმტყორცნებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ვცდილობ, რაც შეიძლება წელში მოხრილმა გადავირბინო, მაგრამ ჯავშანჭილეთი ამის საშუალებას არ მძლევს.

მონინალმდევის ბლინდაჟებთანაა აღმართული. დროშების ასეთი ნაკრები მონინალმდევეს ტყუილად არ აქვს. დონბასის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი საბჭოთა კავშირის აღდგენას ნატრობს, ბოევიკებს შორის ზოგიერთი კი თავს რუსეთის ნაწილად თვლის. ომის ხუთი წლის თავზე არც ერთ მათ-



გაერთიანებულ ქალთა ოპერაციის სარდალი ნაჰვი

ძლივს ვძვრები დალაგებული ხის მორებ ქვეშ, რომლებმაც ნალმტყორცნებიდან გახსნილი ცეცხლისაგან უნდა დაგვიცვათ. ვჩქარობ თავისუფალ მონაკვეთზე და ინერციით ვატრიალებ თავს მონინალმდევის მიმართულებით. მოშორებით, გამიშვლებული ხეების უკან, რამდენიმე დროშა ფრიალებს. – რუსეთის დროშა, დნრ-ის (დონეცკის სახალხო რესპუბლიკა), წითელი დროშა, – მებრძოლი საძახისით, „მატროსი“, ჭოგრიტიდან იხედება და დროშებს მისახელებს, რომლებიც

თვანს არ უნდა დაიჯეროს უპირობო ფაქტი – რუსეთი არ აპირებს, აღიაროს ე.წ. დნრ-ი (დონეცკის სახალხო რესპუბლიკა) და ლნრ-ი (ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკა), როგორც თავისი ქვეყნის ნაწილი, როგორც მოხდა ოკუპირებული ყირიმის შემთხვევაში. კერძოდ, ყირიმის სცენარის გამეორებას ნატრობენ ისინი, ვინც უკრაინის კანონიერი ხელიწყოფლების წინააღმდეგ შეიარაღებულ ამბოხებას აწყობდა. მაგრამ კრემლმა, აღმოსავლეთ უკრაინაში გაჩაღებული ომით, ფაქტობრივად, მძევლად აიყვა-

ნა დონბასი. „რუსული გაზაფხულის“ ნაცვლად დონბასელებმა მიიღეს დანგრეული ინფრასტრუქტურა და სრული იზოლაცია. ოდესღაც მდიდარი მხარე პულსირებული ფრონტის ხაზით გაყოფილი უდაბნო გახდა.

– თავშესაფარში! – „ფოქსის“ ყვირილი ჩვენი მიმართულებით ნასროლი ტყვიების ფოლადისებურ ხმას შეერია. მონინალმდევემ სამი კალამნიკოვის ტყვიამფრქვევიდან ცეცხლი გახსნა. ასეთი რამ დღისით იშვიათად ხდება, ასეთ დროს ახლოს ყოველთვის OBSS-ის დამკვირვებლები მუშაობენ, მაგრამ ომს თავისი კანონები აქვს. დაუყოვნებლივ, რამდენიმე წერტილიდან, უკრაინელი სამხედროები ტყვიამფრქვევებიდან საპასუხო ცეცხლს ხსნიან. მიუხედავად ე.წ. ზავისა, მებრძოლები მდუმარედ ყოფნას არ აპირებენ.

რუსებმა რომ არ ითავებდნენ, ჩვენი ხასიათი უნდა ვაჩვენოთ. ცეცხლითვე თუ არ ვუპასუხებთ, თავზე დაგვასხდებიან. ამგვარად ვომობთ. მძიმე არტილერიას ისინი არ იყენებენ. ჩვენს შორის 100-200 მეტრია – შესაძლებელია, თავისიანებიც იმსხვერპლონ. ამიტომაც მთავარია, თვალყური ვადევნოთ მონინალმდევის გადაადგილებას და პასუხი გავცეთ პროვოკაციასზე.

ასეთია სანგრების ომი დონბასზე. „ფოქსი“ 25 წლისაა. ახალგაზრდა ოფიცერი უკვე ასეულს მეთაურობს. წინა ხაზზე უკრაინის არმიაში მხოლოდ კონტრაქტზე მყოფი ჯარისკაცები დგანან. „ფოქსის“ პირადი შემადგენლობის უმრავლესობა მასზე უფროსი ასაკისაა არიან, ზოგიერთი კი მამად შეეფერება. არიან მებრძოლები, რომლებიც ომის დაწყებიდანვე ომობენ. ორი წლის წინ, როცა უმცროსი ლეიტენანტი „ფოქსი“ ლვოვის ქვეითთა სასწავლებლიდან 92-ე ბრიგადის შემადგენლობაში ფრონტზე მოვიდა, იმათ რჩევებს უსმენდა. მეთაური თავის ჯარისკაცებთან ერთად ერთ სანგარში, ცეცხლის ქვეშ – ამიტომაც მოიპოვა ავტორიტეტი. თანამედროვე უკრაინის არმიაში მთავარი ადამიანები არიან. ომის პერიოდში უკრაინის სამხედრო აკადემიებმა ვადაზე ადრე ასეულობით სამხედრო ოფიცრები გამოუშვეს, ზოგიერთები აღარ არიან ცოცხლები, უმრავლესობა სათავეებში ჩაუდგა ქვედანაყოფებს და გაიარეს მძიმე ბრძოლების კერები. უშუალოდ, მათ მხრებზე დევს ამოცანა, ჩამოაყალიბონ ძლიერი უკრაინული არმია და განთავისუფლონ რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები.

ტარას კორნიუჰი

სამხედრო ჟურნალისტი სპეციალურად დონბასიდან

„სმელეთ აცადებიაში სამხედრო მიმართულება აუცილებლად უნდა აღდგეს“

შვიარაღაპული ქალების შექმნის შემდეგ, სულ რაღაც ორ თვეში, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მთავრობამ გადაწყვიტა, ქვეყანას სამხედრო-საზღვაო ძალებიც უყოლოდა. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტმა, ზვიად გამსახურდიამ, 1991 წლის 7 ივლისს გა-

მავნებლობა იყო...“ - ეს არის ამონარიდი ალექსანდრე ჯავახიშვილის უკანასკნელი ინტერვიუდან, რომელიც გასული წლის ივლისში, სიკვდილის წინა დღეებში მომცა. იმის შემდეგ არ მასვენებდა კითხვა, რას ფიქრობენ თვითონ საზღვაო აკადემიამი? და საშუალებაც მომეცა, მათი პოზიცია

მერეო, თბილად გამილიმა. შემდეგ კი სტუდენტები მისალმებაში კიდევ რამდენჯერმე წაამეცადინა და როდესაც ომანიანი „გაუ-მარ-ჯოს“ მიიღო, სახეზე კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა. ადვილად შეამჩნევდა კაცი ოფიცრის ნოსტალგიას ჯართან მიმართებაში. სამხედრო მისალმება, სამხედრო მონყობა, სამხედრო დისციპლინა, ყველაფერი სამხედრო სახელის გარდა. არადა, არცთუ შორეულ წარსულში აკადემია სამხედრო-საზღვაო იყო და საზღვაო ოფიცრებს აფრთიანებდა.

საპატიო სტუმრებიც მოვიდნენ, აჭარის ა/რ მთავრობის პირველი პირები, ახალი სასწავლო წლის დაწყება ოფიციალურად გამოცხადდა, საზეიმო რიტუალები ჩამთავრდა და დაპირებული ინტერვიუც შედგა.

მიხეილ ბაჯალიძე: ბათუმის საზღვაო აკადემია გაიხსნა 1993 წელს, მანამდე იყო სასწავლებელი, რომელიც მე თვითონ მაქვს დამთავრებული. ვცურავდი სამოქალაქო გემზე, მაგრამ ომი რომ დაიწყო, დავტოვე ყველაფერი და ჩავიბრუნე საქართველოს საზღვაო ძალებში. ჩემი სარდალი გახლდათ კონტრ-ადმირალი ალექსანდრე ჯავახიშვილი, რომელიც ბრწყინვალე ადამიანი იყო. მოგეხსენებათ, რომ მან მსოფლიოს შემოუარა წყალქვეშა ნავით. ვამაყობ იმით, რომ ასეთი სარდალი მყავდა. ასევე, ზურა ირემაძეც, რომელიც დღე და ღამე ჩვენთან იყო, რათა ხომალდები წესრიგში გვყოლოდა. სიამაყით მინდა გავიხსენო ჰაიდაროვი, ჩხარტიშვილი, ლურწკაია, რომლებიც, ასევე, ძლიერი სარდლები იყვნენ. ომში მიღებული გამოცდილებით ადამიანმა უფრო მეტი იცის, ვიდრე სამოქალაქო ცოდნა და ყველაზე მეტად ის შეამაყება, რომ ომიდან აკადემიაში დავბრუნდი. აქ ვარ რექტორის თანაშემწე დისციპლინის დარგში. შეამაყება, ასევე, ის რომ ჩემი აღზრდილი სტუდენტები გადალახავენ ოკეანეებს.

უპირველესად, ვეტერანების შესახებ უნდა გითხრათ. მათ მოფერება და გვერდში დგომა სჭირდებათ. ალბათ, ხელისუფლება მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ ვეტერანი უფრო მეტად იყოს დაფასე-



პირველი რანგის კაპიტანი მიხეილ ბაჯალიძე

მოსცა ბრძანება სამხედრო-საზღვაო ძალების შექმნის შესახებ 600 კაცის პირადი შემადგენლობით. პირველი სარდალი კონტრ-ადმირალი ალექსანდრე ჯავახიშვილი გახდა.

„პრეზიდენტმა გამსახურდიამ სამხედრო-საზღვაო ძალების სამმართველოს უფროსად დანიშნა. მთელი საქართველო გადავატრიალეთ, ვერ ვიპოვეთ ვერცერთი სამხედრო მეზღვაური. ვიყავი მხოლოდ მე. მაშინ დავინწყე ფიქრი იმაზე, რომ შეგვექმნა ჩვენი ოფიცრების მომზადების სისტემა, რაშიც აჭარის ხელმძღვანელობა დამეხმარა და დავაარსეთ სამხედრო-საზღვაო ფაკულტეტი შტურმანისა და მექანიკოსის სპეციალობით. ახლა რომ სანაპირო დაცვაში დგანან, სულ ამ ფაკულტეტის დამსახურებაა. ჩემს კისერზე გაიარა ამ ფაკულტეტის გამართვამ. ლენინგრადიდან ჩამოვიტანე პროგრამები და გადავაკეთეთ ჩვენი ხომალდების შესაბამისად. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სამხედრო-საზღვაო ძალები დაიშალა, რაც დიდი

გამეგო. პირველი ოქტომბერი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის უჩვეულოდ არ დამდგარა. აკადემიის ეზო და შემოგარენი თეთრ, ქათქათა, მეზღვაურის ფორმაში გამოწყობილი გოგო-ბიჭებით იყო სავსე. მათგან უმეტესობა მიჩვეული იყო მონყობაზე დგომას. პირველკურსელები კი ცოტა დაბნეულები ჩანდნენ. დისციპლინის დამყარებას, ყველაზე მეტად, მაღალ-მაღალი, მედლებით მკვერდდამშვენებული, შუა ხანს გადაბიჯებული მამაკაცი ცდილობდა. „მომბლებო, ტერიტორია გაათავისუფლეთ, ჩემს მეზღვაურებს ნუ ეფარებით!“ - ოფიცრის უმკაცრესი ტონალობის მიუხედავად, გულზე მომხვდა მამობრივი სიყვარულით გამთბარი ეს სიტყვები. გავიკითხე, იგი აფხაზეთის ომის ვეტერანი, პირველი რანგის კაპიტანი, პოლკოვნიკი მიხეილ ბაჯალიძე აღმოჩნდა. პროფესიულმა ინსტიქტმაც არ დააყოვნა და ინტერვიუსთვის „თავს დავესხი“. მიღება დამთავრდება და

ბული. როცა ტელევიზორს ვუყურებ, ცრემლები მომდის, რა დღეში არიან ჩვენი ბიჭები. მთავრობამ მინიმუმი მაინც უნდა გააკეთოს მათ საკეთილდღეოდ. აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ნაომარი ბიჭები გმირები არიან, ჩემს გულშიც ისინი მუდამ გმირები იქნებიან, მაგრამ მათ სხვანაირი დაფასება უნდათ.

– ბატონო მიხეილ, რას იტყვით საქართველოს საზღვაო ძალების შესახებ?

– გული მწყდება, რომ საზღვაო ძალები გაუქმდა. მე ვიყავი იფიცერი, ბაზის მეთაური და ყველა ხომალდის ჩამოყვანაში, რაც საზღვაო ძალებს გააჩნდა, წვლილი მიმიძღვის. ორი გემი საბერძნეთიდან ჩამოვიყვანე, ერთი გემი - თურქეთიდან, ორი ხომალდი ბულგარეთიდან, სადესანტო ხომალდები, რომლებიც შემდეგ დაჭრეს და ჯართში ჩააბარეს. ვთვლი, რომ საზღვაო ძალები უნდა აღდგეს, საქართველოს 320 კმ-ზე ეკვრის შავი ზღვა. ზღვის ტერიტორია კი, ფაქტობრივად, დაუცველია. ამიტომ ვთხოვ ყველას, იზრუნონ საზღვაო ძალების აღდგენაზე.

რაც შეეხებათ სამხედრო-საზღვაო ოფიცრებს, სამ-ოთხ წელიწადში, ფაქტობრივად, აღარ გვეყოლება, რადგანაც აკადემია სამხედრო მიმართულებით აღარ ასწავლის. არადა, გვექონდა სამხედრო-საზღვაო აკადემია, რომლის დაარსებაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ალექსანდრე ჯავახიშვილს. პირველი გამოშვება 1999 წელს იყო. სამხედრო მიმართულება აუცილებლად უნდა აღდგეს, არ ვამბობ, რომ გამოვუშვათ 100 და 200 ოფიცერი, არამედ მხოლოდ მოთხოვნილების მიხედვით, რამდენიც მოთხოვნა იქნება, ზუსტად იმდენი. საზღვაო ფლოტი კიდევ რომ ჩამოყალიბდეს, ჩვენ ოფიცრები აღარ გვეყოლება. ამაზე ძალიან მტკივნეული და ვთხოვ, ხელისუფლებას, მიხედოს საზღვაო ძალებსა და ზღვის ტერიტორიას.

– რამდენადაც ვიცო, მთავრობაში შესულია ინიციატივა აკადემიაში სამხედრო ფაკულტეტის გახსნის თაობაზე. აკადემიისგანაც ხომ არ არის გადადგმული რამე ოფიციალური ნაბიჯი?

– გასულ წელს მე და რექტორი, ბატონი ირაკლი შარაბიძე, გახლდით ქ. გორში, თავდაცვის აკადემიაში, სადაც მემორანდუმი გავაფორმეთ სტუდენტების გაცვლის თაობაზე. დაგვიპირდა რექტორი, რომ დაელაპარაკებოდა გენერალური შტაბის უფროსს ჩვენთან სამხედრო ფაკულტეტის გახსნის თაობაზე. მთავარია, ფაკულტეტი ჩა-



მოვყალიბოთ, თორემ სტუდენტების მომზადება არ გაგვიჭირდება. როგორც მემორანდუმში წერია, ისინი კარანტინისა და სამხედრო სწავლებას გაივლიან გორის თავდაცვის აკადემიაში. ხოლო საზღვაო ცოდნას ჩვენთან მიიღებენ. ჯერ-ჯერობით არაფერი ჩანს.

– საზღვაო ოფიცრების მომზადება სად ხდება?

– საზღვაო ძალების დაშლის პროცესში შეხვედრები მქონდა ხელმძღვანელობასთან და ვუთხარი, კარგი, საზღვაო ძალები არ გინდათ, მაგრამ საზღვაო სანაპირო დაცვაში რომ ოფიცრები დაგჭირდებათ, საიდან მოიყვანთ-მეთქი? იქ რომ კატერები და ხომალდები ჰყავთ, იმათ ხომ მართვა უნდათ? გემნამყვანია, ელექტრომექანიკოსი თუ მექანიკოსი, არ ვიცი, საიდან მოჰყავთ. ზღვაში სამოქალაქო პირი ისე ვერ შეასრულებს ამოცანას, როგორც სამხედრო ოფიცერი.

– ბატონო მიხეილ, აფხაზეთის ომში საზღვაო ძალებმა გარკვეული მისია შეასრულა. კონკრეტულად, ქართულ მხარეს რა სახის დახმარებას უწევდით?

– მართალია, მთვარი საომარი მოქმედებების ზონიდან ხალხის გამოყვანა იყო, მაგრამ სოხუმის დაცვამდე ჩვენ გადაგვექონდა შეიარაღება, პროდუქტი, ტყვია-წამალი. ასე რომ, აფხაზეთის ომში, მონიანადმდგესთან ბრძოლაში საქართველოს საზღვაო ძალებმა დიდი წვლილი შეიტანა. ეს აღნიშნეს კიდევ სატელევიზიო გამოსვლაში გენერალმა ამირან სალუქვაძემ და პოლკოვნიკმა ჯუმბერ ანანიძემ.

– ახლა აკადემიის პერსპექტივებზეც გვესაუბრეთ...

– უმაღლეს სასწავლებელთა რეიტინგში მოთხოვნილების მხრივ

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია პირველ ადგილზეა. მიმდინარე წელს 5 ათასზე მეტი განცხადება იყო, მივიღეთ 500 სტუდენტი. 50 სტუდენტი კი მობილობით გადმოვიდა სხვადასხვა უნივერსიტეტიდან. ჩვენ ვგეგმავთ აკადემიის კიდევ უფრო გაფართოებას, ადგილი არის და მშენებლობას ადრე ხანებში დავიწყებთ. რაც შეეხება სწავლას, აქ მოსული სტუდენტი ნამდვილად მიიღებს უმაღლეს განათლებას. ჩვენ გვაქვს ისეთი ტრენინგცენტრები, რომლის მსგავსი ევროპაშიც კი არ არის. ძალიან მაღალ დონეზეა აკადემია მომზადებული და ჩემს პირველ კურსელებს ვუსურვებ, ბეჯითები ყოფილიყვნენ, ესწავლოთ და ზღვაში მუდამ ზურგის ქარი ჰქონოდეთ.

– დასჭირდებათ მათ სხვა ქვეყანებში წასვლა და იქ კვალიფიკაციის ამაღლება?

– ხელშეკრულება გვაქვს დადებული მთელ რიგ ქვეყნებთან. ჩვენი სტუდენტები დადიან საზღვარგარეთ, გვაქვს გაცვლითი პროგრამებიც, მაგრამ გპირდებით, ვინც კარგად ისწავლის და გამოცდებს კარგად ჩააბარებს, მას ყველა კომპანია დაასაქმებს. კარგი აკადემიური მოსწრების სტუდენტებს დასაქმების პრობლემა არ ექნებათ. რაც შეეხება პრაქტიკებს, იცით, რომ შარშან გადმოგვცეს გემი, ამ გემზე ნავიგაციაში გადიან პრაქტიკას, მექანიკოსები კი დადიან სხვადასხვა გემზე ფოთში, ყულევში, ბათუმში, მოკლედ, სახელმწიფო დროშის ქვეშ მყოფ გემებზე. სტუდენტებს საზღვარგარეთაც ვუშვებთ პრაქტიკაზე. ზოგიერთს ჰგონია, რომ აქ მხოლოდ სწავლობენ, ასე არაა, მესამე კურსი ძირითადად პრაქტიკას ეთმობა.

"სუთი ნაბიჯი არ მქონდა გასაგებური, თითქოს გავფრინდი, ტყვიამ იხეილაზე გაიხსროლა"



იმედა შოშიტაშვილი

2008 წლის აგვისტოს ომი, ზოგმა ხუთდღიანი რომ უნოდა, ბევრისთვის მთელი ცხოვრება და ეპოქა აღმოჩნდა, რომელმაც ბევრი რამის შეცვლა, დანგრევა და განადგურება შეძლო. შიშგაუზრებელი, გამოუცდელი ბიჭები მიდიოდნენ და იმ უთანასწორო ბრძოლებში ერთვებოდნენ, სადაც ყველანაირი რესურსი თუ საშუალება მონინაღმდეგის უპირატესობას განაპირობებდა. ისინი იყვნენ ბევრი, ძალიან ბევრი... რთული აღმოჩნდა ამ „ძალიან ბევრი“ ოკუპანტის მიერ ნასროლი ტყვიებისა და ჭურვების მოგერიება. ისედაც პატარა საქართველო კიდევ უფრო დაპატარავდა, როდესაც მშვიდობიანი მოსახლეობა თავშესაფარ ადგილს ვერ პოულობდა. იბომბებოდა მთელი ქვეყანა და კაცმა არ იცოდა, სად ჩამოვარდებოდა მორიგი ბომბი.

აგვისტოს ომის დღეებს იხსენებს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის პირველი სამმართველოს თანამშრომელი, იმედა შოშიტაშვილი. თანამებრძოლების თავდადების წყალობით იგი სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა. ომს ყველაფერი ახსენებს, განსაკუთრებით კი სხეულში ჩარჩენილი ტყვია, რომელიც თავისი სიცოცხლის თანამგზავრად იქცა...

გთავაზობთ იმედა შოშიტაშვილის მოგონებებს 2008 წლის აგვისტოს ომზე. საბრძოლო მოქმედება

7 აგვისტოს, იქნებოდა დღის 3-4 საათი, სამმართველოდან გავედით. მე მოვხვდი ჯავშანმანქანა „კობრას“ ეკიპაჟში, რომელსაც მართავდა გია რომელაშვილი. გია 2005 წელს გავიცანი, პირველ განყოფილებაში, ოც-

მეთაური იყო. დავმეგობრდით, მივლინებაში ერთად ყოფნა გვინევდა. ნალკაში, მცხეთაში, კოდორის ხეობაში, სულ ერთად ვიყავით და მისგან ბევრ რამეს ვსწავლობდი. ძალიან თბილი პიროვნება იყო, მიუხედავად იმისა, რომ ჩემზე უფროსი გახლდათ, თავს მის თანატოლად ვგრძნობდი. ერთხელ, მივლინებისას, თავისუფალ დროს, შიომღვიმეში ავედით. ძალიან მოსწონდა ეს ტაძარი და მითხრა, ჩემი ქალიშვილი აქ უნდა მოვნათლოო. როდესაც გარდაიცვალა, ალბათ, მონათლავდნენ ბავშვს, მაგრამ შიომღვიმეში მონათლეს თუ არა, ამას ვერ გეტყვით.

7-ში რომ ჩავგიყვანეს, ღამის 12 საათამდე კარაღეთის ბაზაზე ვიდექით. 12 საათზე გავგიყვანეს, ძალიან ნელა ვმოძრაობდით, გამთენიისას ნიქოზში ვიყავით და იქიდან უკვე ცხინვალში შევედით. ვხედავდით ქუჩაში სკამებზე ჩამომსხდარ მოსახლეობას, რომელსაც მთელი ღამე გარეთ გაუთენებია. ჩვენი საგუშაგოდან ტანკები დაგვიყენეს წინ და ნავედით, მაგრამ პირველ ცდაზე ვერ შევედით, ისეთი წინააღმდეგობა იყო. ნახევარი საათის შემდეგ მარტო ტანკები გაუშვეს, მალევე გამოვიდნენ და შემდეგ ჩვენც შევეყვით. მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევი მეზარა, სროლის დროს ვერ ვსაზღვრავდი, რამდენი მქონდა გასროლილი, როდესაც გაჩერდა, ვიფიქრე, ალბათ, ტყვიები დავცალემეთქი და ლენტა გამოვცვალე. გადავტენე და რომ არ გადაიტენა, მაშინ შევამჩნიე, ლულაში ტყვია იყო გაჭედილი. სათადარიგო ლულა გვქონდა, მაგრამ შეცვლის დრო არ იყო, ფანჯარაში ჩანდა, როგორ გვესროდნენ. ტყვიები მანქანას ხვდებოდა, ძირითადად, მძღოლს უმიზნებდნენ, მანქანა რომ გაეჩერებინათ. რაცაზეც გადავეცით, როგორ მოვიქცეთ, დავბრუნდეთ, ტყვიამფრქვევი შევაკეთოთ თუ გავაგრძელოთ-თქო, მაგრამ რაცა აღარ ფუნქციონებდა. ხმა ჩაიხშო და კავშირზე ვერავინ გამოდიოდა. სხვა გზა არ იყო, მანქანას ლუქი დავაფარეთ, ავტომატები სათოფურებში გავყავით და სროლით ვუპასუხეთ. რადგან გია რომელაშვილი საქვსთან იჯდა, მისი მჭიდვეტიც ჩვენ გამოვიყენეთ. ჩვენი რაც გვქონდა, ამოვწურეთ. მოხდა ისე, რომ რაცაზე კავშირი აღდგა და მთავრობის სახლთან ვართო, დაიძახა ვიღაცამ.

გარეთ შენობა დავინახე, ალბათ, საბავშვო ბაღი იქნებოდა, რადგანაც ფანჯრები ჰქონდა მოხატული. იქვე

გზა შედიოდა. იმ გზაზე ჩვენი ორი ტანკი იდგა, რომელთაც ლულები ერთი მიმართულებით მიატრიალეს. მივხვდი, რომ მთავრობის სახლთან ვიყავით. რაცაზე ხმა წყვეტილად მოდიოდა. აქ არიან მობილიზებული და ყურადღებით იყავითო, გაისმა მორიგი შეტყობინება. მთავრობის სახლიდან ჩვენს ტანკებს ყუმბარმტყორცნიდან ესროლეს, ტანკს მუხლუხზე ცეცხლი მოუკიდა. ვიფიქრე, რომ ჩვენებიც ესროდნენ, მაგრამ ტანკმა არ გაისროლა. არ ვიცი, რა მოხდა, ან დაზიანდა, ან კიდევ, როგორც ჩვენ, იმათაც ისე გაუთავდათ ტყვიები. ასე ცეცხლმოკიდებული დატრიალდა და უკან წამოვიდა. თავისთავად მას მეორე ტანკიც გამოჰყვა. ჩვენ ტყვიები აღარ გვქონდა და მოვილაპარაკეთ, ტანკებს უკან გავყოლოდით. მაგრამ გზა შეეშალათ და აღმოვჩნდით უბანში, სადაც კორპუსები იყო ძალიან შორს და წინ კი - გამხმარი ბალახით დაფარული მინდორი. წინ ბაღებიც ჩანდა, სავარაუდოდ, ბლინდაჟები იყო გათხრილი. ტანკებმა კი გაიარა, მაგრამ ჩვენი მანქანა ტალახში ჩაეფლო და ვეღარც წინ მივდიოდით და ვეღარც უკან. ტანკები ზემოთ ასვლას ცდილობდნენ, ამ დროს კორპუსებიდან მათი მიმართულებით სროლა ატყდა. ესროდნენ ყუმბარმტყორცნიდან.

სიკვდილის პირისპირ

არსენ დოლიძე იყო ჩვენს ეკიპაჟში, დღეს უკვე მოქმედი ოფიცერი, მხოლოდ მას ჰქონდა ტყვია-წამალი დარჩენილი და ისროდა კორპუსების მიმართულებით. უკან კიდევ ერთი მანქანა მოგვეყვებოდა, რომელიც ახლოს აღარ მოსულა, მიხვდნენ, რომ ისინიც გაიჭედებოდნენ. რადგან გვესროდნენ, გვერდითი კარების გაღებას აზრი არ ჰქონდა, უკანა კარი გავაღეთ და მოვინდომეთ, ჩვენ უკან მდგარ მანქანაში გადავმხტარიყავით. ასე სროლა-სროლით გადავიდა სამი ადამიანი. ეკიპაჟში სულ შვიდნი ვიყავით. მძღოლი, ეკიპაჟის მეთაური ზაზა ვეჟუა და დანარჩენი - მებრძოლები. შემდეგ საუბარში გაირკვა, რომ ბიჭებს ჩვენზე უთქვამთ, კიდევ არიან იქ ბიჭებიო. თვითონაც ბევრნი ყოფილან და ამდენი ვერ ჩავგვსვს, უთქვამთ, უკანა მანქანა წამოიყვანსო. ეს სამი რომ მივიდა, მერე მე გადმოვხტი და ბერიძე მომყვა უკან. სუთი ნაბიჯი არ მქონდა გადადგმული, თითქოს გავფრინდი, როგორც ფილმებშია, ზუსტად ისე, რაღაცამ გადამაგდო და სახით დავეცი. ტკივილი არ მიგრძენია.

იმხელა ძალა ჰქონია ტყვიას, რომ გამისროლა. მაშინ მივხვდი, ფილმებში რომ ხდება, მართალი ყოფილა. ნეკნები ჩამიმტვრია, ფილტვი დაგლიჯა და ილიასთან გაჩერდა. დღესაც სხეულში მაქვს ტყვია, ვერ იღებენ. ერთი ეს მახსოვს, არსენ ბერიძეს ვუთხარი, თუ ვერ გამიყვანო, აქ ცოცხალი არ დამტოვოთ-მეთქი. როგორც შემდეგ მომიყვანენ, თხრილში ჩავვარდნილვარ და ამან მიშველა. სატყუარასავით ვიყავი, ბიჭებს, რომლებიც ჩემს გადასარჩენად ჩემთან მოდიოდნენ, ესროდნენ. გია რომელაშვილს ჯავშანჭილეთი კი ეცვა, მაგრამ მანქანიდან გადმოსვლისას სკამს გამოსდებია. იმას კი სიჩქარის გამო მოუხსნია და დაუტოვებია. მისი ტყვიები ხომ ჩვენ ვისროლეთ, პირადი რევოლვერი ჰქონია წამოღებულად, რამდენიმე გასროლა მოუხსნია და კიდევ ჩაუცხრილავთ. ჯავშანჭილეთი რომ ცმოდა, გადარჩენის შანსი ჰქონდა. მეც კი მეცვა, მაგრამ მე გვერდში მომხვდა ტყვია, იმ ადგილას, რომელიც ჟილეთით ვერ იფარება.

ბრძოლის ველიდან საავადმყოფოში

ბუნდოვანად მახსოვს რაღაცები. ვერ ვსუნთქავდი, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ყელში ხელს მიჭერდა ვილაცა. წყალს ვითხოვდი, არ შეიძლება, მეუბნებოდნენ. უკანა მანქანა ახლოს მოვიდა და შემიყვანეს. მერე გონებაც დამიკარგავს. როცა გამომიყვანეს, ყველას მკვდარი ვგონებოვარ. სახეზე სულ გაშავებული ვყოფილვარ, ვერც გიცანით, შენ თუ იყავი, ბიჭებმა მითხრეს. მანქანაზე მომათავსეს დაჭრილებთან ერთად. ეტყობა, ფეხზე ძალიან მიძიმედ მომხვდა და ტკივილი ვიგრძენი. რამაც გამომაფხიზლა და მაშინ მოვითხოვე წყალი, სახეზე მაინც დამასხით-მეთქი. მახსოვს, მანქანის ძარაზე ჩემ გვერდით ინვინი, მეუბნებოდნენ, ჩვენც დაჭრილები ვართ, ნუ გეშინია, ძმაო, ცოტა გაუძლიო. მივხვდი, რომ ისინი ჩვენს ეკიპაჟს გამოუყვანია. ამის შემდეგ ისევ გავითიშე. თვალები რომ გავახილე, დავინახე თეთრხალათიანი ქალბატონი. ძნელი მისახვედრი არ იყო, საავადმყოფოში ვიყავი. პირველი დადებითი? - მკითხა. მივხვდი, სისხლის ჯგუფზე მეკითხებოდა და თავი დაუქუჩი.

ვიყავი, როგორც უცნობი, ჩემი სამმართველო ვერ მპოულობდა. პირველად საგურამოში გადავუყვანივარ, სადაც პირველი დახმარება ერთმა ქალბატონმა გამინია, რომელსაც ნინო ერქვა, გვარი არ მახსოვს. ჩემი ნივთები თან მქონდა, ამ ქალბატონს ჩემი ტელეფონი დაუფიქსირებია და ლუდუშაურში როცა ვინეკი, დამირეკა, მინტერესებდა, გადარჩი თუ არაო. მისგან გავიგე, რომ პირველად საგურამოში მიმიყვანეს.



გიორგი აბლაქის ფოტო

იმ საავადმყოფოში მამაჩემის ბიძაშვილი მუშაობდა, იმან გააგებინა ჩემებს, რომ ცოცხალი ვიყავი. იქამდე მეძებდნენ. სულ ბოლოს ბიძაჩემთან დავრეკე, არ მითქვამს, რომ ომში ვიყავი, ვუთხარი, ბაზაზე ხანდახან არ იჭერს ტელეფონი, კარგად ვარ, არ ინერვიულოთ-მეთქი. დროდადრო გონებას ვკარგავდი, ერთხელაც თვალი რომ გავახილე, დავინახე, დედაჩემი მედგა თავთან და კბილებს მისინჯავდა, ხომ არ ჩაგმტვრავო. რამდენიმე დღეში ტყევა აღარ იყო საავადმყოფოში და ქირურგიის ინსტიტუტში გადამიყვანეს. როგორც მითხრეს, ოთხი ლიტრი სისხლი გადამისხეს. მარტო გულში იყო სისხლი დარჩენილი. მოკლედ, უფლის ძალით, გადავრჩი. სიგარეტს არ ვენეოდი და როგორც ექიმმა მითხრა, ამან გადამარჩინა. მხოლოდ ფილტვის დაგლეჯილი ნაწილი მოგაჭერით და აღდგებაო, დამაიმედეს.

საავადმყოფოდან საავადმყოფოში გადაყვანის დროს თურმე გატეხილი ნეკნი დაიძრა და ფილტვს მიეზღინა. ასე აღმოვჩნდი ისევ რენიმატოზში, აპარატზე. გონება კი მქონდა, მაგრამ ვერ ვსუნთქავდი. ორი კვირა ვიყავი ასეთ მდგომარეობაში. ექიმებმა ივაჟკაცეს და გადამარჩინეს. ერთ დღესაც მითხრეს, აპარატიდან უნდა მოგხსნათო. 29 აგვისტოს უკვე სახლში ვიყავი.

თანამებრძოლის ისტორია

გია ჩემთან ერთად ვერ გამოუყვანიათ. ჩემი (პირველი) სამმართველოს უფროსს, ზაზა ბიჩინაშვილს უთქვამს, იქ ბიჭები დამრჩნენ და უნდა გამოვიყვანო. ვინ მომიყვებო, უკითხავს, ხელი არავისთვის დაუღია. ნასულან ბიჭები, შესულან და ასეთი სურათი დახვედრიათ: ცხედართან ნამყოფები იყვნენ, მაგრამ არ გაუძარცვავთ. სახეზე თავისივე მაისური ჰქონია გადაფარებული. ქორწინების ბეჭედი, იარაღი, ყველაფერი ადგილზე ყოფილა. ამბობენ, მიცვალეზულმაც საქმე გააკეთაო. მანქანაში ჩასმის დროს იმათ კიდევ

უსვრიათ და გიას მოხვედრია ფეხში, თორემ თურმე სხვას ხვდებოდა. საავადმყოფოდან სულ ვურეკავდი და მეუბნებოდნენ, დაჭრილიაო, მიმალავდნენ. სახლში როცა გამოვედი, ვილაცამ მკითხა, გია როგორ დაიღუპაო? არ იცოდა იმან, რომ მე არ ვიცოდი. რას ამბობ, დაჭრილია-მეთქი! იმ დღეს გავიგე, რომ დაღუპულა.

ომის შედეგად

შემომთავაზეს, შეგიძლია, პენსია გააკეთო. სამკურნალო ვიყავი, ვერ ვდგებოდი, ფეხებს ვერ ვიმორჩილებდი. ალბათ, ნევროზიც მქონდა. ეს ომი ჩემთვის პირველი იყო, თუმცა შიშის გრძობა არ მქონია. ვერ მოვასწარი შიში, არც ბიჭებს ჰქონიათ, ერთმანეთს თვალელებში შევეყურებდით და თვალეებით ველაპარაკებოდით, ვის რა გვჭირდებოდა. საჭმლისკენაც არ გავიხედავს. ერთადერთი - წყაროს წყალი დავლიეთ ნიქოზში.

ამჟამად ხერხემალიც მანუხებს, ამ ტყვიის გამო ვერაფერს მიგებენ. არც რედგენზე ჩანს, არც - ექოსკოპიაზე. კომპიუტერზე უნდა გამაშუქონ, მაგრამ ტყვია რომ მაქვს სხეულში, არ შეიძლება. ბუდე უნდა გაიკეთოს და მერე ამოვიღებოთ. ბუდე კი გაიკეთა, მაგრამ მკლავის მთელი კაპილარი და ნერვი ამ ბუდეში მოყვა და ვერ გამიკეთეს. ვარჯიშითაც ვეღარ ვვარჯიშობ. ტურნიკზე რომ ჩამოვეკიდე, მკლავში ისეთი ტკივილი ვიგრძენი, რომ გამთიშა და ძირს ჩამოვვარდი. სიარული რომ დავინწყე და ცოტა ფორმაში მოვედი, არავითარი პენსია, თუ დამტოვებთ ჩემს სამსაუხროში, ვიმსახურებ-მეთქი, ვუთხარი.

როცა სიმძიმის ანევა მინეცს, ბიჭები მეხმარებან. მოკლედ, დავრჩი სამსახურში და ვარ ისეთივე სულსკვეთებით. შეიძლება, ჯავშანჭილეთი ვეღარ ჩავიცვა, მაგრამ თუ დაჭირდება ჩემს ქვეყანას, უკან არ დავიხევ და ისევ ვიბრძობ.

ზაირა მიქაბაძე

რუსეთის მთრები აგრესია ქერჩის სრუტეში

გასული წლის 26 ნოემბერს უკრაინის უმაღლესმა რადამ დაამტკიცა პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოს ბრძანება უკრაინის ათ ოლქში საომარი მდგომარეობის გამოცხადების შეახებ. მიზეზი უკრაინულ სამხედრო გემებზე რუსი მესაზღვრეების თავდასხმა იყო.

2014 წელს, რუსების მიერ ყირიმის ოკუპაციისას, რამდენიმე კურსანტმა უარი თქვა სევასტოპოლის ანექსირებულ სამხედრო-საზღვაო აკადემიაში სწავლის გაგრძელებაზე. მათ მიატოვეს სამწყობრო მოედანი, აკადემიის ერთ ფლიგელში მოეწყვენ და უკრაინის სახელმწიფო ჰიმნი დააგუნეს. მღეროდნენ მთელი ძალ-ღონით, ძარღვების დასკდომამდე და პროტესტს, სამშობლოს ერთგულებას, შეუპოვრობას, სიმამაცეს, ყველაფერს ერთად გამოხატავდნენ.

გასული წლის 25 ნოემბერს ქერჩის სრუტეში, რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდებმა სამ უკრაინულ კატარღას: მცირე ჯგუფან-საარტილერიო კატერებს „ბერდისკისა“ და „ნიკოპოლს“, ასევე, სარეიდო ბუქსირს, „იანი კაპუს“, ცეცხლი გაუხსნეს. დააპატიმრეს 24 მეზღვაური, მათ შორის იყვნენ სევასტოპოლის აკადემიის ის კურსანტებიც, რომელზედაც ზემოთ მოგახსენეთ. რამდენიმე მათგანი დღეს რუსების ტყვეობაში იმყოფება. რუსეთი უკრაინელ მეზღვაურებს სისხლის სამართლის კოდექსის 322-ე მუხლის მე-3 ნაწილით („სახელმწიფო საზღვრების უკანონო გადაკვეთა“) გათვალისწინებულ დანაშაულში ამხელს, რაც ექვსი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

რუსეთის მიერ დაპატიმრებული იქნენ უკრაინელი მეზღვაურები: **სერგეი ციბიზოვი, რომან მოკრიაკი, ბოგდან ნებილიცია, ოლეგ მელნიჩუკი, დენის გრიცენკო, ბოგდან გოლოვანი, ანდრეი არტემენკო, ანდრეი ეიდერი, იური ბეზიაჩნი, ვასილ სოროკა, სერგეი ზიბიზოვი, ანდრეი ოპრისკო, ანდრეი დრაჩი, ვიარესლავ ზინჩენკო, ვლადისლავ კოსტიშინი, სერგეი ჩულიბა, სერგეი პოპოვი, იური ბუძილო, ვლადიმირ ლისოვი, ევ-**

გენე სემიდოცკი, ვიქტორ ბესპალჩენკო, მიხეილ ვლასიუკი, ვლადიმერ ვარიმეზი, ვლადიმერ ტერეშენკო.

თავდასხმის შედეგად ექვსი მეზღ-

უკრაინელი მეზღვაურების სოლიდარობის მიზნით, გასული წლის 4 დეკემბერს, ქ. თბილისში, მშვიდობის ხილთან, ააიპ „შეიარაღებული ძალების მხარდაჭერისთვის“ ინიციატივითა და თაოსნობით, მშვიდობიანი აქცია გაიმართა. აქციაში აფხაზეთისა და 2008 წლის აგვისტოს ომის ვეტერანებთან ერთად სტუდენტები და მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ. აქციას ესწრებოდნენ უკრაინის საელჩოს წარმომადგენლებიც. „შენყდეს რუსეთის აგრესია უკრაინასა და საქართველოში“, - იყო აქციის მონაწილეთა მოთხოვნა.

ვინ არიან მეზღვაურები, რომლებიც რუსეთის ტყვეობაში იმყოფებიან?

ყირიმის ანექსიამდე ბოგდან ნებილიცი ნახიმო-



ბოგდან გოლოვანი

ღვაური დაიჭრა, მათ შორის 24 წლის ანდრეი არტემენკოს, 27 წლის ვასილ სოროკას და 18 წლის ანდრეი ეიდერს ოპერაცია ქერჩის საავადმყოფოში ჩაუტარდათ. დაკავებული მეზღვაურები ამჟამად მოსკოვში იმყოფებიან. როგორც სხვებს, ასევე დაჭრილებ-

ვის სახელობის სევასტოპოლის სამხედრო-საზღვაო აკადემიაში სწავლობდა. 2014 წელს, რუსების მიერ აკადემიის ოკუპაციისას, ის არ დათანხმდა ოკუპანტების წინადადებას მაღალი სტიპენდიის დანიშვნის შესახებ. მე ფიცს არ ვტეხო, იყო მისი პასუხი. როდესაც ფლაგშტოკიდან უკრაინის საზღვაო ძალების დროშა ჩამოსხნეს და მის ნაცვლად რუსეთის საზღვაო ძალების დროშა აღმართეს, ბოგდანმა სხვა მეზღვაურებთან ერთად, უკრაინის სახელმწიფო ჰიმნი იმერა. ამის შემდეგ იგი ოდესის საზღვაო აკადემიაში გადავიდა, რომელიც 2016 წელს დაამთავრა და მცირე საარტილერიო კატარღის - „ნიკოპოლის“ მეთაური გახდა. შემდეგი კატერი, რომელიც ნებილიცის მეთაურობის ქვეშ უნდა ყოფილიყო, „აილენდი“ იყო, რომელიც უკრაინამ შეერთებული შტატებიდან მიიღო.

25 წლის ბოგდან ნებილიცი ერთ-ერთია იმ 24 უკრაინელ მეზღვაურთაგან, რომელთაც რუსმა აგრესორებმა ქერჩის სრუტეში ცეცხლი გაუხსნეს და სამხედრო ტყვეობაში აიყვანეს. როგორც დანარჩენები, ასევე, უფროსი ლეიტენანტი ბოგდან ნებილიციც უტეხად დგას და რუსეთის გამოძიებასთან თანამშრომლობას არ აპირებს.

„ბერდიანსკის“ მეთაური, 31 წლის რომან მოკრიაკი, სამხედრო მოსამსახ-

ОБЛИЧЧЯ МОЇХ ГЕРОЇВ

Богдан НЕБИЛИЦЯ

2014
Курсант мореходки в Севастополі. Серед тих, хто співав гімн України

2018
Командир військового катеру "Нікополь". Серед полонених росіянами

საც, რუსმა სამართალდამცველებმა უკრაინის კონსულთან შეხვედრის ნება არ მისცეს. უკრაინა რუსეთს აგრესიაში ადანაშაულებს და დაკავებული მეზღვაურების გათავისუფლებას მოითხოვს.

ურის ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. ყირიმის ანექსიის დროს იგი უკრაინულ წყალქვეშა გემ „ზაპოროჟიაზე“ მსახურობდა. ყირიმის ოკუპაციის შემდეგ რუსებმა უკრაინელებს ეს გემიც წაართვეს. ხოლო

მოკრიაკს შესთავაზეს, დარჩენილიყო გემის მეთაურად. სამხედრო მეზღვაურმა არ ისურვა, გაეტეხა სამშობლოს ერთგულების ფიცი. ეკიპაჟის 72-მა წევრმა გადაწყვიტა, დარჩენილიყო გემზე და რუსეთის დროშის ქვეშ ემსახურა. ხოლო 29 მეზღვაური, მათ შორის უფროსი ლეიტენანტი რომან მოკრიაკი, ყირიმიდან წავიდა. მოკრიაკმა ყირიმში ბინა მიატოვა და ოდესაში გადავიდა, იგი 15-ადგილიან სარაკეტო



კატერ „პრილოუკზე“ მოეწყო და იქვე დასახლდა, რადგანაც ოდესაში ბინის ქირაობა ძვირი ჯდებოდა. მეზღვაურმა ამჯობინა, სპარტანულ პირობებში ეცხოვრა, ვიდრე აგრესორის დროშის ქვეშ ეცურავა. უკრაინული გემების დაბომბვის შემდეგ „ბერდიანსკის“ მეთაურს სულაც არ შეშინებია. იგი უტეხად იდგა და არ რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის გამოძიებასთან თანამშრომლობას არ თანხმდებოდა. მან არ უპასუხა დასმულ შეკითხვებს და, რა თქმა უნდა, არც თავს თვლის დამნაშავედ.

უფროსი მატროსი, 23 წლის ბოგდან გოლოვანიძე სევასტოპოლის სამხედრო-საზღვაო აკადემიის იმ კურსანტებს შორის იყო, რომლებმაც ოკუპაციის შემდეგ ყირიმი დატოვეს. არც ის და-

თანხმდა შეთავაზებულ მაღალ სტიპენდიას და სწავლის გასაგრძელებლად ოდესაში გადავიდა.

უფროსი მატროსი, ანდრეი არტემენკო 20 წლის იყო, როდესაც პირველი

კონტრაქტი გააფორმა. ამ დროისთვის ყირიმი ანექსირებული იყო რუსი სამხედროების მიერ. ხოლო გემი „პრილოუკი“, სადაც არტემენკო მსახურობდა, წართმეული იქნა. მეზღვაური ოდესაში გადავიდა, რათა ოდესის სამხედრო-საზღვაო აკადემიაში ჩაებარებინა. სამხედრო-საზღვაო კარიერაზე იგი ბავშვობიდან ოცნებობდა. მალე „პრილოუკი“ უკრაინაში დაბრუნდა. 25 ნოემბერს, უკრაინული გემების დაბომბვისას, 24 წლის არტემენკო ჭურვის ნამსხვრევებით დაიჭრა. მას სავარაუდოდ, ძვლები დაუზიანდა.

დაპატიმრებულ მეზღვაურთაგან მატროსი ანდრეი ეიდერი ყველაზე პატარაა, 18 წლისა. აყვანის დროს ისიც დაიჭრა. ქერჩში ოპერაციის გაკეთების შემდეგ მას დარეკვის საშუალება

მისცეს. ანდრეი შეყვარებულ გოგონას დაუკავშირდა და უთხრა, რომ ყველაფერი კარგად იყო.

ეიდერიც ბავშვობიდან ოცნებობდა მეზღვაურობაზე. რამდენიმე წელი იგი ოდესაში, ბუბიასთან ცხოვრობდა, რათა საზღვაო სასწავლებელი დაემთავრებინა. დატყვევების დროს მატროსს სულ რამდენიმე თვე ჰქონდა ნამსახური. ეს მისი პირველი რეისი იყო.

27 წლის ვასილ სოროკამ არაერთხელ შეასრულა საბრძოლო დავალება ანტიტერორისტული ოპერაციის მოქმედებების ზონაში. უკრაინულ გემებზე რუსი აგრესორების თავდასხმის შედეგად იგი მძიმედ დაიჭრა. მეზღვაურმა ცოლთან დაკავშირება შეძლო. „ირინა, ვარ ცოცხალი, ჯანმრთელი. ხელები და ფეხები მაქვს მთელი“, - უთხრა მან მეუღლეს.

2014 წელს, სევასტოპოლის სამხედრო-საზღვაო აკადემიის ანექსიისას, ანდრეი დრამაც განაცხადა უარი, გაეტეხა თავისი ქვეყნის ერთგულების ფიცი. მან ყირიმში უკრაინის დროშის ჩამოხსნის დროს, სხვა კურსანტებთან ერთად სამშობლოს ერთგულების ნიშნად, უკრაინის სახელმწიფო ჰიმნი შეასრულა.

რუსეთის სამხედრო საზღვაო ფლოტის შტურმისას დაკავებული 24 უკრაინელი მეზღვაური დღემდე რჩება სამხედრო ტყვეობაში.

მომზადდა ზაირა მიქაშაქაძე



უკრაინულ მეზღვაურთა მხარდასატარებელი პატივით მთიანეთში

განსიკ ბელთაძე



ოვანეს ანზორ და ინეზა ბელთაძეები, ოთხ ვაჟთან ერთად, სოხუმში ბარათაშვილის ქუჩაზე, მშვიდად და ბედნიერად ცხოვრობდნენ. ომმა, ისევე როგორც ყველა სოხუმელს, მათაც დაუკარგა სიმშვიდე. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 16 წლის შვილს, ბესიკს, ომში ჩაბმის წყურვილი შეატყვეს. ჯერ აფხაზეთის დასაცავად, შემდეგ კი მის დასაბრუნებლად იბრძოდა ბესიკი. ორი წელი თითქოს ცოტაა, მაგრამ ამ ორ წელში იგი ძალიან გაიზარდა - იარაღიც ისწავლა, ბრძოლაც და თავგანწირვაც. 18 წლის ბიჭმა შეძლო, ისეთი სახელი დაეტოვებინა ამ ქვეყნად, რომ მასზე ყოველთვის სიამაყით ისაუბრებდნენ. სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასლის ორდენით დააჯილდოვეს, დედისთვის კი მაინც გაუნელებელ ტკივილად დარჩა შვილის სიკვდილი. მან ცრემლების გარეშე ვერც ჩვენთან შეძლო ლაპარაკი. ჩვენ კი მაინც ვთხოვეთ, მოეყოლა, როგორი იყო ბესიკი და რამ აიძულა 16 წლის ბიჭი, ომში წასულიყო...

ქალბატონო ინეზა, ასეთი პატარა ბიჭი როგორ მოხვდა ომში?

– ომი რომ დაიწყო, ბესოს მოუსვენრობა დაეტყო. გული მშობლიური კუთხის დასაცავად მიუწევდა. ერთ დღესაც გაგვეპარა და ავლანელთა ბატალიონში მივიდა. პატარა ხარო, თურმე იარაღს არ აძლევდნენ, მაინც მათთან დარჩა ბოლომდე. ბოლოს კი ფუნქციონირის დაცვაში მონაწილეობდა. სოხუმი რომ დაეცა, თავი ქუთაისს შევაფარეთ. ბესო თბილისში გამომეპარა, მერვე პოლკში მისულა. გავიგე და ჩამოვაკითხე. ეზოში მდგარი „ბეგეპისკენ“ მიმითითეს, იქ იქნება შენი შვილიო. ახლოს რომ მივედი, თავი ჰქონდა ამოყოფილი და მასზე ბევრად უფროსი ასაკის კაცს ნაწილის გამოცვლას ასწავლიდა. უფროსთან მივედი და ვუსაყვედურე, ჯერ 17 წლისაც არ არის და რატომ გყავთ აქ-მეთქი? ახლა გარდატეხის პერიოდი აქვს, ფრთხილად დაველაპარაკები და ნელ-ნელა

ოვანი დაპატიმრებული

გამოვუშვებო, მიპასუხა. გამოუშვიათ, მაგრამ სახლში არ მოსულა, ქუთაისის სამხედრო პოლიციაში ჩარიცხულა. მისი დაშლის შემდეგ კი ერთ-ერთ სპეცრაზმში შევიდა და მასთან ერთად დაზვერვაზე დადიოდა. ერთხელაც, სახლში რომ არ მოვიდა, მივაკითხე. იქ კი მითხრეს, თქვენმა შვილმა სოხუმს გადახედა, მაგრამ ნუ გეშინიათ, უკვე აქ არისო.

– ძნელია, მაგრამ იქნებ გაიხსენოთ, რა ვითარებაში დაიღუპა ბესიკი?...

– 1995 წლის 5 სექტემბერს, გაღამი ერთ-ერთი ოპერაციის დროს, სამი დაიჭრა, აქედან ორი გადაარჩა, ჩემი შვილი კი სასიკვდილოდ იყო დაჭრილი. სროლების შემდეგ ბიჭები გაფანტულან, უკან ორი საათის შემდეგ მიბრუნებულან. სიმინდებში მომხდარა ეს შეტაკება. დაჭრილები გაღამი, ერთ-ერთ ოჯახში მიუყვანიათ. ერთმა დაჭრილმა თქვა, ხელი მომიკდა და გაერო, გაერო, მითხრაო. ანუ, გაეროს შეატყობინეთო. მერე თანდათან დაკარგა ძალა, ხელი გამიშვა და კიდეც მოკვდაო. დაჭრილების გამოსაყვანად მისული ბიჭებისთვის

იცოცხლაო. ქუთაისში, საფიჩხიას სასაფლაოზე, საფლავებს შორის, ერთ ბუნო ადგილას დავასაფლავეთ. გვეგონა, დროებით ვიყავით გამოქცეული, აფხაზეთში დავბრუნდებოდით და გადავასვენებდით. იმჟამად ქუთაისში ვცხოვრობდით, ახლა კრწანისში ვცხოვრობთ და ორ თვეში ერთხელ ძლივს ვახერხებ საფლავზე ჩასვლას. ხან აქ გავამზედებ ხოლმე რაღაცებს და მის სახელზე ავადმყოფ ბავშვებთან მიმაქვს.

– რას იტყვით თქვენი შვილის შესახებ, როგორი იყო იგი?

– ბესო უსინდისობას და უსამართლობას ებრძოდა ყოველთვის. აფხაზეთიდან ტყვეები გადმოჰყავდათ და შემდეგ იქით, ტყვეობაში მყოფ ჩვენს ბიჭებზე ცვლიდნენ ხოლმე. თურმე საშინელი ვაჭრობა მიდიოდა, რასაც ჩემი შვილი ღიად უპირისპირდებოდა. ვეხვეწებოდი, შეეშვი, მოგკლავენ-მეთქი. დავალეზაზე პირველი ყოველთვის ბესო გარბოდა თურმე. ბიჭები იხსენებენ, აფხაზები გამწარებული ექებდნენ, „კტო ეტო მალაღოი“–ო.

მარჯვნიდან ჰირველი ბესიკ ბელთაძე



უთქვამს, დედაჩემთან წამიყვანეთო. ექვსი საათი უცოცხლია. აფხაზებს რომ არ ენახათ, ბრეზენტში გაუხვევიათ და მიწაში ჩაუფლათ. თვითონ კი ცხენის საძებნად წასულან. მოუყვანიათ, ამოუღიათ მიწიდან, ცხენზე გადაუკიდებიათ და ისე წამოუყვანიათ. მე თუთიის კუბოთი მომისვენეს. ექიმებს უთქვამთ, მაგარი ჯანმრთელი ბიჭი ყოფილა, ასე მიმიედ დაჭრილმა ამდენი ხანი რომ

ყუმბარმტყორცნილი იყო, ერთ-ერთი დავალების დროს ერთი შენობა უნდა აეფეთქებინა, რომელიც სომხებითა და ჩეჩნებით ყოფილა სავსე. აივანი ჰქონია ამ შენობას და მალლობზე მდგარა. მიძიე ჩექმები ეცვა ხოლმე ჩემს შვილს. ეს ჩექმიანი ფეხი რომ გლიჯა თურმე კარს, შეუმტვრევია, ასაფეთქებელი უსვრია, თვითონ კი აივნიდან გადმომხტარა და სულ კოტრიალ-კოტრიალით დაშვებულა დაღმართზე. 29 კაცი ჰაერში აუნწევია. არ მინდოდა, ჩემს შვილს რომ ეს გაეკეთებინა. მისი ხელით მტრის სიკვდილიც კი არ მინდოდა, 18 წლის იყო მაშინ. მთელი ზუგდიდი ამ ამბავს ყვებოდა და თურმე ამის ჩამდენი ჩემი ბესო ყოფილა. სახლში არაფერს იტყოდა. სულ სხვისგან ვიგებდით ამბებს.

ულამაზესი ბავშვი იყო, ცისფერთვალეზა, შავი წამწამებით, მალალი. ბავშვობიდან კაპელაში მღეროდა. ეს საჯიშე ბიჭი ომში ვინ გაუშვავო, შეხედავდნენ და ასე ამბობდნენ. ვუთხარი, შვილო, წამოდი, „შვიდ კაცამი“ შეგიყვან-მეთქი. რა დროს „შვიდ კაცამი“, აფხაზეთია დასაბრუნებელიო... დედა, შენ ხომ მიყვარხარ, მაგრამ სამშობლო შენზე მეტად მიყვარსო. ეს რომ მითხრა, გული ჩამწყდა და ველარაფერი ვუპასუხე.

ესაუბრა ზაირა მიქაბაძე



რევაზ ქარცივაძე მშობლებთან

და ხუთ დედ-მამიშვილთან ერთად შუახევის რაიონის სოფელ ჭვანაში ცხოვრობდა. საშუალო სკოლაც იქ დაამთავრა. 1984 წელს საბჭოთა ჯარში გაინვიეს. იმ ხანად წვევამდებლების ოჯახები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა მათი შვილი ავღანეთში არ მოხვედრილიყო. რევაზის მშობლებს ამის საშუალება არ ჰქონდათ. ისიც ღმერთს მიენდო და წავიდა. როდესაც ტაშკენტში ჩაიყვანეს, ნათელი გახდა, რომ ავღანეთისთვის მომზადებას უპირებდნენ. ასეც მოხდა, რამდენიმე თვეში პაკისტანის საზღვარზე, ქალაქ ჯალალაბადში, აღმოჩნდა. სპეციალური დაზვერვის ბატალიონის რიგებში მყოფს სიკვდილისთვის ბევრჯერ თვალეზი ჩაუხედავს, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, ავღანეთმა მას დიდი გამოცდილება შესძინა, რომელიც შემდეგ საკუთარ ქვეყანას მოახმარა.

რევაზ ქარცივაძე: „საბრძოლო გავლენები ხშირად გვექონდა, პაკისტანიდან ქარავნებით იარაღი შემოჰქონდათ და ამის აღკვეთა გვევალებოდა. მოჰქონდათ ვირებით, ჯორებით, ცხენებით, აქლემებით. ჩვენ კი ჩასაფრებას უწყობდით და იარაღს ვიღებდით. იცოდნენ, რომ ვისაც იარაღი არ ჰქონდა, იმ ხალხს არ ვერჩოდით, ამიტომაც მოსახლეობას არც ვუყვარდით და არც ვშუღდით. პირიქით, იმათკენ იყვნენ, ვისაც იარაღი შემოჰქონდა“.

ავღანეთის შემდეგ ჯერ ცხინვალის რეგიონში დაიწყო არეულობა, შემდეგ კი - აფხაზეთში. ამ დროს რევაზ ქარცივაძე პოლიციის აკადემიის მესამე კურსის კურსანტი იყო. 1991 წლის დასაწყისში პოლიციის აკადემიის სწრაფი რეაგირების ჯგუფთან ერთად ცხინვალში სიტუაციის გასაკონტროლებლად შევიდა, სადაც წელიწადი და ორი თვე დაჰყო. ამ ხანში აფხაზეთის ომიც დაიწყო და კურსანტების ერთი ასეული იქ გადაისროლეს.

„ჩვენი შტაბი უმეტესად თამარაშენში იყო, მორიგეობა კი სხვადასხვა ადგილას გვინევდა, როკის გვირაბში, ჯავაში და სხვა ადგილებში. საერთო შტაბის ხელმძღვანელი გივი კვან-

„ხელავლით, მანქანას, სადაც ჩვენი ბიჭები იხდნენ, ხეხლი ეკიდა“

ტალიანი გახლდათ. ცხინვალის როცა იკეტებოდა, მთებზე შემოვლით გადავდიოდით ხოლმე ერედვში. იქიდან კი - გორში. ხშირი იყო ღამის შემოტევები. გვესროდნენ ქალაქიდან. ლიხვის ხეობიდან შემოდოდნენ და მოსახლეობას ანიოკებდნენ. პირველი მსხვერპლი კურსანტი ლობჯანიძე იყო, შიგ ცხინვალში დაიღუპა. იქიდან დაბრუნების შემდეგ სიტუაცია აირია აფხაზეთში და კვანტალიანმა ერთი ასეული გაგვავაზვნა. მაშინ მესამე კურსზე ვიყავი, 25 წლისა. გადაგვისროლეს გვარაში. ზურგის მხარეს იდგა მხედრიონი, ჩვენ ზღვის ზოლს ვაკონტროლებდით. სექტემბრის ბოლო რიცხვები იყო. ღამით ძლიერი შემოტევა განახორციელეს, გუმინდელივით მახსოვს, კუბიკებიანი ტანკები როგორ ატრიალებდა ლულებს და ირგვლივ ისროდა. ჩვენ ტყვიამფრქვევებითა და ყუმბარმტყორცნებით ვიყავით შეიარაღებულები, რითაც იმათ ტანკებს ვერაფერს დააკლებდი. თვითონ კი ისეთი ჭურვები ჰქონდათ, ჩვენს მანქანებს ჰვერში ისროდა. სერიოზული შემოტევა იყო, რამდენიმე ბიჭი დაგვეღუპა. ვინც გადავრჩით, სანაპიროს მხრიდან შევეცადეთ გამოუსულიყავით.

ამ ხანში მონინაალმდეგის ქვეითებიც გამოჩნდნენ, რომლებიც ყვიროდნენ, გზა გადაუწყეტოთ. სროლა-სროლით მოვდიოდით და ტყვიები სულ გამოგველია. მოედანზე საშინელი ამბები ტრიალებდა. ვხედავით, მანქანას, სადაც ჩვენი ბიჭები იხდნენ, ცეცხლი ეკიდა, მაგრამ ვერაფერს ვშველიდით. ასეულიდან 16 ბიჭი დაეკარგეთ. 5 კურსანტის გვამიც კი ვერ გამოვიტანეთ. სანაპიროთი მოვდიოდით. ჯგუფში თბილისელი აფხაზი გვყავდა, რომელიც კვანტალიანმა სპეციალურად მოავლინა, რათა გადაადგილებაში მოგვხმარებოდა. მიგვიყვანა ერთ-ერთ ოჯახში აფხაზებთან. შემოგვთავაზეს, იარაღები ჩვენ უნდა ჩაგვაბაროთ და ტანსაცემლები უნდა გამოიცვალოთ, ისე ვერ გადაგიყვანთ, რომ გაგვიგონ, ჩვენც დაგვხვრეტენო. ამაზე დავფიქრდით, იარაღის ჩაბარებისგან თავს ვიკავებდით. სულ ოც კაცამდე ვიყავით. სარდაფში ვიმალეობდით და შესაფერის დროს ველოდებოდით. იქ გავიგეთ ბიჭების შესახებ, რომლებიც ჩვენმა ასეულმა გვარაში დაკარგა. დაჭრილები მოედანზე მოაგროვეს და თავები დააჭრესო, ამბავი მოიტანეს. მეორე დღე გაილია, გაჩერება აღარ შეიძლებოდა, ჩვენი დამალვა შეუძლებელი იყო. შემოიტანეს ყველი

და პური, მაგრამ პირი არავის დაგვიკარებია. არც იარაღი ჩავაბარეთ. ზღვა ახლოს იყო, სათითაოდ გავდიოდით და წყალში ვყრიდით. ტანისამოსი მოვცვალავს, გამოვიცვალე, მაგრამ ჩვენი ზომა არ იყო და გვემჩნეოდა, რომ სპეციალურად გვექონდა გამოცვლილი. შუალამისას ვიღაც მოვიდა და სახლის პატრონს უთხრა, ჩვენ მზად ვართო. გამოვედით, ფეხით დიდხანს გვატარას, მერე გვიტხრეს, ან მანქანით უნდა ვიაროთო. არ ჰქნეს ბიჭებმა, რამე რომ მოხდეს, ყველანი ერთად ჩავიხოცებითო. ერთი ღამე კიდევ ვიარეთ ფეხით, სროლები უკვე შორს ისმოდა. სვანეთის მთებს მიგვაყენეს და გვითხრეს, უკვე სამშვიდობოს ხართ და თქვენს თავს თქვენ თვითონ მიხედეთო. ასე წვალეებით ჩამოვედით თბილისში და შტაბში გამოვეცხადდით. ჩვენი ბიჭებიდან რამდენიმე ყიური შარტავასთან იყო და ჩაცხრილეს. შტაბში გვითხრეს, კვლავ საჭირო ხართ ომში და თუ ნახვალთ? ვუპასუხეთ, ნავალით, აბა, რას ვიზამთ-თქო“, - იხსენებს რევაზ ქარცივაძე.

აფხაზეთის ომის შემდეგ იგი პოლიციაში მუშაობდა. ახლა კი დაცვის სამსახურის - „მგლების“ აჭარის ფილიალს ხელმძღვანელობს, სადაც, მისი თქმით 30-მდე ვეტერანი ჰყავს დასაქმებული.

საუბრის დასასრულს გამოცდილი „ავღანელი“ რჩევას აძლევს საერთაშორისო მისიაში მყოფ ქართველ ჯარისკაცებს: „მაქსიმალური ყურადღებაა საჭირო, იქ ისეთი სიტუაციაა, ყურადღების მოდუნება ერთი წუთითაც არ შეიძლება. ნდობაში არ უნდა შეხვიდე. იცით, რომ გაჭირვებული ქვეყანაა და საკვებისთვის ხშირად გვაკითხავდნენ ხოლმე, პროდუქტის სანაცვლოდ გვთავაზობდნენ ყველაფერს, რაც გააჩნდათ, ნდობაში შემოსვლის შემდეგ კი ბევრი ცუდი რამ ხდებოდა ხოლმე“.

საზოგადოებაში გაბატონებულ კითხვაზე, ან მაშინ რა უნდოდათ ჩვენს ბიჭებს ავღანეთში და ან ახლა რა უნდათ, ძველი „ავღანელი“ გვპასუხობს: „ალბათ, მაშინ ქვეყანას სჭირდებოდა და გვინვევდნენ. ახლაც სჭირდება ქვეყანას, მშვიდობას სჭირდება ჩვენი ჯარისკაცების იქ დგომა. ჩვენ რომ დაგვჭირდეს, ხომ უნდა დაგვეხმარონ?! მაშინ განვევა სავალდებულო იყო და უარს ვერ ვამბობდით. ახლა კი ბიჭები თავისი ნებით მიდიან და მშვიდობას იცავენ როგორც მსოფლიოში, ისე საკუთარ სამშობლოში“.

ზაირა მიქაბაძე

ახმატის მუნიციპალიტეტის საკრებულომ
თუშეთში მდებარე უსახელო მწვერვალს
საქართველოს ეროვნული გმირის, გიორგი
ანწუხელიძის სახელი მიანიჭა

2018 წლის 7 ნოემბერს ახმატის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამოსცა N36 განკარგულება „ახმატის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მთის სახელდების შესახებ“, რომლის თანახმადაც: ახმატის მუნიციპა-

ნყალგამყოფს წარმოადგენს. მწვერვალის გეოგრაფიული კოორდინატებია: ჩრდილოეთ განედის 42023'23" და აღმოსავლეთ გრძედის 45013'22". ლაშქრობის შემდეგ, უსახელო მწვერვალისთვის ეროვნული გმირის, გიორგი ანწუხელიძის სახელის მი-



ლიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მთას, რომლის კოორდინატებია: ჩრდილოეთ განედის 42023'23" და აღმოსავლეთ გრძედის 45013'22", სიმაღლე ზღვის დონიდან 3 276, 1 მეტრი, ეწოდოს საქართველოს ეროვნული გმირის, გიორგი ანწუხელიძის სახელი.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინიციატივით, თუშეთში უსახელო მწვერვალს საქართველოს ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძის სახელი მიენიჭა.

ერთ-ერთი უსახელო მწვერვალი, რომელიც კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ განშტოებაზე, მწვერვალდიდი ბორბალოს სამხრეთით 3,5 კმ-ში მდებარეობს, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ტოპოგრაფიული სამსახურის თანამშრომლებმა სამეცნიერო-სასწავლო ხასიათის ლაშქრობის დროს აღმოაჩინეს. აღნიშნული მწვერვალი (სიმაღლე ზღვის დონიდან 3276,1 მ) დუშეთისა და ახმატის მუნიციპალიტეტების საზღვარზე მდებარეობს და მდინარეების ალაზნის, იორის, ასევე ფშავის არაგვის

ნიჭების თხოვნით თავდაცვის სამინისტრომ ახმატის მუნიციპალიტეტს მიმართა. საკითხს ადგილობრივებისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებისაგან დადებითი გამოხმაურება მოჰყვა და ახმატის საკრებულოს გადამწყვეტილებით, უსახელო მწვერვალს გიორგი ანწუხელიძის სახელი ოფიციალურად მიენიჭა.

უმცროსი სერჟანტი გიორგი ანწუხელიძე, 2008 წლის 9 აგვისტოს, რუსეთ-საქართველოს ომის დროს წამებით მოკლეს.

გიორგი ანწუხელიძეს, 2013 წლის 15 აპრილს, საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა. იგი, ასევე დაჯილდოებულია სიკვდილის შემდეგ, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უწყებრივი მედლით „სამშობლოსათვის თავდადებული“. 2013 წელს, „თუშეთის სადროშომ“ გიორგი ანწუხელიძეს „თუში სახალხო გმირის“ წოდება მიანიჭა. სოფელ ქვემო ალვანში გიორგი ანწუხელიძის მემორიალიც გაიხსნა. იმავე წლიდან, სერჟანტთა აკადემია გიორგი ანწუხელიძის სახელს ატარებს.

გაეროს 1974 წლის რეზოლუცია აზრის
განსაზღვრის შესახებ

1974 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია აგრესიის განსაზღვრის შესახებ. ამ აქტში ზუსტად განისაზღვრა, თუ რა ჩაითვლება ძალის გამოყენების ყველაზე მაღალ საზღვარს - აგრესიად, რომელიც მშვიდობის წინააღმდეგ დანაშაულადაა კვალიფიცირებული.

აგრესიად ჩაითვლება სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების გამოყენება სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ან კიდევ, გაეროს წესდებით დაუშვებელი სხვა რომელიმე სახით. ყოველი სახელმწიფო, რომელიც პირველად გამოიყენებს შეიარაღებულ ძალას, ჩაითვლება აგრესორად, თუკი გაეროს უშიშროების საბჭო სხვაგვარად არ შეაფასებს ამ ქმედებას. აგრესიულ აქტად ჩაითვლება:

ა) ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შეჭრა ან თავდასხ-

გამოყენება.
გ) ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა სახელმწიფოს ნავსადგურების ან ნაპირების ბლოკადა.

დ) ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების თავდასხმა სხვა სახელმწიფოს სახმელეთო, საზღვაო ან საჰაერო ძალებზე.

ე) ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების, რომლებიც იმყოფებიან სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ამ სახელმწიფოსთან შეთანხმების ძალით, უკანასკნელის უშიშროების წინააღმდეგ გამოყენება ან შეთანხმების ვადის შეწყვეტის შემდეგაც ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე დატოვება.

ვ) ერთი სახელმწიფოს ქმედება, რომელიც აძლევს სხვა სახელმწიფოს საშუალებას, გამოიყენოს მისი ტერიტორია მესამე სახელმწიფოს წინააღმდეგ აგრესიის ჩა-



მა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე; ნებისმიერი სამხედრო ოპერაცია, თუნდაც დროებითი, რომელიც ასეთი თავდასხმის შედეგია; სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ან მისი ნაწილის ანექსია ძალის გამოყენებით.

ბ) ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის დაბომბვა ან ამ მიზნით იარაღის

დენისთვის.
ზ) ერთი სახელმწიფოს მიერ ან მისი სახელით სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიარაღებული ბანდების, ჯგუფების, რეგულარული ან დაქირავებული ძალების შეგზავნა, რასაც იმდენად სერიოზული სახე აქვს, რომ ისინი აგრესიის სხვა სახეობად შეიძლება ჩაითვალოს.

ქართული არტილერიის მთავარი დამრტყელი ძალა ებრაული ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა „გრადლარი“

განვიხილავთ ქართული არმიის შეიარაღებაში არსებულ ებრაულ 160 მმ კალიბრიან „გრადლარის“ ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიულ სისტემებს, რა ზარალი მიაყენა რუსეთის არმიის ცოცხალ ძალას და მძიმე ჯავშანტექნიკას 2008 წლის აგვისტოს ომში.

პირველად ქართული არმიის შეიარაღებაში 1600 მმ კალიბრიანი „გრა-

მაქსიმალური სროლის სიშორე 34-45 კმ; ზალპის დრო 36 წამი; საერთო მასა 19,2 ტონა; დატენვის დრო 10 წუთი.

ისრაელის არმიამ „ლარ-160“ ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის გასაშვები დანადგარი დაამონტაჟა ამერიკულ მუხლუხოვან ჯავშანტრანსპორტიორ მ-548 ბაზაზე.

ებრაულმა ფირმამ „Israel Military Industries“ შეიმუშავა სისტემის ბუქსირებადი ვარიანტი, რომელიც 18 რაკეტას ისვრის.

„ლარ-160“ ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის კომპლექსში შედის: გასაშვები დანადგარი, მართვის მანქანა და საავტომობილო ამწე, გამშვები დანადგარის დამტენი (ბატარეაში არის ერთი მართვის მანქანა და ოთხი გასაშვები დანადგარი).

„ლარ-160“ ტი-

პის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა ისროდა მკ-1 ტიპის უმართავ რეაქტიულ ჭურვებს. მკ-1 ტიპის უმართავი რეაქტიული ჭურვის მასა 110 კგ, საბრძოლო ნაწილის მასა 46 კგ, სროლის მაქსიმალური მანძილი 30 კმ იყო. რაკეტას გააჩნია ოთხფრთიანი სტაბილიზატორი, რომელიც იშლება გასროლისთანავე.

სროლის საწყისი მონაცემების შემამუშავებლად ყოველი ბატარეის შემადგენლობა შეიცავს ცეცხლის მართვის სისტემა FERA-ს. ანოლოგიური სისტემა გამოიყენება ზცრს LARS-1 და LARS-2-ში. ცეცხლის მართვის სისტემა FERA შეიცავს რადიოლოკატორს და ელექტრო-გამომთვლელს. რადიოლოკატორი დგება გამშვები დანადგარის უკან და მასზე ზევით. ელექტროგამომთვლელი მანქანა ადარებს ოთხი თანმიმდევრობით გაშვებულ რაკეტის ტრაექტორიის საშუალო მნიშვნელს და შეყავს შესწორებები დამიზნებელ ხელსაწყოებში. ასე ხდება სროლის დროს დაშვებული შეცდომების გათვალისწინება კოორდინატების მიზნის განსაზღვრისა და გამშვების საცეცხლე პოზიციისა, აგრეთვე გადახრა მეტეოროლოგიური და ბალისტიკური პირობების გამო სროლის დროს. სპეციალისტების შეფასებით რაკეტების ზალპის მართვის სისტემა FERA სროლის ეფექტურობას 60%—ით ზრდის.

„ლარ-160“ ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის გასაშვებ დანადგარზე ორი ოთკუთხა რკინის კონტეინ-

ერია მოთავსებული, რომლებშიც 160 მმ კალიბრიანი უმართავი რაკეტებია ჩატვირთული. „ლარ-160“-ის რეაქტიული სისტემის გასაშვები დანადგარი 36 წამში ისვრის 36 უმართავ რეაქტიულ რაკეტას, რის შემდეგაც მოდის საავტომობილო ამწე, ხსნის ცარიელ კონტეინერს და აყენებს ახალ კონტეინერებს.. ცარიელი გასაშვები დანადგარის ახლით შეცვლას 10 წუთი სჭირდება. 20 ერთეული „ლარ-160“ ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა ექსპორტირებული იქნა ვენესუელაში. თანამედროვე პერიოდში ებრაულმა კომპანიამ დაამუშავა „ლარ-160“ ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის მოდერნიზებული ვარიანტი - „გრადლარი“, რომელიც განკუთვნილია „გრადის“ ტიპის რეაქტიული სისტემის თანამედროვე უმართავი რეაქტიული ჭურვების გასასროლად.

„გრადლარის“ ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის გასაშვები დანადგარი დამონტაჟებულია მერსედერსის და სხვა მარკის სატვირთო ავტომობილების ბაზაზე და 36 უმართავი ჭურვის ნაცვლად ისვრის 26 უმართავ რაკეტას. შექმნილი არის საზღვაო ვარიანტიც, რომელიც მცირე ზომის ხომალდებზე დასამონტაჟებლადაა განკუთვნილი. გაუმჯობესებულია უმართავი რეაქტიული ჭურვების სროლის სიშორე და საბრძოლო ქობინები. შეიარაღებაში მიღებული იქნა მკ-2 ტიპის ჭურვები. მკ-2 ტიპის უმართავი რეაქტიული ჭურვი მასა 110 კგ-ია. საბრძოლო ნაწილის მასა - 46 კგ. მაქსიმალური სროლის სიშორე - 34 კმ. მკ-2 არის „ლარ-160“ რეაქტიული სისტემის ძირითადი ჭურვი. უკანასკნელი მოდერნიზებული ჭურვის ვარიანტი არის მკ-4 ტიპის უმართავი რეაქტიული ჭურვები, რომლის მაქსიმალური სროლის სიშორე 45 კმ-ს შეადგენს. უმართავი რეაქტიული ჭურვის მსხვერვადი ფუგასური საბრძოლო ქობინის მასა 46 კგ-ია და განკუთვნილია მონინალმდეგის ცოცხალი ძალის გასანადგურებლად.

„გრადლარის“ რეაქტიული სისტემისთვის უმართავი ჭურვების კასეტური საბრძოლო ნაწილი ამერიკული წარმოებისაა. 160 მმ კალიბრიანი უმართავი რეაქტიული ჭურვის კასეტური საბრძოლო ნაწილი აღჭურვილია 104 ცალი კუმულაციური ფუგასური საბრძოლო ელემენტით მ-77/85-ით. კუმულაციური ფუგასური საბრძოლო ელემენტი მ-77 განკუთვნილია: მონინალმდეგის განლაგებული ცოცხალი ძალის, სამხედრო ტექნიკის და მსუბუქად შეჯავშნული საბრძოლო მანქანების და საარტილერიო ბატარეების დასაზიანებლად.

მ-77 კუმულაციური ფუგასური სა-



დლარის“ ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები 2007 წლებში გამოჩნდა, როდესაც საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ისრაელში შეიძინა ებრაული ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემების მცირე პარტია. განვიხილოთ ებრაული „გრადლარის“ ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემების ტაქტიკური, ტექნიკური მონაცემები და მათი დანიშნულება.

1970 წლების ბოლოს ებრაულმა ფირმამ „Israel Military Industries“ დაამზადა 160 მმ კალიბრიანი „ლარ-160“ ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა. 1983 წელს ისრაელის არმიამ შეიარაღებაში მიიღო 160 მმ კალიბრიანი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები „ლარ-160“. იმავე წელს ისრაელმა ვენესუელას მიყიდა 20 ცალი „ლარ-160“ სისტემა. ოლონდ ვენესუელასთვის განკუთვნილი „ლარ-160“ დანადგარები დამონტაჟებული იქნა ფრანგული AMX-13 ტანკების ბაზაზე. „ლარ-160“ ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა განკუთვნილია

მონინალმდეგის ცოცხალი ძალის გასანადგურებლად, საარტილერიო ბატარეების ჩასახშობად და მსუბუქი ჯავშანტექნიკის დასაზიანებლად.

„ლარ-160“ ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის საბრძოლო კომპლექტი: 36 უმართავი რეაქტიული ჭურვი; უმართავი რეაქტიული ჭურვის მასა 110 კგ; უმართავი რეაქტიული ჭურვის საბრძოლო ნაწილის მასა 46 კგ, მინიმალური სროლის სიშორე 7-8 კმ;

ბრძოლო ელემენტის მთლიანი დაზიანების რადიუსია 3 მეტრი და ხვრეტს 40 მმ სისქის ჯავშანს. „გრადლარის“ ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემებიდან ნასროლი 160 მმ კალიბრის უმართავი კასეტური ჭურვები გაშლის ფართობზე 34 000 კვადრატულ მეტრს აზიანებს.

„გრადლარის“ მკ-4 ტიპის უმართავი რეაქტიული ჭურვების კასეტური საბრძოლო ნაწილი მ-77 ნაცვლად მ-85 ტიპის კუმულაციური ფუგასური საბრძოლო ელემენტებია დაყენებული. ასევე გათვალისწინებულია თანამედროვე დისტანციური ტანკსანინაღმდეგო ნაღმების დაყენება მოწინააღმდეგის ჯავშნტექნიკისთვის წინააღმდეგობის შექმნის მიზნით. გრადლარის ზალპური ცეცხლის რეაქტიულ სისტემაზე დამონტაჟებული იქნა გპს ტიპის კოსმოსური სანავიგაციო სისტემები (დამიზნების და ცეცხლის მართვის სისტემა), რომელიც უზრუნველყოფს საარტილერიო ცეცხლის წარმოებას რამდენიმე მეტრის სიზუსტით.

მოკლედ, შევადაროთ რუსული 122 მმ კალიბრის „გრადის“ ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა ებრაულ 160 მმ კალიბრის „გრადლარის“ ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიულ დანადგარს. რუსული „გრადის“ ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა 122 მმ კალიბრის 66 კგ მასის 40 ცალ უმართავ რეაქტიულ ჭურვს 40 წამში მაქსიმალურ სიშორეზე - 20,6 კილომეტრზე ისვრის. ებრაული „გრადლარის“ ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა 160 მმ კალიბრის



110 კგ მასის 36 უმართავ რეაქტიულ ჭურვს 36 წამში მაქსიმალურ სიშორეზე - 45 კილომეტრზე ისვრის. გრადის 122 მმ კალიბრის უმართავი რეაქტიული ჭურვის საბრძოლო ნაწილის მასა 19 კგ-ია, ხოლო „გრადლარის“ 160 მმ კალიბრის უმართავი რეაქტიული ჭურვის საბრძოლო ნაწილის მასა კი - 46 კგ-ია, როგორც ხედავთ ებრაული „გრადლარი“ რუსულ „გრადთან“ შედარებით 38 მმ კალიბრით უფრო მსხვილკალიბრის ჭურვებს 24 კილომეტრით უფრო შორს ისვრის, გრადიდან ნასროლი 122 მმ კალიბრის უმართავი რეაქტიული ჭურვები 10000 კვ.მეტრს აზიანებს, ხოლო „გრადლარიდან“ გაშვებული 160 მმ კალიბრის უმართავი კასეტური ჭურვები 34 000 კვ.მეტრს.

„გრადიდან“ ნასროლი 122 მმ კალიბრის რაკეტები დიდი სიზუსტით არ გამოირჩევიან. ებრაული „გრადლარის“ რეაქტიული სისტემა გპს კოსმოსური სანავიგაციო სისტემის მეშვეობით

საარტილერიო ცეცხლს რამდენიმე მეტრის სიზუსტით აწარმოებს. როგორც ხედავთ, ებრაული 160 მმ კალიბრის „გრადლარის“ ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა რუსულ 122 მმ კალიბრის გრადთან შედარებით ორჯერ უფრო ძლიერი საარტილერიო დანადგარია. საარტილერიო ორთაბრძოლისას ქართული არმიის ებრაული „გრადლარები“ აშკარად დაჯაბნიდნენ ოსი სეპარატისტების და რუსი სამხედროების გრადის ტიპის რეაქტიულ სისტემებს. ქართველ სამხედროებს ებრაული „გრადლარებით“ შეეძლოთ წარმატებული საარტილერიო დუელი გაემართათ რუსეთის არმიის „ურაგანის“ ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემებისთვის (რუსული 220 მმ კალიბრის „ურაგანის“ ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა 16 ცალ 220 მმ კალიბრის უმართავ რეაქტიულ ჭურვს მაქსიმალურ 34 კილომეტრის სიშორეზე ისვრის), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ქართველი სამხედროები ებრაული

„გრადლარის“ ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემებიდან 160 მმ კალიბრის კასეტურ უმართავ ჭურვებს ესროდნენ მოწინააღმდეგეს, ცოცხალი ძალის და მსუბუქი ჯავშანტექნიკის დიდ დანაკარგებს მიყენებდნენ. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში ქართულმა არმიამ აქტიურად გამოიყენა ებრაული 160 მმ კალიბრის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები მოწინააღმდეგის პოზიციების და რუსული სამხედრო კოლონების დასაბოშად. 2008 წლის 7 აგვისტოს - მოწინააღმდეგე ცხინვალიდან და ხეთაგუროვიდან მძიმე არტილერიით - ჰაუბიცებით და ნაღმსატყორცნებით ქართული სოფლების ინტენსიურ საარტილერიო დაბომბვას აწარმოებდა. 2008 წლის 7 აგვისტოს 23 საათსა და 50 წუთზე ქართული არმიის სახმელეთო ჯარების საარტილერიო ბრიგადებმა, სხვადასხვა საარტილერიო

დანადგარებთან ერთად, 160 მმ კალიბრის „გრადლარის“ ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემებით ინტენსიური ზალპური საარტილერიო ცეცხლი გაუხსნეს მოწინააღმდეგის პოზიციებს.

ცხინვალის საარტილერიო დაბომბვის შედეგად განადგურდა ცხინვალში გამაგრებული ოსი სეპარატისტების საცეცხლე წერტილები.

2008 წლის 8 აგვისტოს ქართულმა არმიამ დატოვა ცხინვალი და 3 საათიანი სამშვიდობო მორატორიუმი გამოაცხადა. მორატორიუმის დროს როკის გვირაბიდან გადმოვიდნენ და ჯავის რაიონში შემოვიდნენ რუსეთის 58-ე არმიის შენაერთები.

22 საათიდან ჯავიდან ცხინვალის მიმართულებით რუსეთის 58-ე არმიის ერთი მოტომსროლელი ბატალიონი გამოემართა.

2008 წლის 8 აგვისტოს, 22 სათზე, ძარის გზაზე მოძრავ 58-ე არმიის 135-ე მოტომსროლელი პოლკის მოტომსროლელი ბატალიონის სამხედრო კოლონას, ქართული არმიის საარტილერიო ბრიგადამ, ჩვეულებრივ, საარტილერიო დანადგარებით და „გრადლარის“ ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემებით ინტენსიური ზალპური ცეცხლი გაუხსნა. საარტილერიო დაბომბვის შედეგად მთლიანად განადგურდა რუსეთის 58-ე არმიის ერთი მოტომსროლელი ბატალიონი.

ჯავაში შემოსული რუსული 58-ე არმიის საარტილერიო ბრიგადების განკარგულებაში იყო 152 მმ

კალიბრის აკაცია ტიპის თვითმავალი ჰაუბიცების ორი ბატარეა და 122 და 220 მმ კალიბრის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემების დივიზიონები. ასევე ტოჩკა-უს ტიპის ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსები და ისკანდერის ტიპის ოპერატიული ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსები.

რუსი არტილერიისტიები ამაოდ ცდილობდნენ ქართული არტილერიის პოზიციების აღმოჩენას და განადგურებას საპასუხო საარტილერიო ცეცხლით. 9 აგვისტოს ქართული არმიის რეაქტიული არტილერიის დივიზიონმა „გრადლარის“ ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემებით ინტენსიური ზალპური საარტილერიო ცეცხლი გაუხსნა რუსეთის 58-ე არმიის სამხედრო კოლონას რომელიც დიდი ლიხვის გზით ცხინვალისკენ მოემართებოდა. „გრადლარების“ საარტილერიო ცეცხლის შედეგად განადგურდა რუსეთის არმიის 17 ერთეული ტ-72 ტიპის ტანკი, 40 ერთეული

ჯავშანმანქანა და სამხედრო ავტომანქანა. 9 აგვისტოდან ქართული ნაწილები ცხინვალისკენ გამოვიდნენ და უკან დახვევა დაიწყეს.

11 აგვისტოს, საღამოთი, ქართულმა არმიამ თბილისის გარშემო მოიყარა თავი. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომში ქართულმა არმიამ ებრაული „გრადალარის“ ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემების საარტილერიო დარტყმებით დიდი ზარალი მიაყენა რუსეთის არმიის ცოცხალ ძალას და მიძიმე ჯავშანტექნიკას.

ქართველმა არტილერიის ტემმა რუსებს საარტილერიო ორთაბრძოლა პირნიმინდად მოუგეს. რუსმა სამხედროებმა ვერცერთხელ ვერ მოახერხეს ქართველი არტილერიის ტემის პოზიციების აღმოჩენა და საარტილერიო ცეცხლით განადგურება.

გორის სატელევიზიო ანძასთან განლაგებულ ქართველი არტილერიის პოზიციებს ინტენსიურად ბომბავდნენ რუსეთის სამხედრო ავიაციის სუ-25 ტიპის მოიერიშე თვითფრინავები, თუმცა უშედეგოდ, რუსულმა სუ-25 მოიერიშეებმა საარტილერიო ბრიგადის ვერცერთი საარტილერიო დანადგარი ვერ დაზიანეს. „გრადალარებმა“ დახლოებით, 300-მდე რაკეტა ისროლეს მონინალმდგეის პოზიციების მიმართულეობით. ქართველი არტილერიის ტემის ზუსტი ცეცხლი განპირობებული იყო გპს ტიპის კოსმოსური დამიზნების სისტემების გამოყენებით.

„გრადალარის“ ტიპის ზალპური

ცეცხლის რეაქტიული სისტემებიდან ნასროლი 160 მმ კალიბრიანი მკ-4 ტიპის უმართავი რეაქტიული ჭურვებიდან გაფანტული მ-85 ტიპის კუმულაციური ფუგასური საბრძოლო ელემენტები განსაკუთრებით ეფექტური აღმოჩნდა რუ-



სეთის არმიის მსუბუქი ჯავშანტექნიკის: „ბემეპე“ ტიპის ქვეითა საბრძოლო მანქანების და „ბეტეერ“ ტიპის ჯავშანტრანსპორტიორების განადგურებაში. რუსი გენერლები ძალზე გააძნარა ქართული არტილერიის ზუსტმა ცეცხლმა, რომელმაც მათ სამხედრო კოლონებს სერიოზული ზარალი მიაყენა. რუსეთ-საქართველოს 5-დღიან ომში ქართულმა არმიამ ერთი „გრადალარის“ ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის დანადგარი დაკარგა, რომელიც ქართველმა სამხედროებმა კოდორის ხეობაში დატოვეს უკან დახვევის დროს. რუსულ ინტერნეტ საიტებზე გავრცელდა ფოტოები რომლებზეც ასახულია სავარაუდოდ განადგურებული ქართული არმიის გრად ლარის დანადგარი.

ქართული არმიის „გრადალარის“ ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები ქართული არმიის ყველაზე შორს მსროლელი საარტილერიო დანადგარებია.

აზერბაიჯანის არმიამ რამდენიმე წლის წინ ისრაელში იყიდა „გრადალარის“ ტიპის რეაქტიული სისტემები, ხოლო რამდენიმე თვის წინ აზერბაიჯანმა ისრაელში შეიძინა სპეციალურად აზერბაიჯანის არმიისათვის დამზადებული ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემების სამი სახის მოდელი. ყველა მათგანი „კამაზის“ ტიპის სატვირთო ავტომობილის ბაზაზეა დამონტაჟებული. პირველი მოდიფიკაცია კამაზზე დამონტაჟებული 122 მმ

კალიბრის გრადის ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის დანადგარები (122 მმ კალიბრიან 66 კგ მასის 40 ცალ უმართავ რაკეტას მაქსიმალურ 20.6 კილომეტრზე ისვრის. მეორე მოდიფიკაცია კამაზზე დამონტაჟებული 160 მმ კალიბრიანი „გრადალარის“ ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის დანადგარები 26 ცალი 160 მმ კალიბრიან უმართავ რაკეტას მაქსიმალურ სიშორეზე, 45 კილომეტრზე ისვრის. მესამე მოდიფიკაცია კამაზზე დამონტაჟებული 200 მმ კალიბრიანი ექსტრას ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები 200 მმ კალიბრის 8 უმართავ რაკეტას მაქსიმალურ 150 კილომეტრზე ისვრის).

ლატვია და ესტონეთი რუსეთისგან საბჭოთა ოკუპაციით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ითხოვენ

რადიო თავისუფლების ცნობით, ლატვია და ესტონეთი რუსეთისგან საბჭოთა ოკუპაციის გამო ზუსტი ზარალის ანაზღაურებას ითხოვენ. ამის შესახებ ორი ქვეყნის იუსტიციის მინისტრების ერთობლივ განცხადებაშია ნათქვამი.

განცხადებაში საუბარია საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლთა ხსოვნის გაფრთხილების აუცილებლობის შესახებ. პოლიტიკოსები მიზნის მისაღწევად განიხილავენ შესაძლო ქმედებების გეგმას, მათ შორის, გაეროს დონეზე. ესტონეთის და ლატვიის ხელისუფლება საბჭოთა ოკუპაციას

უნოდებს 1940-1990 წლების პერიოდს, როდესაც ეს ორი ქვეყანა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა.

2015 წლის დეკემბერში ლატვიის,



ლიტვის და ესტონეთის იუსტიციის სამინისტროებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას, რომლის მიხედვითაც ქვეყნები გააერთიანებდნენ ძალისხმევას, რათა ოკუპაციის გამო ზიანის ანაზღაურება მოეთხოვათ. თუმცა მაშინ ესტონეთი აცხადებდა, რომ ტალინი კომპენსაციის მოთხოვნას მოსკოვისგან არ აპირებდა მაშინ, როცა ლატვიამ ზიანი 185 მილიარდ ევროდ შეაფასა.

მოსკოვი ასეთ პრეტენზიებს ოფიციალურად უარყოფს. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არაერთხელ განუცხადებია, რომ ასეთი მოთხოვნები უარყოფს ისტორიულ, პოლიტიკურ და სამართლებრივ რეალობას.

რუბრიკას უძღვებოდა
იოსებ ჭონძაძე

გზა გაგრძელდა თბილისში

გაგრის ბრძოლების შემდეგ აფხაზეთის ომის ვეტერანმა, გურამ დამენიამ, ტყე-ღრეში ჯოჯოხეთური ერთი თვე გაიარა. თხუთმეტი მეომრიდან ბოლოს ორნი დარჩნენ და სიცოცხლისთვის ბოლომდე იბრძოდნენ. იყო ნინალმდეგობა, შიში, ფათერაკი, მაგრამ დაბრუნდნენ... გადარჩენის გზაზე მტრობაც ბევრი ნახეს და სიკეთეც. სწორედ გადამთიელების მიერ გაღებულმა სიკეთემ დააბრუნა ოჯახში, ცოლ-შვილთან. „დილით პირველ რეის ავტობუსს მივყვებოდი აეროპორტში და უკან ბოლო რეისით ვბრუნდებოდი ხოლმე, მჯეროდა, რომ ცოცხალი იყო. ერთ დღესაც შორიდანვე შევნიშნე, თავშეხვეულ ჯარისკაცს უამრავი ადამიანი ეხვია. ხალხის გარემოცვაში ცუდად ჩანდა, მაგრამ მაინც გავარჩიე გურამი“, - ისე ნებს „თეთრი არნივის“ მეომრის, გაგრის ბრძოლების მონაწილის, გურამ დამენიას მეუღლე, მარინა დამენია.

ამბავი, რომელიც აფხაზეთის ომში გურამ დამენიას თავს გადახდა, ემოციების გარეშე ვერ დავწერე. ალბათ, ვერც მკითხველი ნაიკითხავს მას აუღელვებლად, მაგრამ შევეცადე, როგორმე მაინც გადმომეცა, რადგანაც იგი ჩვენი ქვეყნის ტრაგიკული წარსულის ნაწილია და ისტორიაშიც აუცილებლად უნდა ჩაინეროს.

ფასეები

„ბაბუაჩემსა და ბებიაჩემს, გუფუს და ელენეს, შვიდი შვილი ჰყავდათ. შვილებთან ერთად სენაკის რაიონის სოფელ ქვაუთში ცხოვრობდნენ. მამაჩემი ფინეთის ომიდან ახალი დაბრუნებული იყო, როდესაც მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. მისგან გადმოცემით ვიცი, რომ გაიწვიეს, მაგრამ ფრონტზე არ წაუყვანიათ. პოლკები, სადაც მამაჩემი მსახურობდა, თურქეთ-საქართველოს საზღვარს იცავდა. როდესაც კავკასიას მოაწვინენ, ორი პოლკი ბრძოლებში ჩაება, ერთი კი ადგილზე დარჩა. ის პოლკი, სადაც მამაჩემი იბრძოდა, ბერლინამდე ჩავიდა ბრძოლებით. ყვებოდა, პირველი შეტაკება მოხდოდა მო-

გვიხდაო. ხუთი ძმიდან ოთხი იბრძოდა. მეხუთე ძმა, რომელიც ყველაზე უმცროსი იყო, ოფიცერთა სასწავლებელში მოხვდა. ფრონტზე არ გაუგზავნიან. სანამ სასწავლებელი დაამთავრა, ომიც დაამთავრდა. ოთხი ძმიდან ერთი, დუშა, დაიჭრა და სახლში გამოუშვეს, მაგრამ ორი კვირაც ვეღარ იცოცხლა. დანარჩენი ორი ძმა, დათიკო და დაცუ, უგ-



გაგრა და შვილიშვილი. დიდი და პატარა გურამ დამენიანი

ზო-უკვლოდ დაიკარგნენ. ბოლო წერილი ქერჩიდან მოსულა. სავარაუდოდ, იქ დაიღუპნენ. ოთხი ძმიდან მხოლოდ მამაჩემი გადარჩა. ჩემი დიდი ბაბუა გლეხთა აჯანყების დროს დუტუ მიქვას ჯგუფში ყოფილა.

ჩვენი ნათესავი, სერგო დამენია, 1913-1916 წლებში პეტერბურგის კადეტთა კორპუსში სწავლობდა, შემდეგ კი ვორონეჟის სამხედრო სასწავლებელი დაამთავრა. მამამისი დიდი ვაჭარი ყოფილა, მამულები ჰქონია და ამიტომაც ასწავლა შვილს. კომუნისტების შემოსვლის შემდეგ, როგორც მენშევიკური მთავრობის ოფიცერი, სერგო არასაიმედოდ ჩათვალეს და დახვრიტეს. მშობლებს სასაფლაოზე დაკრძალვის ნება არ დართეს და საკუთარ ეზოში დამარხეს. მოკლედ, ასეთი წინაპრები მყავდა.“

გზა ომისკენ

„აფხაზეთის ომამდე ტურისტული კომპანია მქონდა. სისტემატ კარგად ავანყვე. მანამდე იყო ეროვნულ მო-

ძრობა, სადაც აქტიურად ვიყავი ჩართული. თბილისის ომის დროს ჩემი სამეგობრო ზოგი ერთ მხარეს იდგა, ზოგი - მეორე მხარეს. ორივე მხარე მეძახდა, მაგრამ ჩავთვალე, რომ ჩემი ადგილი არცერთ მხარეს არ იყო და მადლობა ღმერთს, რომ იმ პროცესებში მონაწილეობა არ მიმიღია. როცა აფხაზეთში ომი დაიწყო, 38 წლის ვიყავი. სახლში რა გამაჩერებდა?! მეყურებინა, ბავშვები როგორ იხოცებოდნენ და მე ფული მეკეთებინა, ამას როგორ ვიზამდი?! ავედი თბილისის ზღვაზე და „თეთრი არნივის“ მე-4 სპეცბატალიონში ჩავირიცხე. მეთაური, პოლკოვნიკი ზაზა დუმბაძე, სამშობლოზე უაღრესად შეყვარებული კაცი იყო. სამწუხაროდ, ოჩამჩირეში გულის შეტევით გარდაიცვალა. როცა პირველი დაშორებობა მოხდა ხუთკილომეტრიანი ზოლით, უკან დავიხიეთ და აგუძერაში გავჩერდით. ერთი ჩამოსვლა მაშინ ჩამოვედი ორი დღით.“

გაგრის ბრძოლების დასაწყისი

„გაგრის ალების წინა დღეს პოზიციებზე გავიყვანეს. ჩვენი ბატალიონიდან გაგრაში 65 კაცი ჩავედით, ლევან ასათიანი იყო ჯგუფის ხელმძღვანელი. ჩვენთან ერთად სხვა ბატალიონებიც იყვნენ. გვითხრეს, იარაღი უნდა ჩააბაროთ და სოხუმში გადაფრინდეთო. დაშალეს 101-ლი, 102-ე, 103-ე ბატალიონები, იარაღი ჩააბარებინეს. მარინაშვილი იყო მაშინ გაგრის ფრონტის სარდალი. მოტივად იმას ასახელებდნენ, რომ თითქოს რუსები უკრძალავდნენ შეიარაღებული ხალხის სოხუმში გაშვებას. უნდა შემოსულიყვნენ ე.წ. სამშვიდობოები, ცისფერჩაფხუტიანები და ადგილზე რჩებოდნენ მხოლოდ გაგრისა და ლესელიძის ბატალიონები. ასევე, გაგრის „მხედრიონი“, ანუ ადგილობრივები. იმ სამოცდახუთმა კაცმა წინააღმდეგობა გაუწიეთ მოთხოვნას: იარაღს არ ჩავაბარებთ, ტყე-ტყე ვივლით და ისე ჩავალთ სოხუმშიო. მოკლედ, გაგრას ვტოვებდით. იქნებოდა, ასე, საღამოს 6 საათი, ატყდა სროლა. წამოვიდა არტილერიის გრუზუნის ხმა, მაგრამ ასეთი რამ თითქმის ყოველდღე ხდებოდა. მოვილოდა ცრუ განგაში, არიქა, აფხაზები გადმოვიდნენ საზღვარზეო. ამჯერადაც არავის გაკვირვებია, როცა მოვარდნენ და შეგვატყობინეს, მონინალმდეგე შეტევაზე გადმოვიდაო. ყველას მორიგი ტყუილი გვეგონა. უცებ შევიკრიბეთ

20-30 კაცი და მივედით შტაბში, რომელიც მდებარეობდა კოლხიდის შემოსავლელში. ბზიფი იყო იმათი, ხოლო კოლხიდა - ჩვენი. შტაბი უკვე იწვოდა. მოვიდა მარინაშვილი და გვითხრა, ბიჭებო, თქვენ დადგებით ტრასაზე. გაგრის შემოვლით გზაზე სხვა ბატალიონი დააყენა, ზღვის მხარეს - კიდეც

სამოცდახუთ კაცს გვექონდა მხოლოდ ერთი ყუმბარმტყორცნი და ექვსი ტანკ-სანინალმდეგო ყუმბარა. მოიტანეს „მოლოტოვის კოქტილები“. როგორ გინდა, ტანკი წამოვა და შენ ის ესროლო?! სანგარი შენ არ გაქვს და არაფერი. გახდა 5 საათი და ჩამი-ჩუმი არ ისმის. ერთმა იმედმა გამიელვა, იქნებ



გამა-შვილი გურამ და გიორგი დამენიანი

სხვა. ჩვენ ცენტრალური ტრასა უნდა დაგვეცვა. ინვის სახლები და ერთი ამბავია. ვინ არის ჩამქრობი ან რითი გინდა, ჩააქრო? დაღამდა უკვე, მაგრამ ცეცხლის ალით იქაურობა დღესავითაა განათებული.

ერთ სახლთან ვდგავართ. მოვიდა ადგილობრივი მაცხოვრებელი და არაყი შემოგვთავაზა, ბიჭებო, ხვალ რა იქნება, ვინ იცისო. ერთ გვერდზე ავთო ხეიჩია მიდგას, მეორე გვერდზე კი ჯაფარა, იგივე გია ჯაფარიძე. იმ დღეს უურნალისტმა გადაგვიღო. ავთო ხეიჩიას ვუბარებ, თუ მოვკვდი, ის ფირი ჩემს ცოლ-შვილს მიუტანე, ნახონ შვილებმა, როგორი მამა ჰყავდათ-მეთქი. გია დგას და ხმა არ იღებს, არადა, უშიშარი და გამოცდილი მეომარი იყო, ულამაზესი ბიჭი. ბოლო-ბოლო დაილაპარაკა: აქ თუ გადავრჩი, თბილისში მივდივარ და ცოლი მომყავსო. როცა ავთოს ფირზე ვუთხარი, გია ხელში მეცა, რა იყო, რა დაგემართა, გეშინიაო?! შევხედე და ფერი არ ედო. არ ვიცი, წინათგრძნობა ჰქონდა თუ სიზმარი ნახა.

ორი საათის შემდეგ მოვიდა მარინაშვილი და გვითხრა, რაციაზე საუბარი დავიჭირეთ, ხუთ საათზე (დილის) შეტევაზე გადმოვლენო. ერთი საათი როგორმე შეაჩერეთ და მერე ჩვენი „კრაკადილები“ მოგვევლებიანო. ამ

5 საათს მოსკოვის დროით ამბობდნენ. იმათი 5 საათი ჩვენი 6 საათია. 6-ზე ჩვენებიც მოვლენ და დაგვეხმარებიან-მეთქი. გახდა 6 საათი და ისევ სიჩუმეა. არც ჩვენი ვერტმფრენები ჩანს. სადღაც 7-ის 15 წუთზე გავარდა მაიაკი და ნიშანი მისცეს ერთმანეთს. და უცებ წამოვიდა სეტყვა. მარინაშვილი გვეუბნებოდა, მარცხენა მხარეს ნუ გეშინიათ, მარჯვნივ კი თქვენ უნდა დაიცვათო. ყველა მხრიდან დაგვყარეს. ერთადერთი, ზურგიდან არ გვესროდნენ, დანარჩენი, ვერ გაიგებდი, რა ხდებოდა. არც მე და არც სხვას ავტომატი არ გაგვისვრია. არავინ ჩანდა, ისროდნენ ყველანაირი იარაღიდან. მთელი ღამე იმუშავეს და რკალი შემოგვარტყეს. ეს ყველაფერი გავრძელდა სადღაც სამი საათი.“

გია ჯაფარიძე (ჯაფარა)

„მანქანა იდგა იქ, „გაზიკი“. იმ მანქანას ვართ ამოფარებული მე, ცხონებული გია ჯაფარიძე და ავთო ხეიჩია. დაიძახეს, მანქანა გამოვიდეს, დაჭრილებია წასაყვანიო. გავიდა მანქანა და დავრჩით ტრიალ მინდორზე. გზის იქითა მხარეს სახლი იდგა. გადავირბინეთ მე და გიამ და შევვარდით იმ სახლში. ვხედავ, 30 კაცს ერთად მოუყრია თავი. ვუთხარი, რას შერებთ, აქ რომ რამე

შემოგიგდონ, სულყველას ამოგაყუყავენ-მეთქი და სასწრაფოდ ისევ უკან გამოსვლა დაეაპირე. აბა, რა მინდოდა ერთ ოთახში, ომი იყო, ქორწილი ხომ არა?! გიამ ხელი ჩამკიდა, ბიჭო, სად მიდიხარო?! შევძახე, წამო-მეთქი და გადავირბინე, პატარა პალმის ხე დავინახე და ამოვეფარე. ჩემი იქიდან წამოსვლა და კიდეც ესროლეს ყუმბარმტყორცნი. უკან მოვიხედე, აღარაფერი იყო. ახლოს რომ მივედი, გიას ავტომატი სულ დადუღებულყო. ოთახში მყოფებიდან ზოგი დაჭრილი ეგდო ძირს. გია კარში იდგა, არც მე გამომყვა და ვერც ოთახში შესვლა მოასწრო, ამიტომაც დაიღუპა. ორი „ბემეპე“ გვყავდა. ერთში დაჭრილები მოვათავსეთ, მეორეში - დაღუპულები, მათ შორის - გიაც. გაგრიდან რომ გადიოდნენ, ორივე მანქანა დანვეს აფხაზებმა. ჩვენთან იყო გურამ ლარიაშვილი, რომელმაც შეატყობინა მშობლებს გიას დაღუპვის ამბავი. სხვა მეომარმა კი ასეთი ამბავი ჩამოუტანა, გია ტყეში დავტოვეო, რადგან იმ ამბების შემდეგ ცოტა ვერ იყო სრულ ჭკუაზე. დედის ამბავი ხომ იცით, პატარა იმედს ებლაუჭება და დაუჯერა იმ მეომარს.“

ბრძოლები გაგრის დასაბრუნებლად

„დადგა გაგრის დატოვების აუცილებლობა. ისინი შემოვლითი გზით მოდიოდნენ, შეიქმნა საფრთხე, ჩაეკეტათ გასასვლელი და შიგნით მოვემწყვდიეთ. როცა გაგრას ვტოვებდით, 25 კაცამდე ვიყავით დარჩენილი. ნახევარზე მეტი განყდა. ესლა დავერჩითო?! - ბიჭები პატარა ბავშვებით ბლოდნენ. სანამ გამოვიდოდით, ეღუარდ შევირდნაძე ჩამოფრინდა და დავგაიმედა, ჩვენ გაგრას დავიბრუნებთო, მაგრამ როგორც დავიბრუნეთ, კი ვხედავთ. მერე თქვეს, გუდაუთას რომ გადმოუფრინა, რუსებმა კინალამ ჩამოგადესო. საშინელი წვიმები იყო. ფეხსაცმელი სულ დამეხა. ცალკე სიცივე, ცალკე ტკივილები... მაგრამ ერთხელაც არ მინანია, რატომ წამოვედი-მეთქი. როგორ შეიძლება, სამშობლოს დასაცავად ნახვიდე და მერე ინანო?! მიუხედავად იმისა, რომ ბევრი წვალეა გადავიტანე, რა მინდოდა, დავრჩენილიყავი სახლში-მეთქი, ასეთი რამ არ მიფიქრია. მოკლედ, როცა გამოვიდოდით, მიტოვებული სამხედრო მანქანა დავინახე. შიგნით გამხმარი ბატინკები ეგდო. ფეხზე მოვირგე და იმით დავდიოდი. განთიადამდე ჩავალწიეთ. ამის შემდეგ გია ყარყარაშვილიც წამოვიდა. სასტუმრო „გრებემოკი“ დავიდეთ ბინა „თე-

თრი არწივის“ გადარჩენილმა ნაწილმა. სოხუმის „თეთრი არწივის“ მეთაურმა, ავთო თოდუამ თავისი ბიჭები მოაგროვა, სხვა ქვედანაყოფებმაც გააკეთეს მობილიზაცია და გაგრის დასაბრუნებლად წავიდნენ. მე და კიდევ ექვსი ბიჭი, ვინც დაჭრილები იყვნენ და სიარული არ შეგვეძლო, ადგილზე დავრჩით. მათთან ერთად გაემგზავრა ჩვენი მეთაური, ლევან ასათიანიც, რომელიც ბოლო წუთამდე იბრძოდა გაგრისთვის.

ლამეა, შტაბში ადგილობრივმა რუსმა მოგვაკითხა, რომელიც სანატორიუმში „კაჩიგარად“ მუშაობდა. გვითხრა, ახლა ვილაცები იყვნენ მოსულები, აფხაზებს არ გავდენო, ასე მითხრეს, აქედან მოუსვი, ორ საათში აქ ქვა ქვაზე არ დარჩებო. გამოვედი გარეთ და გიაც მოვიდა. ვუთხარი, ასე და ასე იყო-მეთქი. რა, იმის ნათქვამმა შეგაშინათო?! - ყურადღება არ მომაქცია. ჩვენც ადგილზე დავრჩით. მეორე დღით გამოვედი ძალიან ადრე, რა დამაძინებდა... ამ დროს კაცის სილუეტს ვხედავ, სახეს ვერ ვარჩევ, შორიდან მორბის და რალაცას მანიშნებს. ცხონებული ნუკრი ჭეიშვილიც ჩვენთან იყო. შევეგებე, რა ხდება-მეთქი. ახლოს რომ მივედი, გია ყარყარაშვილი ვიცანი. ლესელიძიდან მოდიოდნენ თურმე ის და პაატა დათუაშვილი, ხელყუმბარა უსვრიათ და მანქანა აუფეთქებიათ. პაატა დაიღუპაო, ჯერ თქვეს, მაგრამ მაშინ გადარჩა, გია კი მსუბუქად იყო დაჭრილი. ჩქარა, ბიჭები გაალვიძეთო, ყვიროდა. ავტეხე სროლა, აბა, სათითაოდ როდის გავალვიძებდი?! იქაურობა დავტოვეთ და ტყე-ტყე ავედით. მივდიოდით იმ მიმართულებით, საიდანაც გიას ესროლეს. პატარა წინააღმდეგობა შეგვხვდა და ერთი ჯარისკაცი დაგვეჭრა. იმათიანიც ვნახეთ, ძირს ეგდო. დღევანდელივით მახსოვს, მიცვალეზულს გვერდით ხანჯალი ედო, რომელიც ნუკრიმ წამოიღო. გაუფსინჯეთ, საბუთები არაფერი ჰქონდა. ვერავინ ვნახეთ და უკან ჩამოვედით.

ამის შემდეგ ორი დღე გავიდა. სალამოხანია. ქუთაისელი ბიჭი იყო, ზაზა ერქვა, გვარი არ მახსოვს, ძალიან სიმპატიური კი იყო, ვსხედვართ მე ზაზა. გაგრიდან რომ გამოდისხარ, ის ხიდები ჩვენებმა დანაღმეს, ჩვენ ასე ვიცოდით. ასე რომ, ტექნიკით იმ ხიდებზე გამოვლა გამორიცხული იყო. უცებ ატყდა პანიკა და ხალხი მორბის გაგრის მხრიდან, ტანკებმა გადმოიარეს ხიდები და აქეთკენ მოდიანო. მერე გაირკვა, რომ არაფერი დანაღმული არ ყოფილა. ღალატს ჰქონდა ადგილი. მოკლედ, ასობით ადამიანი გარბის ლესელიძის

მიმართულებით. მოდის გია და კითხულობს, რა ხდებაო? ვუთხარით, ტანკები გადმოსულანო. არ არსებობს, ვერ გადმოვიდოდნენო, - გვითხრა, - არ ნახვიდეთ, შევუტითო, გუშინ ჩემი ძმა მოკლესო. მაშინ გავიგე გოჩა ყარყარაშვილის დაღუპვის ამბავი. მოკლედ, ჯარის ნაწილი გაჩერდა. 15-მდე კაცი გაგრის მხარეს ტყისკენ გავვიშვა, ზემოდან უნდა გადმოგვეხედა, რა ხდებოდა. ვხედავთ, ორი ტანკი გადმოსულა, მეტი კი არა, უკან კი მოწინააღმდეგე ყმულით და ყვირილით მოყვება, როგორც ხდება ხოლმე ფსიქოლოგიურად

ვიყავი მათ შორის, ვფხიზლობდი, რა დამაძინებდა. მთვარე ამოვიდა. არ გავალვიძე ბიჭები, ბარემ გამოიძინებო-მეთქი. უცებ ფეხის ხმა შემომესმა. აქეთ ტურამაც დაიკვილა, იქით მეორე ტურამ ხმა მისცა. აქეთ ჩხიკვა დაიძახა. ყველაფერი საგანგაშოა ასეთ დროს, შეიძლება, ერთმანეთს ნიშანს აძლევდნენ. უკვე აშკარად გავიგონე რამდენიმე ადამიანის ფეხის ხმა, მაგრამ ვინ იცის, ქართველია თუ აფხაზი? ჩვენ ასეთი პაროლი გვეკონდა, ერთმანეთს ქართულად ველაპარაკებოდით ხოლმე.

ბიჭები შევალვიძე, ვილაცები მო-



შესამინებლად. ტანკსაწინააღმდეგოც არაფერი ჰქონდათ ჩვენს მეომრებს. იმ იმედად ვიყავით, რომ დანაღმულ ხიდებს ვერ გადმოვივლიდნენ (ნაღმებს დეტონატორები მოხსნილი ჰქონიათ).“

ტყის ამაჯი...

„დალამდა. დაბლა ვერ ჩამოვიდოდით. მქონდა ავტომატი და ორი ცალი ხელყუმბარა, შემდეგ, როცა ორნი დავრჩით, ერთი ცალი ბესოს მივეცი. თუ ტყვედ ჩავარდნის საფრთხე შეგვექმნებოდა, თავი რომ აგვეფეთქებინა. ტყვედ ჩავარდნას სიკვდილი ჯობდა, ნამებში მორჩებოდა ყველაფერი. მივდივართ ტყე-ტყე, მთვარე არ ამოვიდა და საშინლად ბნელა. ერთგან ფეხი დამიცურდა და კინალამ ხრამში გადავეჩეხე. მე დანარჩენებს არ ვიცნობდი, ისინი კი ერთმანეთის ნაცნობები იყვნენ, სულ ახალგაზრდა ბიჭები. გადავწყვიტეთ, მთვარის ამოსვლას დავლოდებოდით და ხევის პირას ქვებზე ჩამოვჯექით. ბიჭებს ჩაეძინათ. ყველაზე უფროსი

დიან-მეთქი. ყველა ფხიზლად და მიყურადებული ვართ. ეტყობა, ღამის ხედვის ხელსაწყო ჰქონდათ, ძალიან შორიდან დაგვიძახეს. „ეი, რებიატა, კტო ვი ტამ?!“ გასაგები იყო, რომ ქართველები არ იყვნენ. არ ვიცი, შიშისგან თუ როგორ, ერთს ავტომატი ხელიდან გაუვარდა, პირდაპირ ქვაზე დავარდა და ამ სიჩუმეში აფეთქებაზე უარესი ხმა ჰქონდა. ამ ხმის გაგონება, ჩვენც პასუხი რომ არ გავეცით და ისეთი სროლა აგვიტეხეს, რომ იქაურობა დაადულეს. გავიფანტეთ სროლა-სროლით, ვისროდით უმიზნოდ, რადგანაც ვერავის ვხედავდით. ისმოდა კვნესა, ვაი, დედაო! მე ეკალ-ბარდში აღმოვჩნდი, ტყვიისგან მოჭრილი ბარდები სულ თავზე მეყრებოდა. მოვიდნენ იმ ადგილას, სადაც თავიდან ვიყავით. დაჭრილები და დაღუპულები რომ ნახეს, იფიქრეს, ყველა დაწვევით, საკონტროლო გასროლა გაუკეთეს და წავიდნენ. მოვგროვდით გადარჩენილი 7-8 კაცი. დანამდვილებით ვერ ვიტყვი,

რომ დანარჩენები ყველა მოკლეს, შეიძლება გაიტყვნენ კიდეც. ჩვენ მკვდრები არ გვინახავს, იმ ადგილას ვერ მივიდოდით.

ტყე-ტყე სიარული დაახლოებით ერთი თვე გაგრძელდა. ველარ გამოვალნიეთ. ჩვენი ორიენტაციით სოხუმისკენ მივდიოდით. ჩვენსავით რამდენიმე ჯგუფი დადიოდა ასე ტყე-ტყე, მაგრამ მათთან ჩვენ არანაირი კავშირი არ გვექონდა. ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე შეტაკება კვლავ მოგვიხდა. საბოლოოდ დავრჩით ორი კაცი, მე და სამტრედიელი ბესო მიქაძე. ბიჭები ჩვენს თვალწინ დაიღუპნენ, მაგრამ ვერავის გავეუთხარეთ საფლავი, ეს შეუძლებელი იყო. მე და ბესო ორი კვირა მინც დავდიოდით, ვჭამდით ყველაფერს, რაც ტყეში შეგვხვდებოდა, კენკრა, ლეღვი, პანტა, მაგრამ წყალი არსად შეგვხვდებოდა და დილით ცვარიან ბალახს ენით ვლოკავდი. ერთხელაც გუბეს გადავანყდით, შიგ ყვითელი წყალი იყო დაგუბებული, ისე დავეწაფე, ძლივს მოვწყდი. ერთ საღამოსაც სოფელს მივადექით. ორი კაცი უფრო ადვილად გადავადგილდებოდით, ერთ-მანეთს ვუგებდით და ვუჯერებდით.

განაპირა სახლს მივადექით, საიდანაც ისეთი სუნი გამოდიოდა, რომ კინაღამ გული შეგვიწუხდა. საუბარი მესმოდა, მაგრამ რა ენაზე ლაპარაკობდნენ, ვერ გავარჩიე, თურმე სომხები ყოფილან. ეზოში ბავშვები შევნიშნეთ, არ შევამჩნიეთ, იმასაც ვერ ვიხსოვდით, მაგრამ შიშით ვკვდებოდით და სხვა გზა არ გვექონდა. ახალგაზრდა ქალი იყო დიასახლისი, ღვეზლებს აცხობდა, ვთხოვე, დაიკო, ორი ცალი მოგვეცით-მეთქი. სამ-სამ ცალი მოგვცა და წამოვედით. მივადექით მდინარეს, ბზიფი გვეგონა, გადავალთ და იქით უკვე რუსეთიაო, ვამბობდით. ჩვენი წამებაც დამთავრდებოდა.

ამ ხანში ერთი ეზოდან მოხუცი ქალი გამოვიდა, ეროვნებით სომეხი. ქართველები რომ დაგვინახა, გვითხრა, ამ წუთში აქ აფხაზები ივნიენ, რომ დაგინახონ, მოგკლავენო. თურმე ისევ აფხაზეთის ტერიტორიაზე ვიყავით. რომ გავტყუულიყავით, სიარულიც აღარ შეგვეძლო, ვთხოვეთ, ცოტა ხანი შემოგვიშვით, დავისვენებთ და წავალთო. სამი-ოთხი დღე დავრჩით. ყოველდღე აგურის პური, რამდენიმე თავი ხახვი და სამლიტრიანი ქილით წყალი მოჰქონდა. წამოსვლისას პატარა საგზალი გამოგვატანა და საღამოს ხანს იქაურობა დავტოვეთ. ისევ ტყეს შევაფარეთ თავი. გზაზე ერთ სომეხს გადავანყდით, ვთხოვეთ, საზღვრამდე მივეყვავ-

ნეთ. თქვენს გვერდით რომ დამინახონ, მომკლავენო, გვითხრა. ვითომ ძალით წამოგვიყვანეთო, ჩვენ ვუთხარით და გაცილებზე დავითანხმეთ. პიკეტამდე მიგვიყვანა, მეტს ველარ გამოგვიყვებით, პიკეტს გვერდი აუქციეთ, მდინარეს გადახვალთ და ადღერში იქნებითო. გვერდი ვერ ავუქციეთ და პირდაპირ პიკეტს მივადექით. სდექო, დაგვიძახეს რუსულად და თოფები მოგვიშვირეს. სომხები იყვნენ, თავიანთ სოფელს იცავდნენ. ვთხოვეთ, გზა ესწავლებინათ. იარაღი ჩვენ დავგიტოვეთ, მაგით ვერ გადახვალთო, გვითხრეს. გამეცინა, სად დავუტოვებდით და წამოვედით. მაგრამ ველარ დავდიოდით, ფეხები გვეკეცებოდა. ათ ნაბიჯს გადავდგამდით და ვჩერდებოდით. მთვარის შუქზე სახლი შევნიშნე, ბესოს ვეუბნები, მივიდეთ, იქნებ ღამე გაგვათევიონ, სიარული მინც აღარ შეგვიძლია-მეთქი. ახლოს მივედით და თურმე თივის ზვინი ყოფილა. შევძვერით და დილამდე მკვდრებივით გვეძინა“.

„ბაღმა ნაპირი“

„თენდებოდა, ზვინიდან გამოვძვერით, სამანქანო გზა შევნიშნეთ, იმის იქით მდინარე და მდინარის მეორე ნაპირზე კი სახლები მოჩანდა. ბესო გადავკოცნე, დავემშვიდობე, ჯერ მე გადავალ და თუ მშვიდობიანად გადავედი, დაზღვევას გაგიკეთებ-მეთქი. თან გავაფრთხილე, რაც არ უნდა მომხდარიყო, სროლა არ აეტეხა. აზრი არ ჰქონდა, მინც ვერაფერს გავხედებოდით. გადავედი, არავინ შემხვედრია, არც წყალი იყო ღრმა, წელამდე მწვდებოდა. ბესოც მომყვა უკან.“

მდინარის პირას შეშა ელაგა, ავკრიფეთ და ერთ-ერთ სახლს მივადექით. უკვე რუსეთის ტერიტორიაზე ვიყავით. დავიძახე, გამოვიდა 26 წლამდე ბიჭი. ვუთხარი, შეშა გვაქვს და იქნებ სახლში შემოგვიშვათ, ტანსაცმელი რომ გავიშროთ-მეთქი. შეშის მეტი რა მაქვსო, სახლში შეგვიძღვა. შევედით და გუგუნებს დიდი, რუსული ლუმელი. ადრიანი დილაა. ჩვენს დაძახებაზე ოჯახის დიასახლისს გაღვიძებია და ზემოდან ჩამოვიდა. დიდი ქვაბით ლუმელზე ბორში შემოდგა. ცალკე სითბომ, ცალკე საქმლის სუნმა ისე გაგვაბრუა, თვალებს ძლივს ვახელდით. ვჭამეთ, ამ ხანში აბანო გავიცხელეს, გამოსაცვლელოც მოგვიტანს. შეგვიყვანეს განკრიალებულ საძინებელში. მეორე დილამდე გვიძინებია, დილით გაგვადვიძეს და საქმელად დავიძახეს. ოთახში შევედით, მთელი ნათესაობა მოგროვილიყო. გვითხრეს, ამ სოფელში აფხაზეთიდან გადმოსული სომხები არიან და რომ გაგვიგონ, შე-

გიფარეთ, აგვანიოკებენ, სოჭში სახლი გვაქვს, იქ გადაგიყვანთ, აეროპორტში კი ჩვენი ახლობელი მოგხედავთო. იარაღით მინც არ გაგიშვებენ და ხომ არ მოგვიყიდით? - გვეკითხეს. იარაღს როგორ მივიყიდდი და საჩუქრად დავუტოვე. რამდენი ხანიც არ უნდა გავიდეს, ეს იარაღი აქ დაგხვდებაო, მითხრა მასპინძელმა. სხვათაშორის, მერე დავურეკე და საზღვარგარეთ წასულან საცხოვრებლად.

აეროპორტი


ჩაგვიყვანეს სოჭში. იქ ორი დღე დავყავით, ორი დღის შემდეგ მოვიდა შეპირებული კაცი, მანქანაში ჩაგვისვა და პირდაპირ ტრაპზე მიგვაყენა. ჩამოვფრინდით თბილისში, მე თავი და ფეხი არ მქონდა მოშუშებული და სამედიცინო გამოსაველიდან გამომატარეს. გამოვედი თუ არა, დამეხვია ხალხი, თავიანთ ახლობლებზე მეკითხებოდნენ, ესა და ეს ხომ არ გინახავსო? ამასობაში გურამო, დაიძახა ვილაცამ, მოვიხედე და, ჩემი ცოლი, მარინა, ჩემი სურათით იდგა... გაგრის დაცემის შემდეგ „თეთრ არნიში“ ასულა და იქ უთქვამთ, სავარაუდოდ, დაიღუპაო. არ დაუჯერებია და ამ ხნის განმავლობაში ყოველდღე დადიოდა თურმე აეროპორტში. სახლში რომ მივედით, ეზოში ერთი ამბავი აუტეხა მეზობლებს, მკვდარიო, რომ მეუბნებოდით, ხომ ვამბობდი, ცოცხალი იქნება-მეთქი?! რამდენიმე დღეში ნაწილში ავედი. ზაზა დუმბაძე ვიკითხე, მითხრეს ჩვენთან აღარ არისო. სანამ გაგრიდან გამოვედი, ბიჭებს ახალი ბატალიონი შეუქმნიათ. ისინიც ზღვაზე იყვნენ დაბანაკებული, მივედი, აჩიკო ვნახე იქ, ხაჭაპურიძე, ასევე, ოთარ ჩუთლაშვილი და სხვა ბიჭები.

მოკლედ, განვეული ჯარისკაცებით ჩამოვაყალიბეთ 51-ე ცალკეული მოიერიშე ბატალიონი 850 კაცის შემადგენლობით, რომელიც უშუალოდ თავდაცვის მინისტრს ექვემდებარებოდა. მე ვიყავი ბატალიონის უფროსის მოადგილე ტექნიკისა და შეიარაღების დარგში. ჩუთლაშვილი შტაბის უფროსი გახლდათ, თავად ზაზა კი - მეთაური. ასე ჩამოვაყალიბეთ ბატალიონი და ისევ ჩავდექი ფორმაში, თუმცა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა აღარ მიმიღია. აქ მიხედე ბატალიონსო, მეუბნებოდნენ და მტოვებდნენ ხოლმე. 1995 წელს ინფარქტი მივიღე და შეიარაღებული ძალებიც დავტოვე“.

მოამზადა

ზაირა მიქაძაძე

ჩვენს ყველაზე უფრო გულგრილ ვაჟებს





გენერალი ივანე ვაინახი

საზრანგეთის ეროვნული გმირი, გენერალი ივანე ასლანის ძე ვაინახი 1899 წლის 10 აპრილს კახეთში, სოფელ კარდენახში დაიბადა. იგი სწავლობდა ვორონეჟის კადეტთა კორპუსში. 1917 წლის რუსეთის რევოლუციის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და 1918 წელს სწავლა განაგრძო თბილისის ახალგაზსნილ იუნკერთა სასწავლებელში. საქართველოს ხანმოკლე დამოუკიდებლობის წლებში (1918-1921) ეროვნული არმიის კავალერიაში მსახურობდა.

1921 წლის თებერვალში ივანე ვაინახი, სხვა იუნკრებთან ერთად, გმირულად იბრძოდა კოჯორ-ტაბახმელასთან. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ 1921 წლის მარტში, ემიგრაციაში გაჰყვა გახიზნულ მთავრობას. იგი ერთ-ერთია იმ ხუთ იუნკერს შორის, რომლებიც გენერალ გიორგი კვინიტაძის რეკომენდაციით, სენ-სირის სახელგანთქმულმა სკოლამ მიიღო. სენ-მიქსენის სამხედრო სასწავლებლის შემდეგ დაამთავრა სომიურის კავალერისტთა სკოლა. სამხედრო სამსახურს გადიოდა სუსში, ტუნისის უცხოური ლეგიონის პირველი პოლკის კავალერიაში. 1922 წელს მიიღო უმცროსი ლეიტენანტის ჩინი, შემდეგ კი — ესკადრონის შეფობა.

მეორე მსოფლიო ომის დროს, 1940 წელს საფრანგეთში გერმანიის შეჭრის

ქართველი სამხედროები უსხოეთში

შემდეგ, ივანე ვაინახი იბრძოდა სომის ფრონტზე, შენაერთის მთელი შემადგენლობიდან ძალიან ცოტა გადარჩა. მათ შორის იყო ვაინახიც. იგი ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს, მაგრამ გაქცევა მოახერხა და ოკუპირებულ პარიზში ჩავიდა, ველოსიპედით თავისუფალ ზონაშიც ჩააღწია, იქიდან კი ჩრდილოეთ აფრიკაში გადავიდა და უცხოურ ლეგიონს შეუერთდა. კაპიტნის ჩინით იბრძოდა გერმანელთა წინააღმდეგ, მეთაურობდა უცხოური ლეგიონის დივიზიის სადაზვერვო ასეულის ესკადრონს. 1944 წლის სექტემბერში თავის შენაერთთან ერთად გადმოვიდა ალზასში და მთელ საფრანგეთთან ერთად იზეიმა გამარჯვება. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, მათ შორის: საბრძოლო ჯვარი და საპატიო ლეგიონის ორი ორდენი პარიზის გათავისუფლებისათვის.

1946 წლიდან ივანე ვაინახი ხელმძღვანელობდა ალჟირში, ქალაქ სიდი ბელ აბესში განთავსებულ საფრანგე-

თის უცხოური ლეგიონის სპეციალურ ჯგუფს.

1951 წელს, სამხედრო სამსახურიდან წასვლის შემდეგ, ცხოვრობდა სომიურში. ასწავლიდა სომიურის კავალერისტთა სკოლაში, აღზარდა ბევრი ცნობილი ფრანგი სამხედრო მოღვაწე. იყო ყველაზე ძნელად გასახენდი ბედაურების მომთვინიერებელი და ყველა სტუდენტის ბაბუა. „ბაბუად ქცევის“ დიდი უნარის გამო „კანფეტ ბაბუს“ ეძახდნენ. ცოლ-შვილი არ ჰყოლია, სკოლა იყო მისი ოჯახი. არც საფრანგეთის მოქალაქეობა მიუღია. ქართული პასპორტი შეინარჩუნა, რადგან სამშობლოში დაბრუნების იმედი არასოდეს დაუკარგავს. მისი პირველი წერილი საქართველოში, სადაც ოთხი ძმა და ერთი და ეგულებოდა, 1960 წელს მიიღეს. მის წერილებს თავიდან სიფრთხილით პასუხობდნენ, მაგრამ საბედნიეროდ, შემდეგ სიტუაცია შეიცვალა და გენერალმა ვაინახიმ სიცოცხლეში ორჯერ შეძლო სამშობლოში ჩამოსვლა.

იყო მშობლიურ კარდენახში, პატივი მიაგო წინაპართა საფლავებს, მოესიყვარულა ნათესავებს, გაიცნო ახალგაზრდა თაობა. ოცნებობდა ქართულ მიწაში დაკრძალვაზე, მაგრამ მაშინ ეს შეუძლებელი იყო და ანდერძის თანახმად იგი დიდი პატივით დაკრძალეს ლევილში.

ივანე ვაინახი 77 წლის ასაკში, 1976 წლის 23 აპრილს გარდაიცვალა. სომიურის სამხედრო სასწავლებლის დარბაზს, საიდანაც იგი გამოასვენეს, მისი სახელი ეწოდა. დასაფლავებას ესწრებოდნენ მაღალი რანგის სამხედრო ჩინოსნები არა მარტო საფრანგეთიდან, არამედ სხვა ქვეყნებიდანაც.

წყარო:

1. ვაინახი ივანე // ქართველები უცხოეთში : 5.1 / რუსუდან დაუშვილი, გრიგოლ კალანდაძე, რუსუდან კობახიძე, გოჩა ჯაფარიძე, თემურ ტარტარაშვილი. - თბ., 2012. - გვ.87-88.



ქართველები ფრანგულ ჯარში

„ამ გაჭირვებას ვიზან საქართველოსათვის“

1921 წელს იუნკერთა სასწავლებლის სტუდენტებმა კოჯორ-ტაბახმელასთან თავდადებული და მედგარი ბრძოლებით სახელი გაითქვეს სამშობლოს წინაშე. 20-23 წლის პირტიტველა ბიჭები ჯერ მზად არ იყვნენ ომისთვის, მიუხედავად ამისა, მათი თავგანწირვა, უდრეკელობა და მოვალეობის პირნათლად შესრულება გასაოცარი და საამაყოა. ვფიქრობთ, თითოეული მათგანის საქციელი გმირობის ტოლფასია.

11 თებერვალს, გამთენიისას, საყვირის განგაშით, მიძინებული სკოლის კურსანტები ფეხზე წამოყარეს. ათასეული, დამხმარე ერთეულებით, დანიშნულ ადგილზე მოეწყო, პოლკოვნიკმა პატაკი ჩაიბარა, ამის შემდეგ დაახლოებით დილის 10 სთ-ზე კოჯორ-ტაბახმელისკენ დიძრნენ.

თბილისის ქუჩები სავსე იყო ხალხით, ჯარისკაცებს სმენაზე აღმართული თოფები და მწყობრის სიზუსტის მოთხოვნილებები საშუალებას არ აძლევდათ თავი მოებრუნებინათ და ქუჩაში მდგარ ახლობლებს, მშობლებს, ნათესავებს, დედ-მამიშვილებს, თანამემამულეებს დამშვიდობებოდნენ ან მათი გუნება-განწყობილება დაენახათ.

დღის ბოლოს მივიდნენ დანიშნულების ადგილას და პოზიციების დაკავებას შეუდგნენ. ისინი თოვლით დაფარულ, ღრმად გაყინულ მიწას სანგრებად და ძნელ მისადგომ ადგილებად ამზადებდნენ, რაც დიდ სირთულეს წარმოადგენდა. საბრძოლო და სამუშაო იარაღების არქონას ემატებოდა ამინდისათვის შეუფერებელი ტანსაცმელიც. მათ საზაფხულო სამოსელზე თხელი, წყლის გაუმტარი, სითბოს მოკლებული ხელოვნური ქსოვილისაგან შეკერილი პალტოები ეცვათ. დღისით სანგრებში ყოფნისას ტანსაცმელი წყლით იჟღენთებოდა, ღამით ფიცრებად იყინებოდა, ხელი ეშლებოდათ მდგომარეობის შესაფერისად გადაადგილებულიყვნენ ან იარაღი მოეხმარათ. ცდილობდნენ, სიძნელეებისათვის ანგარიში არ გაენიათ, ჰქონდათ სურვილი მტრის ყოველ მოძრაობას დროზე და საკადრისად შეხვედროდნენ. არც ერთი მათგანი სიკვდილზე არ ფიქრობდა.

ერთმანეთს ქართული ცეკვა-სიმღერით ამხნეებდნენ და ბრძოლის უინს უმატებდნენ. ყოველივეს ახერხებდნენ მაშინ, როცა, მათ თავზე ტყვიები ზუზუნებდნენ, ირგვლივ ხელყუმბარები წიოდნენ და ჭურვთა ნამსხვრევებით იფარებოდა ირგვლივ ყველაფერი. ამით მტერს უფრო აოცებდნენ და აკვირებდნენ.



ეს ომი მათთვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა, უკანასკნელ დრომდე არ იცოდნენ, თუ რა მტერთან ჰქონდათ საქმე, ამას ბრძოლის დროსაც კი ვერ ხვდებოდნენ. ამ მხრივ ყოველივე ცნობას მოკლებულნი, ერთი მხრივ, დიდ რუსეთს ხედავდნენ და მეორე მხრივ, პატარა საქართველოს.

ყველაზე მძიმე ღამეს ტაბახმელაზე ძლიერი ქარი ქროდა და ბობოქრობდა, ხვეტავდა და პირში აყრიდა ხოშკეკალსა და თოვლს ჯარისკაცებს. სანგრებიც თოვლით ივსებოდა. თხელ ფარაჯებში გამოწყობილი ჯარისკაცები გულდასმით დარაჯობდნენ კუთვნილ სივრცეს. გამაყრუებელი ქარის გამო სმენადობა არ იყო თუ ყურში არ ჩასძახებდნენ ერთმანეთს, ისე ვერაფერს აგებინებდნენ. ბრძანება მიიღეს, თბილისი დაეტოვებინათ. მშვირები და ჩაფიქრებულები მიდიოდნენ და არ იცოდნენ, რა ხდებოდა.

შემდგომში კი თოვლით გადასუდრულ კოჯორ-ტაბახმელას მთის კალთებში ქართველი ხალხი

დამწუხრებული დადიოდა, სამშობლოს დაცვისათვის თავდადებულ სასახელო შვილების გვამებს დაეძებდა, სისხლით შეღებილ თოვლში პოულობდა მათ გათოშილ-გაყინულ გვამებს და ერთად ათავსებდა ჯგუფ-ჯგუფად ერთმანეთისაგან დაშორებით, რომ ადვილად ამოეცნოთ პატრონებს.

როსტოვის რაიონიდან შვილის ცხედრის საპოვნელად წავიდა მაკარ ბურჭულაძის მამა, სოლომონ ბურჭულაძე, მეზობელ ვალოდია ბურჭულაძის თანხლებით.

იუნკერი მაკარ ბურჭულაძე

მაკარ ბურჭულაძეს ძალიან მოეკლემ და შთამბეჭდავი ბიოგრაფია აქვს. დაიბადა 1899 წლის 5 იანვარს. დაწყებითი განათლება სოფელ სამებაში მიიღო, სწავლა ოზურგეთის გიმნაზიაში განაგრძო, 1918 წელს დაამთავრა თბილისის გიმნაზია. იმავე წელს ჩაირიცხა ქალაქ მოსკოვის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. 1921 წელს სამშობლოს სიყვარულმა მიატოვებინა სწავლა, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხე ემუქრებოდა. ჩაირიცხა საარტილერიო შენაერთში და მონაწილეობა მიიღო თბილისთან ახლოს კოჯორ-ტაბახმელასთან ბრძოლაში.

ბრძოლის ველიდან მან მხოლოდ სამი წერილის გამოგზავნა მოასწრო. ერთ-ერთ წერილში იწერებოდა; უსაშინლესი ჯოჯოხეთია, რუსები უმოწყალოდ გვიტყვენ ცეცხლითა და მახვილით, თავის წამონევა არ შეიძლება. ტყვიამფრქვევი ცელავს ყველაფერს. ჩვენ ვაზნები გამოგველია,

შევსება არ ჩანს, მეორე დღეა ლუკმა არ აგვიღია. რა ლომივით ბიჭები დაეცნენ, ძნელია ატანა. მამა, შენ



ხომ იცი ჩემი ხასიათი. საქართველოს მტრების სიძულვილი შენ ჩამინერგე ბავშვობიდანვე, საფუძვლიანად კი რუსეთში ყოფნისას შემძულდა იგი. ჯერჯერობით ცოცხალი ვარ, ვნახოთ რას მოიტანს მომავალი. იარაღი გვინდა, იარაღი! ცარიელი ხელებით რა უნდა ვაკეთო. იყინება ყველაფერი, ქარბუქი ძვალსა და რბილში გადის, ტანსაცმელი მაინც გვექონდეს შესაფერი. დარწმუნებული ვარ, გავიმარჯვებთ. დედას ეს წერილი არ წაუკითხო! გარედანაც ვწერ გაფრთხილებას. არ დამიჯერებ, როცა ვამბობ, რომ ამ გაჭირვებას ვიტან სამშობლოსათვის.

ორი დღის შემდეგ შიგ გულში გაურა მტრის ტყვიამ ჭაბუკს, დედის სურათმაც ვერ დაიფარა გული, რომელსაც მაკარი გულთან ახლოს ჯიბეში ინახავდა.

მამამ შვილის ცხედარი სახლში ჩამოასვენა და სოფლის სასაფლაოზე, ეკლესიის წინ დაასაფლავეს. სოფლის მოსახლეობამ მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად საფლავზე სამ მეტრიანი ობელისკი ააგო.

მკვდარიც აღარ მოასვენეს და 1923 წელს ობოლადის დამსჯელმა რაზმმა ტყვიის ჯერით დააზიანა ობელისკი. მაკარის ხსოვნას ყველაზე დიდი ზიანი მიაყენეს ადგილობრივმა

კომუნისტებმა, 1927 წელს ოქტომბრის პარტიულმა კრებამ დადგენილება გამოიტანა, ობელისკი აეღო და ნემტი სხვაგან გადაესვენებინათ. სოფლის სკოლის დირექტორმა, უპარტიო სეფე ბურჭულაძემ, ლამით სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი შეკრიბა და სათანადო წინააღმდეგობა გაუწია კომუნისტებს. ობელისკსა და საფლავს ვერ შეეხნენ. მცირე დროში მაინც მოახერხეს ობელისკის ნიშის გახსნა, საიდანაც გამოიღეს მაკარის სურათები, წერილები, პირადი ნივთები და გაანადგურეს.

იუნკარი გედეონ (გენო) სუნდაძე

გედეონ (გენო) სუნდაძე დაიბადა 1901 წელს, სოფელ კალაგონში (ოზურგეთის მაზრა). იგი სწავლობდა კალაგონის საეკლესიო-სამრევლო სკოლაში, შემდეგ ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში. 1920 წელს გედეონ სუნდაძე შევიდა ტფილისის იუნკერთა სასწავლებელში. მონაწილეობდა 1921 წლის ტაბახმელის გამორულ



ბრძოლებში და სახელი გაითქვა, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებულმა მებრძოლმა. 1921 წლის თებერვალში გედეონ სუნდაძემ სხვა იუნკრებთან და საქართველოს მთავრობასთან ერთად დატოვა სამშობლო და სტამბოლს გაემგზავრა, შემდეგ პოლონეთში წავიდა და სწავლა სამხედრო სასწავლებელში განაგრძო. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კა-

პიტნის ჩინით პოლონეთის არმიაში მსახურობდა.

სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ პოლონეთის ხელმძღვანელის, პრეზიდენტ პილსუდსკის ხელშეწყობით გედეონ სუნდაძეს მიენიჭა ოფიცრის ჩინი.

გედეონ სუნდაძე მონაწილეობდა II მსოფლიო ომში 25-ე ქვეითი პოლკის შემადგენლობაში. გერმანელთა მიერ პოლონეთის ოკუპაციის შემდეგ იგი პარტიზანულ ბრძოლებში ჩაება.

1944 წელს გერმანელებმა პოლონეთის არმიის კაპიტანი, პარტიზანული ბრძოლების ხელმძღვანელი გედეონ სუნდაძე დახვრიტეს.

იუნკარი აკაკი სუნდაძე

აკაკი სუნდაძე დაიბადა 1901 წელს, სოფ. გოგოლესუბანში. 1921 წლის თებერვლის ომმა თბილისის იუნკერთა სასწავლებელში მოუსწრო და კოჯორ-ტაბახმელას ბრძოლებშიც მამაცურად იბრძოდა, შემდეგ კი ოსმალთაგან ქ. ბათუმის გათავისუფლებაში იღებდა მონაწი-

ლეობას. ამ ბრძოლებში ცალი თვალი დაკარგა, მაგრამ არ ნანობდა, რადგანაც სამშობლოსთვის ჰქონდა თავი გადადებული.

აკაკი სუნდაძე გარდაიცვალა 1971 წელს.

სტატია მოგვანოდა ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა,
ნათია კალანდიაძე

საბრძოლო მაშველი

საბრძოლო მაშველი არის ჯარისკაცი, რომელსაც გავლილი აქვს საბრძოლო მაშველის მომზადების კურსი და ფლობს შესაბამის სერტიფიკატს. ყოველ ათეულში ან ექვივალენტური ზომის დანაყოფში უნდა იყოს ერთი ჯარისკაცი, რომელიც მომზადებულია იმისათვის, რომ ომისა და მშვიდობიანობის დროს აღმოუჩინოს დაშავებულს პირველი დახმარება და შეუძლია აქტიური მონაწილეობა მიიღოს თავისი ათეულის ჯარისკაცების პირველი დახმარების სწავლებაში.

საბრძოლო მაშველის ძირითადი მოვალეობაა მსროლელის საბრძოლო დავალების შესრულება. საბრძოლო მაშველის დამატებითი მოვალეობაა სამედიცინო პერსონალის მისვლამდე დაშავებულისათვის პირველი დახმარების აღმოჩენა.

საბრძოლო მაშველი დამატებით მოვალეობას ასრულებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ძირითადი მოვალეობა არ ფერხდება. კონკრეტული საბრძოლო სიტუაციის გათვალისწინებით, მეთაურის განკარგულებით, საბრძოლო მაშველი შესაძლებელია დაეხმაროს საბრძოლო მედიკოსს დაშავებულთათვის დახმარების აღმოჩენაში ან/და ევაკუაციისათვის მომზადებაში და მონაწილეობა მიიღოს ევაკუაციაში.

სამხედრო სამედიცინო სამსახური უმეტესად რამდენიმე ასეული მეტრითაა დაშორებული ჯარისკაცის სავარაუდო დაჭრის ადგილიდან. საბრძოლო მაშველის მიერ დროისა და მანძილის გათვლა და სწორად ჩატარებული პირველი დახმარება საშუალებას იძლევა, შეუნარჩუნდეს სიცოცხლე მძიმედ დაჭრილ ჯარისკაცს.

საბრძოლო მაშველის მოქმედების უპირატესობა ბრძოლის ველზე (საბრძოლო მედიკოსთან ან სხვა სამედიცინო პერსონალთან შედარებით) არის ის, რომ საბრძოლო მაშველი ყველაზე ახლოს იმყოფება დაშავებულთან და დაზიანების მიღების პირველივე წუთებში („პლატინის 10 წუთი“, „ოქროს საათი“) მის მიერ გაწეული პირველი დახმარება გადამწყვეტია დაშავებულის სიცოცხლის შენარჩუნებაში.

„პლატინის 10 წუთი“ აითვლება დაზიანების მიღების მომენტიდან და გულისხმობს დროს იმ მონაკვეთს, როდესაც, ტაქტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, ტარდება პირველი დახმარების სიცოცხლის შემანარჩუნებელი ის აუცილებელი ღონისძიებები,

რომელთა ჩატარების გარეშეც დაშავებულის მდგომარეობა გაუარესდებოდა ან იგი დაიღუპებოდა. „ოქროს საათი“ არის დრო, რომელიც აითვლება დაზიანების მიღების მომენტიდან და ამ დროის განმავლობაში დაშავებული გადაყვანილი უნდა იქნას სამედიცინო ქვედანაყოფში.



პირველი დახმარება ხორციელდება ჯარისკაცის ინდივიდუალური სამედიცინო კომპლექტის ან/და საბრძოლო მაშველის ჩანთაში არსებული საშუალებებით. ხშირად გამოიყენება იმპროვიზებული საშუალებები.

საბრძოლო მაშველის დამატებითი მოვალეობა:

ათეულის სამოქმედო რაიონში აკონტროლოს და აღმოაჩინოს მეტრძოლთა დაშავების შემთხვევები; იცოდეს, სად იმყოფებიან ასეულის საბრძოლო მედიკოსები; სამედიცინო დახმარების შემდგომი ეტაპი; დაშავებულის სიცოცხლის შენარჩუნება; დაშავებულის მდგომარეობის შემსუბუქება; შემდგომში შესაძლო გართულების თავიდან აცილება.

პირველი დახმარების მოცულობა ბრძოლის ველზე და დროებით თავშესაფარში:

დაშავებულის გამოყვანა მონინალმდგის ცეცხლის სექტორიდან, საბრძოლო მანქანიდან, ძნელად მისადგომი ადგილიდან, ხანძრის კერებიდან, მისი გადაყვანა დროებით თავშესაფარში და ამ ადგილის მონიშვნა; გარეგანი სისხლდენის დროებითი შეჩერება; ზემო სასუნთქი გზების გამავლობის აღდგენა; გულმკერდში შემავალ ჭრილობაზე ჰაერგაუმტარი ნახვევის დადება; ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების გამოყენება, შოკის საინალმდგო ღონისძიებების ჩატარება; დახმარების აღმოჩენა დამწვრობისა და

მოყინვის შემთხვევაში; დაშავებულის სხეულზე მოხვედრილი ცეცხლგამქანი ნარეგების მოშორება და სხეულზე ცეცხლის ჩაქრობა; მოტეხილობისას ან კიდურის ქსოვილების დიდი ფართობის დაზიანების კიდურის მობილიზაცია; დაშავებულის დაცვა გაციებისაგან ან გადახურებისაგან სტანდარტული ან იმპროვიზებული საშუალებების გამოყენებით; სუნთქვისა და გულის მუშაობის შეწყვეტისას, ტაქტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, ფილტვების ხელოვნური ვენტილაციისა და გულის არაპირდაპირი მასაჟის ჩატარება.

თუ ბრძოლის დროს თქვენ შეძლებთ მხოლოდ ორი რამის გაკეთებას - ლახტის დადებას და დახმარების აღმოჩენას პნევმოთორაქსის დროს, ამით თქვენ გადარჩენთ ბრძოლის ველზე დაჭრილთა იმ კატეგორიის 70-90%-ს, რომლებიც აუცილებლად დაიღუპებოდნენ პირველი დახმარების აღმოჩენის გარეშე.

საბრძოლო პირობებში არსებობს სიკვდილიანობის ორი ძირითადი მიზეზი: ძლიერი სისხლდენა კიდურებიდან; პნევმოთორაქსი; ბრძოლის დროს პირველი დახმარების აღმოჩენისას ანსხვავებენ 3 ცალკეულ ფაზას: 1. ცეცხლის ქვეშ დახმარება - დახმარების აღმოჩენა მონინალმდგის ცეცხლის ქვეშ; 2. ტაქტიკური საველე დახმარება - დახმარების აღმოჩენა დროებით თავშესაფარში; 3. დაშავებულის სავაკუაციოდ მომზადება და ევაკუაცია.

1. ცეცხლის ქვეშ დახმარება

ბრძოლის ველზე საუკეთესო დახმარება არის საცეცხლე უპირატესობის შენარჩუნება; საბრძოლო მაშველის საცეცხლე ძალამ შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონიოს ტაქტიკური ცეცხლის უპირატესობის მოპოვებაში; მონინალმდგის მიერ ნარმოებულ ცეცხლზე ადეკვატური რეაგირება ამცირებს დაჭრილთა რაოდენობას ან ჭრილობების რაოდენობათა გაზრდის რისკს.

- შეამონმეთ გარემო უსაფრთხოებაზე;
- შეარჩიეთ საუკეთესო გზა დაშავებულთან მისასვლელად;
- მონინალმდგის საცეცხლე ზონის გათვალისწინებით დაგეგმეთ დაშავებულის გამოყვანის მარშრუტი;
- მოითხოვეთ დამფარავი ცეცხლი;
- წინასწარ განსაზღვრეთ, სავარაუდოდ რა რეაქცია ექნება მონინალმდგის თქვენი ქმედებების დანყები-

სას;

➤ არ დაინყოთ პირველი დახმარების აღმოჩენა, თუ მონინალმდეგეს ცეცხლი აქვს გახსნილი თქვენი მიმართულებით.

შეასრულეთ შემდეგი ქმედებები:

➤ მეთაურის მითითებით ან საჭიროების მიხედვით გახსენით საპასუხი ცეცხლი პირველი დახმარების დაწყებამდე. მონინალმდეგის ცეცხლის შემცირება ან ჩახშობა შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი იყოს დაშავებულის გადარჩენისათვის, ვიდრე თქვენ მიერ განეული პირველი დახმარება;

➤ დაადგინეთ დაშავებულის სიცოცხლის ან სიკვდილის ფაქტი;

➤ გამოიყენეთ დაფარვისა და შენიღბვის საშუალებები (მაგ. კვამლი);

➤ თუ დაშავებულს შესწევს მოქმედების უნარი, უთხარით მას, რომ გახსნას საპასუხო ცეცხლი, გადავიდეს საფარში და აღმოუჩინოს საკუთარ თავს თვითდახმარება;

➤ თუ მას არ შეუძლია საპასუხი ცეცხლის გახსნა ან უსაფრთხო ადგილზე გადასვლა და ამავე დროს არც თქვენ შეგიძლიათ მისთვის დახმარების აღმოჩენა, უთხარით მას რომ „თავი მოიკვდარუნოს“;

➤ გამახსენეთ დაშავებული;

➤ თუ თქვენ თვლით, რომ დროა, დაინყოთ დაშავებულის გადაადგილება უსაფრთხო ზონისკენ, გადაადგილების დაწყებამდე, შესაძლოა დაგჭირდეთ სიცოცხლის შენარჩუნებისათვის აუცილებელი დახმარების განევა. თუ დაშავებულს აღენიშნება ძლიერი სისხლდენა კიდურიდან ან კიდურის ამპუტაცია, სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით შეაჩერეთ სისხლდენა (დაადეთ ლახტი). რიგ შემთხვევებში თქვენ ამ ფაზაში ვერ შეძლებთ სწორად შეაფასოთ არის თუ არა სისხლდენა სიცოცხლისათვის საშიში. ამიტომ საეჭვოდ მიჩნეული ყველა სისხლდენა შეაჩერეთ მხოლოდ ლახტის დადებით და მე-2 ფაზაში შეეცადეთ, შეცვალოთ ლახტი დამწოლი ნახევრით.



➤ თუ დაშავებული უგონოდაა, ტაქტიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით, მოახდინეთ მისი პირადი აღჭურვილობის და ამოცანის შესრულებისთვის საჭირო აღჭურვილობის საფარში გადატანა. დაშავებულს, რომელსაც აღენიშნება ცნობიერების დარღვევა, უნდა მოვაშუროთ იარაღი და საბრძოლო მასალები. იარაღი გადატანილ უნდა იქნეს დაშავებულთან ერთად;

➤ ამ ფაზაში ყურადღებას არ აქცევთ დაშავებულის ზემო სასუნთქი გზების მდგომარეობას და სხვა დაზიანებებს, რადგანაც თავდაპირველად მთავარია მისი სწრაფი გადაყვანა უსაფრთხო ადგილზე;

➤ მიაწოდეთ ინფორმაცია თქვენს მეთაურს ათეულში დაშავებულის (დაშავებულების) მდგომარეობის შესახებ.

ინფორმაციის მიწოდება:

ნაყოფის მეთაურს მიაწოდეთ ინფორმაცია შემდეგ სიტუაციებში:

ა. როცა დაადგენთ, რომ დაშავებულს არ აქვს ამოცანის შესრულების უნარი;

ბ. ნებისმიერი სამედიცინო პროცედურის დაწყებამდე;

გ. დაშავებულის ჯანმრთელობის

მდგომარეობაში ნებისმიერი ცვლილების (მათ შორის დაღუპვის) შემთხვევაში.

➤ მონინალმდეგის ცეცხლის შექცობაში არ შეიძლება დაშავებულისთვის ჩაფხუტის მოხდა, ჯავშანჭილეთისა და განტვირთვის ჟილეთის გახდა;

➤ ცეცხლის ქვეშ ყოფნისას, გარდა სიცოცხლისათვის საშიში სისხლდენის შეჩერებისა, თქვენ ვერ მოახერხებთ დაშავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებას;

➤ მაქსიმალური, რასაც საბრძოლო მასველი შესძლებს, არის სწრაფი გადაყვანა დროებით თავშესაფარში;

➤ ამ ფაზაში, მასველის მიზნია, დაშავებულს აღმოუჩინოს მხოლოდ სიცოცხლის შემანარჩუნებელი დახმარება და მოახდინოს მისი გადაყვანა დროებით თავშესაფარში ან დაჭრილთა შეკრების პუნქტში;

➤ დაშავებულის შეფასება, სისხლდენის შეჩერება, ჭრილობის შეხვევა, მოტეხილების, დამწვრობის, შოკისა და სხვა დაზიანების პირველი დახმარება, ასევე, ხელოვნური სუნთქვის და გულის არაპირდაპირი მასაჟის ჩატარება შეიძლება მხოლოდ ისეთ ადგილას ჩატარდეს, სადაც თქვენ საშუალება გექნებათ უსაფრთხოდ ნამოდგეთ მუხლებზე.

➤ ყოველთვის შეეცადეთ, წინასწარ განსაზღვროთ, რა სახის დაზიანება შეიძლება აღენიშნებოდეს დაშავებულს და დაგეგმეთ, თუ რას მოიმოქმედებთ დაშავებულის დასახმარებლად.

➤ რიგ შემთხვევებში, პირადი უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით, ვერ ხერხდება მონინალმდეგის პირდაპირი ცეცხლის ქვეშ მყოფ დაშავებულთან მიახლოება.

სახელმძღვანელოდან „საბრძოლო მასველი“

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი, სამედიცინო დეპარტამენტი



ზნენი

ქართველთა ღირსების კოდექსი

სხვა მრავალ მიზეზთან ერთად ქართველთა მოდგმისა და ქართული სახელმწიფოს გადარჩენის საქმეში გადამწყვეტი როლი სამმა უმნიშვნელოვანესმა ჩვეულებამ ითამაშა. ამ სამ ფაქტორზე იყო დამყარებული ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა და სახელმწიფოს სიძლიერე. პირველი გულისხმობდა თითოეული ქართველის მუდმივ მხედრულ მზადყოფნას, რაც გამოიხატებოდა დაულაღავ წვრთნასა და ვარჯიშში. მეორე იყო დაულაღავი შრომა და მასთან დაკავშირებულ ჩვეულებები, რომლებიც პირველ რიგში მიმართული იყო სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერისკენ. მესამე და ამასთან ერთად

ზნენი უძველესი დროიდან მოქმედებს როგორც დანერგილი, ისე დაუნერგელი კანონის სახით. ზნენი ქართველს უპირველეს ყოვლისა ავალებს: ღვთისა და მამულის სამსახურს, ქართული ენისა და ქართული წერა-კითხვის ცოდნას. გარდა ამისა, ღირსეულმა ქართველმა, უნდა დაიცვას: მხედრობა-მამაცობის, უფროს-უმცროსობის, მტერ-მოყვარეობის, ნათესაობა-მეგობრობის, ჭირ-ღვინის, პურ-ღვინის, შრომა-დასვენების ზნეობა, რომლებიც თავის მხრივ ამა თუ იმ დარგთან დაკავშირებულ ზნე-საქციელებს აერთიანებს. სწორედ ამ წესების დაცვით ჩანს ქართველის ქართველობა: სალოცავში, ბრძოლაში, შრომაში, პურ-ღვინოსთან, სტუმართან, მტერთან, უფროსთან, უმცროსთან ურთიერთობისას. ზნენის წესების დაცვა არ არის ადვილი, ამიტომ ყველას არ შეუძლია ღირსეულად ატაროს ქართველის სახელი. მიუხედავად ამისა, ქართველს მაინც მკაცრი განაჩენი აქვს გამოტანილი მათ-

სავსე ისტორია გახდა. უზარმაზარი იმპერიებით გარშემორტყმულ ქართველთა სახელმწიფოს გაუჭირდებოდა არსებობის შენარჩუნება თუ მთელი ერი ერთ სამხედრო ბანაკად არ შეიკვრებოდა. ამან ჩვენში „ქუდზე კაცად“ დაძახების ტრადიცია გააჩინა, რაც ყველა ქუდოსნის მუდმივ მხედრულ მზადყოფნას ნიშნავდა. რამდენი ქუდოსანიც იყო იმდენი მეომარი ჰყავდა ქვეყანას. საქართველოში „ქუდზე კაცს“ არც „თავსაფრიალი დედაკაცები“ ჩამორჩებოდნენ. ასეთი მხედრული შემართების წყალობით ქართველთა ქვეყნა ერთ დიდ ციხე-სიმაგრეს ჰგავდა. სწორედ ამიტომ ვერასდროს, ვერცერთ საუკუნეში, ვერავინ შეძლო ამ „ციხის“ ყველა „ბურჯის“ დაკავება და მთელი საქართველოს დამორჩილება. ასეთ გაუტყუებლობას სწორედ „ქუდზე კაცის“ ინსტიტუტი და მისი მხედრული კოდექსი – ზნენი განაპირობებდა, რომელიც ქართველისგან მხოლოდ ბრძოლის ველზე არ ითხოვდა „ქუდზე კაცობას“. „ქუდზე კაცობა“ ნიშნავდა ნებისმიერი საქმით მუდმივ ბრძოლას ღვთისა და მამულისათვის. ბრძოლას ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართველობის გადასარჩენად. ქართველი ერთდროულად უნდა ყოფილიყო მნიგნობარი, მხვენელ-მთესველი, ციხე-სიმაგრეთა მშენებელი და მამულის დამცველი მეომარი. არანაირი საქმიანობა ქართველს არ ათავისუფლებდა მხედრული ვალდებულებისაგან, თვით ღვთისმსახურებიც კი ღვთისმსახურთათვის მისაღები არამჭრელი საბრძოლო იარაღით „ქუდზე კაცად“ დგებოდნენ ქართული ჯარის რიგებში, რადგან ქართველობის ჯვარი ითხოვდა ამას.



ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ძლიერი რწმენა, რომელიც დაფუძნებული იყო ნიგნიერ განათლებასა და სულიერებაზე, რაც უდიდეს როლს თამაშობდა როგორც რჯულის სიმტკიცის თვალსაზრისით, ისე ისტორიული მესხიერების შენარჩუნებაში. ზემოთ ჩამოთვლილი სამი უმნიშვნელოვანესი მიმართულების: სულიერების, შრომისა და ბრძოლის უნარის განმტკიცებას უძველესი დროიდან ემსახურებოდა ქართველთა ღირსების კოდექსი - ზნენი, რომელიც 365 ზნე-საქციელს აერთიანებს. ზნენი განსაზღვრავდა თითოეული ქართველის ზნეობასა და ცხოვრების წესს. ის არის ქართველთა მხედრული სიმტკიცისა და შეუპოვრობის კანონი, ქართველთა ეროვნული იდეოლოგია ანუ ქართული ზნეობის რჯული.

თვის, ვინც არ იცავს ქართულ ზნე-საქციელს, ამიტომ ასეთი ადამიანის აღარც ქართველობა ითქმის, აღარც კაცობა, და აღაც ქალობა. ქართველობა დაკარგულის სახელი ქართველმა შეიძლება მიიღოს თუნდაც ერთი რომელიმე ზნეობის დარღვევის შემთხვევაში, მაგალითად თუ ის ვერ მეტყველებს ქართულად, მხდალია, უზომოდ სვამს, მრუმობს, არ იცავს უფროს-უმცროსობის წესს, ვერ იცევა ღირსეულად: ნათესავებთან, მეგობრებთან, სანინალმდეგო სქესის წარმომადგენლებთან ურთიერთობაში და ასე შემდეგ.

ზნენი და „ქუდზე კაცი“

ზნენის ჩამოყალიბების უპირველესი მიზეზი საქართველოს განსაცდელით

საქართველოს ძლიერების ხანაშიც კი, ყველა დიდსა თუ მცირე ომში „ქუდზე კაცი“ ქართული ჯარის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენდა. სწორედ ზნენის წყალობით „ქუდზე კაცი“ ისტატობით დიდად არ ჩამოუვარდებოდა რეგულარული არმიის მეტრძოლს. ჟუ-კიდურესი განსაცდელის ჟამს, არათუ მამაკაცები, ქალებიც გამოდიოდნენ საომრად, ამიტომ ზნენის მიხედვით ქალების მხედრული წვრთნაც იყო გათვალისწინებული.

ზნენი ძველ საქართველოში უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავის იმედად მყოფი დამოუკიდებელი პიროვნების და მეომრის აღზრდას ემსახურებოდა, რომლის უმთავრესი მიზანი რჯულისა და მამულის სამსახური იყო. მას ნებისმიერ გარემოებაში, განსაცდელის მიუხედავად უნდა შეენარჩუნებინა „ქართველობა“, რაც ქართული ზნეობის, ესე იგი ქართველთა ცხოვრების წესის დაცვას ნიშნავდა. დღესაც კი, საქართველოში, თუნდაც ერთი რომელიმე ქართული ზნეობის ვერდამცველი ადამიანი ქართველი კაცის წარმოდგენაში

კარგავს „ქართველობას“. ზნენის დარღვევა უზნეობას ნიშნავს, ზნედაცემული არა ინოდება ქართველად, ეს არის ქართველისთვის უმკაცრესი განაჩენი. „ქართველობა დაკარგული“ ქართველი თავის უზნეობას ავლენს: რჯულის, მამაცობის, პურ-ღვინის, უფროს-უმცროსობის, დედა-შვილობის, ცოლ-ქმრობის, ნათესაობა-მეგობრობის ოჯახიშვილობის წესის დაღვევით, ქართული ენის დავიწყებით, სამშობლოს სამუდამო მიტოვებით და ასე შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ზნენი უამრავ ზნეობას აერთიანებს, ქართულ ზნეობათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მხედრული წვრთნის ზნეობას, რომელიც წარმოადგენდა მხედრული აღზრდის საფუძველთა საფუძველს.

მხედრული წვრთნის ზნეობა

იმისათვის, რომ ქართველს მტკიცედ დაეცვა ქართველთა მხედრული ღირსების კოდექსის ზნე-საქციელები, მას მტკიცე საბრძოლო წვრთნა უნდა გაეგლო. ამისათვის კი საქართველოში არსებობდა დახვეწილი საწვრთნელი სისტემა.

სხვა მრავალი ქვეყნიდან განსხვავებით, სადაც ხშირად საბრძოლო ხელოვნების ცოდნა ერთი რომელიმე საზოგადოებრივი ფენის უფლება და ვალდებულება იყო, საქართველოში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოქმედებდა „ქუდზე კაცის“ ლაშქრად დაძახების პრინციპი. ყველა „ქუდოსანი“ მოვალე იყო, ზედმიწევნით შეესწავლა მხედრობა და პირველივე დაძახილზე გამოსულიყო საომრად. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სახელმწიფოს ნებისმიერ ეპოქაში ჰყავდა გარკვეული რაოდენობის რეგულარული ჯარი, რამდენიმე ბედნიერი ეპოქის გარდა ის არასდროს იყო ქართული ჯარის ძირითადი ბირთვი. ლაშქრის უმეტესი ნაწილი მაინც „ქუდზე კაცად“ იყო შეკრებილი. ამიტომ საქართველოში მხედრობა არ იყო მხოლოდ გარკვეული ჯგუფის საქმე, ეს იყო თითოეული მამაკაცის ვალდებულება. არ ჰქონდა უფლება კაცად გაჩენილს, „ქუდი ეტარებინა“ და არ ეცხოვრა სამამაცო ზნე-საქციელთა მიხედვით. ცხოვრების წესი და წერა იყო ქართველისთვის მხედრობა.

ასეთი მკაცრი წესები მთელი ცხოვრების განმავლობაში სრულყოფილად რომ დაეცვა ქართველს, ამისთვის მკაცრ მხედრულ აღზრდას გადიოდა. აღზრდის წესში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ღირსების კოდექსის სამხედრო-სამამაცო ზნეობათა დარგში შემავალ ზნე-საქციელთა, ესე იგი საბრძოლო სახეობათა შესწავლა. ამ ჯგუფში შემავალი ზნე-საქციელების, სულხან-საბა ორბელიანის ცნობით, ოთხ დარგად იყოფა. ეს დარგებია: მოასპარეზობა, ფუნდრუკი, როკვა და მღერა. აქედან



პირველი ორი დარგი, მხედრული წვრთნის თვალსაზრისით, მთავარ მიმართულებებს წარმოადგენს, შემდეგი ორი კი დამხმარეა. სულხან-საბას განმარტებით, ოთხივე დარგში შემავალი ზნე-საქციელები განსხვავებული შინაარსის მატარებელი იყო.

„მოასპარეზობა“ თავის თავში აერთიანებს ყველა ქართულ ცხენოსნურ ვარჯიშს: ყაბახს, ისინდს, ცხენბურთს, მკერდაობას, დოლს და ასე შემდეგ. გარდა ამისა, ის შეისწავლის ცხენდაცხენ ხმლით, შუბით, ისრით, შურდულით და სხვა ნებისმიერი საცემი და სასროლი იარაღით ბრძოლისა და ასპარეზობის ხელოვნებას. საბას განმარტებით, მოასპარეზობა არის: „მხედართა მიერ ანძათა ისრისა სრევა, ბურთთა ყვანჭსა (ყვანჭითა) ცემა, საგანთა სროლა და ეგვიეთარნი.“

„ფუნდრუკი“ აერთიანებს არასაცხენოსნო ყველა საბრძოლო და სავარჯიშო სახეობას: სირბილს, ხტომას, კრივს, ჭიდაობას, ფარეკაობას, შუბით, მათრახით, თუ სხვა სახის იარაღით ორთაბრძოლას. საბას განმარტებით „ფუნდრუკი არს ვაჟებთა მიერ (ს)რბოლა, ხლდომა სხვანი მრავალსახენი სიკისკასენი“. სხვა ადგილას სულხან-საბა სიტყვა ფუნდრუკს რკინობა-ჭიდაობის ნაცვლად იყენებს. კერძოდ ის ქართული ჭიდაობის ერთ-ერთი სახეობის, ხარდიორდას შერკინების წესის განმარტებისას აცხადებს, რომ ხარდიორდა წარმოადგენს მოგვერდით ფუნდრუკს.

როკვა შეისწავლის მხედრულ, სა-

რიტუალო, საშეჯიბრო და ყველა სხვა სახის ცეკვის ხელოვნებას. ქართული ტრადიციით მეომარი როკვას ასრულებდა როგორც ნამდვილი ბრძოლის დაწყების და დამთავრების წინ, ისე უბრალო საჭიდაო თუ სხვა სახის შებმის დაწყება-დამთავრებისას. როკვა იყო საბრძოლო რიტუალის უმთავრესი ნაწილი. სულხან-საბა ორბელიანი ჩამოთვლის მის დროს გავრცელებულ როკვის რამდენიმე სახეობას: „როკვა არს სამა, ცეკვა, ბუქნა, კოჭა, ფერხული, მგრგვლ(ა)თ წყობა და რაოდენიცა ებანთა და ფანდურ(ი)თა მიერ იქმნებინა“.

მღერა ძველ საქართველოში უფრო ფართო შინაარსის მატარებელი იყო ვიდრე ახლა მხედარს როკვასთან ერთად ბრძოლის წინ მხედრული სიმღერაც უნდა შეესრულებინა. სიმღერით ადიდებდნენ უფალს, სამშობლოს, მამაცობას და ამით იქმნიდნენ საბრძოლო განწყობას. გარდა ჩვეულებრივი სიმღერისა, მეომარს, ბრძოლის წინ, იარაღიც უნდა აემღერებინა. ასე ეძახდნენ ძველ საქართველოში იარაღის სხვადასხვაგვარ ტრიალს და ბრუნებას. საბას განმარტებით: „ოროლთა მრავალგვარად ბრუნებასაც მღერად(ვე) იტყვიან“. ეს იყო როგორც ბრძოლის წინა მოთელვითი ვარჯიში, ისე იარაღის მოსინჯვის და მასთან შენივთების რიტუალი. ამიტომ სამამაცო ზნეთა ამ დარგში გაერთიანებულია ხმლის, ხანჯლის, დაშნის, შუბის, ჯოხის და სხვა იარაღის ტრიალის ანუ მღერების ხელოვნება. ქართული ტრადიციით, ამავე დარგს განეკუთვნება ჭკუის



გამავარჯიშებელი სახეობები: ჭადრაკი, ნარდი და ასე შემდეგ.

ზემოთ ჩამოთვლილი დარგები მამაკაცთან ერთად დედაკაცების მხედრული წვრთნასაც ითვალისწინებდა, მაგრამ ქალების განსხვავებული ფიზიკური მონაცემების გამო ის ცალკე დარგს წარმოადგენდა და მას ხუნტრუცი ეწოდებოდა. სულხან-საბას განმარტებით, ხუნტრუცი არის: „ქალთა მიერი ფუნდრუკი ძალისაებრ მათისა“. საქართველოს ისტორიულმა ძეგლებდობამ ქართველი ქალი აიძულა, დედაკაცურთან ერთად მამაკაცური მხედრული ტვირთიც ეტარებინა და მამაკაცთან ერთად გასულიყო ბრძოლის ველზე. XIX საუკუნეში, სახელმწიფოებრიობის დაკარგვასთან ერთად, ქალის მხედრულმა აღზრდამ ფუნქცია დაკარგა, ამიტომ „ხუნტრუცი“ დღეს ირონიულ, უაყოფით კონტექსტში იხმარება.

იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ ჩამოთვლილ ვარჯიშებს საშეჯიბრო და საწვრთნელი შინაარსი არ ჰქონდა, მამინ ასეთ მოქმედებას შექცევას უწოდებდნენ. შექცევად იწოდებოდა აგრეთვე გართობისა და დროის გასატარებელი სახეობები.

მხედრული აღზრდის ასაკობრივი პერიოდები

ძველ საქართველოში ზნეთა კოდექსის მიხედვით აღზრდას გაჩენის დღიდან იწყებდნენ, მაგრამ სამამაცო ზნე-საქციელთა შესწავლა ხუთი წლის ასაკიდან ხდებოდა და რამდენიმე ძირითად პერიოდს მოიცავდა. პირველ ეტაპს წარმოადგენს ხუთიდან თორმეტ წლამდე ასაკი, ამ დროს პატარა ქართველი უაპარალოდ და ხის „საჩვევი“ იარაღით სრულყოფილად ეუფლებოდა

ხელჩართულ ბრძოლაში გამოსადეგ ყველა საჭირო ზნეს. ამ პერიოდის გავლის შემდეგ 12 წლის ასაკში პატარა მებრძოლს ენიჭებოდა გუშაგის — „ეგურის“ წოდება. მას დაჰკიდებდნენ „პაპისეულ“ ბრძოლაგამოვლილ ხანჯალს. ამ დღიდან ის უკვე „დიდი იყო“.



მართალია, ის შორეულ ლაშქრობებში მონაწილეობას არ იღებდა, მაგრამ საკუთარ სოფელზე, ხეობასა თუ ქალაქზე თავდასხმის დროს ვალდებული იყო, გამოსულიყო სალაშქროდ.

ასევე, 12 წლის ასაკში მთავრდებოდა ქალის სადიაცო აღზრდა, რომელიც სადედოდ აღზრდასთან ერთად თავისებურ მხედრულ აღზრდასაც ითვალისწინებდა. ქალიც 12 წლის ასაკიდან ითვლებოდა სრულწლოვნად, ამ პერიოდიდან მასაც დაჰკიდებდნენ საბრძოლო იარაღს, მაგრამ ქალის შემთხვევაში იარაღის გამოსაჩენ ადგილას დაკიდება და ტარება დიდ სირცხვილად ითვლებოდა, ეს ოჯახის წევრი მამაკაცების შეურაცხყოფა იყო, რადგან სანამ ოჯახში მამაკაცები

ტრიალებდნენ, ისინი იყვნენ ქალის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლები. ამიტომ ქალი სამოსელის დაფარულ ნაწილში ინახავდა იარაღს და მისი გამოყენების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰქონდა, როცა მის ღირსებას ვინმესგან საფრთხე ემუქრებოდა და არავინ იყო მამაკაცთაგან მისი დამცველი. ასეთ დროს დედაკაცი დაქალებამდე ნასწავლ მხედრულ ჩვევებს იყენებდა და ღირსეულ პასუხს სცემდა მოძალადეს.

თუკი დედაკაცის შემთხვევაში 12 წლის ასაკში წყდებოდა მხედრული წვრთნა, მამაკაცები სრული მხედრული ოსტატობის დაუფლებას კიდევ სამი წელი აგრძელებდნენ, მაგრამ ახლა უკვე ნამდვილი საბრძოლო იარაღით. ამ პერიოდის გავლის შემდეგ, 15 წლის ასაკში, ვაჟს „პაპისეულ“ ბრძოლაში ნაცად ხმალს დაჰკიდებდნენ, ამ ასაკიდან ის უკვე სრულყოფილი „მხედარი“ იყო. ამის შემდეგ ის საკუთარი თემ-სოფლისა და ხეობის იქითაც წავიდოდა სალაშქროდ, მაგრამ მაინც, მიუხედავად მხედრული აღზრდის დასრულებისა, სრულ დაოსტატებამდე 15 წლის მეომარს კიდევ სჭირდებოდა რამდენიმე წლიანი მხედრული წვრთნა და საბრძოლო გამოცდილების დაგროვება, რათა ის უფრო სამიმ მეტოქედ ქცეულიყო მტრისთვის. თუ მხედარი დიდებული, ან სამეფო სახლის ბატონიშვილი იყო, 15-16 წლის ასაკიდან მას უკვე უწევდა დასის, სადროშოსა თუ ლაშქრის წინამძღოლობა. გარდა ამისა, ამ ასაკიდან სამეფო ოჯახის შვილები საჭიროების შემთხვევაში სრულყოფილად ერთვებოდნენ ქვეყნის მმართველობაში. უბრალო ერის შვილები კი, განსაკუთრებით მონაპირეები, მუდმივად ლაშქრობდნენ და აწუხებდნენ მტერს. მართალია, ქართული ლაშქრის პრინციპიდან გამომდინარე, თითოეული მებრძოლისათვის წინასწარ იყო განსაზღვრული ბრძოლის დროს რომელი დროშის ქვეშ რა იარაღით დამდგარიყო, იქნებოდა ეს ხმალი, შუბი, მშვილდი თუ სხვა იარაღი, მაგრამ მაინც თითოეული მებრძოლი უნდა ყოფილიყო სრულყოფილი: მორკინალი, მოკრივე, მშვილდოსანი, შუბოსანი, ცხენოსანი და ასე შემდეგ. ქართველთა ღირსების კოდექსის, „ზნენის“ წესებით განსაზღვრული მხედრული წვრთნისა და მზადყოფნის ჩვეულება იყო უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რამაც ჩვენი ამოგდების მოსურნე უზარმაზარ იმპერიებს არ მისცა ქართველთა გაქრობის საშუალება და უამრავი ქართველების გავლის შემდეგ გადაარჩინა ქართული სახელმწიფო.

ნუკრი მჭედლიშვილი
ხრიდოლის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი

ყველაზე დიდი მარხვა ზიკეთის წყობაა



„გულმონყალემა ცხოვნებისაკენ მიმავალი ყველაზე სწორი და უმოკლესი გზაა. ამიტომაც ბრძანებს უფალი, რომ საშინელი სამსჯავროს დროს მონყალენი იქნებიან შეწყალებული და დაიმკვიდრებენ ცათა სასუფეველს“.

(კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ქადაგებებიდან)

დღევანდელ საზოგადოებაში არიან ადამიანები, რომელთაც გათვითცნობიერებული აქვთ ამ გამონათქვამის მთელი სიღრმე. მათ გულთან მიაქვთ მოძმის გასაჭირი და მზად არიან, ლუკმა გაუყონ გაჭირვებაში მყოფთ, გაიზიარონ და გაითავისონ მათი მდგომარეობა. ესენი არიან მადლიანი, მოსიყვარულე, გულიანი ადამიანები, რომლებიც ერთობის მადლით, სიკეთის კეთების სურვილითა და სიყვარულით არიან გაერთიანებულნი. ისინი უანგაროდ უდგანან გვერდში ადამიანებს, ვისაც მათი დახმარება სჭირდებათ.

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და

სოფლისთვის არა იზრუნოს.“

„ერთობის მადლით“ გაერთიანებული ადამიანების ნუსხაში მრავალი კეთილი საქმეა: ისინი უანგაროდ ეხმარებიან

დაუცველ ოჯახებს. აწყობენ სისხლის გაღების არაერთ აქციას.

მინდა, ყურადღება გავამახვილო ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებაზე - ამ



მოხუცთა და მიუსაფართა სახლებს, ბავშვებს, ავადმყოფებს, სოციალურად

რამდენიმე ხნის წინ, ერთობის ძალით და მადლით, ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ცენტრალურ ბანკში ჩატარდა აქცია: „გაიღე სისხლი, გადაარჩინე სხვისი სიცოცხლე.“ ღონისძიება მოტოკლუბ "ინვიტუს"-ისა და ჩოხოსანთა ერთობით მოეწყო. აქციის მონაწილეებმა უანგაროდ ჩააბარეს სისხლი სხვათა სიცოცხლის გადასარჩენად. მომავალშიც დაგეგმილია მსგავსი მრავალი საქველმოქმედო ღონისძიების გამართვა. იმედია, ღვთის წყალობით, კიდევ მრავალი ქველმოქმედი შემოგვიერთდება. სიკეთე ხომ გადამდებია!!!

„როცა ადამიანი კეთილ საქმეს აკეთებს, გადმოედინება მადლი სულისა, რაც მთელ მის სხეულს, შვილებს და შვილიშვილებს ეფინება.“ (კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქადაგებებიდან.)

ლამა ბარათაშვილი



ღია გაკვეთილი გმირების ნავსაყუდარში

ახლა იმ ასაკში ვარ, ფიქრი რომ უფრო მეტი მაქვს, ვიდრე ქმედება. ამიტომ ავედევნები ხოლმე ჩემს ფიქრებს და ზოგჯერ დილამდე მიწევს ფიქრი. მერე დავალაგებ ამ ჩემს ნაფიქრს და ფურცელზე გადმომაქვს ხოლმე.

... ნუხელ გმირობაზე ვფიქრობდი, ჩვეულებრივ გმირებზე, რომლებიც ჩვენს გვერდით იყვნენ, ჩვენს შორის ცხოვრობდნენ, უყვარდათ, განიცდიდნენ, იცინოდნენ, სვამდნენ, ვაჟუკაცურად ჩხუბობდნენ, მერე მღეროდნენ, ცეკვავდნენ და, ალბათ, გმირობაზეც ოცნებობდნენ, ისე, ჩუმად, თავისთვის.

„ნესია მამულისადა მოკვდით და დაიხარჯენით“ – ალბათ, ყველა გმირის საფიქრალი ესაა, გმირები, ალბათ, გამორჩეულ ვარსკვლავზე იბადებიან. გმირობას ალბათ, დიდი განსჯა და ფიქრი არ უნდა, ეს ნამის მეთათვისაა ხდება.

ამ დროს ფიქრის დროც არ გაქვს, არც წინასწარ განზრახული, რომ მე ახლა ამას ჩავიდნენ და გმირი გავხდები, სახელი სიკვდილს ჰგავს, როცა საჭიროა, იგი თავად მოგაკითხავს“ (კ.გამსახურდია)

„უბედურია ის ქვეყანა, რომელსაც გმირები ესაჭიროება“ – ამბობდა ბერტოლტ ბრეხტი. მაღლობა ღმერთს და ამ თავგანწირულ ბიჭებს, რომ საქართველოს ისტორია სავსეა სამშობლოს შეწირული ბიჭების სახელებით, რომლებიც არასოდეს იქნებიან დავიწყებულნი. ასე არის, ალბათ, ამ შემთხვევაშიც. ისინი სულ არ ფიქრობდნენ გმირობაზე, სახელზე, მათთვის ომში წასვლა ჩვეულებრივი ამბავი იყო. ამიტომაც მიდიოდნენ ყოველგვარი შიმის გარეშე და იმედით, რომ მალე დაბრუნდებიან.

ჩოხატაურის რაიონი ერთი პატარა ადგილია გურიაში. ამ პატარა რაიონმა 16 ადამიანი შესწირა საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლას.

პირველი მსხვერპლი გოგონა იყო, 9 აპრილის ღამეს შეწირული ღამაზი სიცოცხლე. მასსოვს მაშინდელი ემოციები, დიდი ტკივილები და არასოდეს დამავიწყდება ნატოს გიორგაძის დედა, მძიმე შავებში შებურვილი, უდიდეს სევდად და ტკივილად, მაგრამ ამაყად რომ დააბიჯებდა ნატოს საფლავსა და სახლს შორის.

ამას მოჰყვა 1992 წლის აფხაზეთის მოვლენები და ჩემი რაიონის უდიდესი, უკარგესი და დარჩეული ბიჭების უყოყმანოდ წასვლა ქართული მიწის დასაცავად, რომელსაც მალევე მოჰყვა შავად შესუდრული დედების გოდება, დაცა-

ლებული მეუღლეების ჩუმი ცრემლი და ობლად დარჩენილი შვილების სახეები, რომლებმაც არ კი იცოდნენ, რომ მათი მამების თავგანწირვამ გმირის შვილებად აქცია ისინი.

ამ 12 ბიჭიდან ზოგს ვიცნობდი, ზოგიერთის სახელი მაშინ პირველად გავიგე, მაგრამ ერთნაირი ტკივილი იყო მათი



რაიონში ჩამოყვანა. „ადამიანისაგან, მხოლოდ მათი საქმეები რჩება“, ამ ბიჭებმა ტკივილიანი, მაგრამ ღრმა კვალი დატოვეს საქართველოს ისტორიაში.

კალაქდაძე მამუკა, ცინცაძე ზაზა, ბერაძე ალექსი, უნგიაძე გოჩა, უჯმაჯურიძე გურამი, ბელოუსოვი გელა, შინოვი ალბერტი, ტრაპაიძე გია, კიკვაძე ნუგზარი, სიხარულიძე გურამი, კიკვაძე ზურაბი, შათირიშვილი ვახტანგი. ეს ის სახელებია, რომელთაც არასოდეს დაივიწყებ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი რაიონი და ის ორასამდე ვეტერანი, რომლებიც მათ გვერდით, ან სხვა ადგილებში და სხვა დროს



იბრძოდნენ.

ახლა მე მინდა, ერთ ჩვეულებრივ დღეზე მოგიყვებ, გაკვეთილზე, რომლითაც ჩვენი გმირი ბიჭების მოფერება გადავწყვიტეთ. ბიჭებისა, რომლებიც დაუფიქრებლად წავიდნენ და გასწირეს თავი სამშობლოს სამსხვერპლოზე.

2008 წლის აგვისტოს ომმა ჩემი რაიონიდან კიდევ სამი სიცოცხლე მოითხოვა სამშობლოს შესწირვოდა ზვარაკად: მერაბ ახოზაძე, ფილიპე მგალობლიშვილი და მურთაზ ირემაძე.

ერთ დღეში ყველას საფლავზე მისვლას ვერ მოვასწრებდით და ამიტომ მერაბ ახოზაძით დავიწყეთ.

კაპიტანი მერაბ ახოზაძე 1979 წელს დაიბადა ჩოხატაურში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა სამხედრო აკადემიაში განაგრძო. აკადემიის დამთავრების შემდეგ კრწანისში იყო შტაბის უფროსი. შემდეგ მეთოხე ბრიგადაში გადავიდა და სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. 24 წლისას უკვე შვიდი წელი ნამსახური ჰქონდა ჯარში.

2004-სა და 2008-ში მისი დისლოკაციის ადგილი ერთი და იგივე იყო. 6 აგვისტოს გამოემშვიდობა ოჯახს, 9-ში უკვე ვეღარ უკავშირდებოდნენ, იმ დღეს დაიღუპა. დაგეგმარების უფროსი იყო, ნესით არ უნდა ებრძოლა, მაგრამ წავიდა ჟარისკაცებისთვის მაგალითი რომ მიეცა. სამ მეგობართან ერთად ბრძოლის ველზე დაეცა.

მერაბი ჩვენი სიამაყეა, იგი სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. ბავშვები მონინებით მიეახლნენ, სანთლები აანთეს და ყვავილებით შეამკეს გმირის საფლავი.

შემდეგი ჩვენი გაჩერება ოზურგეთი იყო, ეროვნული გმირის ზაზა დამენიას საფლავი. ადამიანისა, რომლის გმირობა საარაკო მაგალითია მომავალი თაობებისათვის, გმირისა, რომელმაც საკუთარი სხეულით დაფარა მტრის მიერ ჩამოგდებული ყუმბარა და მეგობრები იხსნა გარდაუვალი სიკვდილისაგან, ეს ყველას არ შეუძლია.

შემოქმედის ეკლესიაში ჩვენი გმირი ბიჭების სახელზე სანთლები ავანთეთ და კიდევ ერთხელ შევთხოვეთ უფალს მათი სულების უკვდავყოფა. დარწმუნებული ვართ, მათი სიცოცხლის კრედო მხოლოდ ერთი იყო: „სიცოცხლეს აუგანსა სიკვდილი მიჯობს ხმალზედა.“

მაია ნინიძე

ბუკისციხის საჯარო სკოლის ქართული ენის მასწავლებელი

ძალი

ეს ამბავი 1992 წელს მალაშვილის აფხაზეთში შემემთხვა. 28 დეკემბერს აფხაზეთში განთავსებულმა ეროვნული გვარდიის შენაერთებმა სამ კოლონად მთებში განლაგებული სოფლების განმედიის ბრძანება მივიღეთ იქ მყოფი „ბოევიკებისაგან“. „თეთრი გიორგი“ ფერმებიდან დაიძრა, ჩვენგან დამცხნივ რამდენიმე კილომეტრში „ავაზა“ მოდიოდა, შემდეგ კი - „თეთრი არწივი“. მივიწვევით ზევით მთებისკენ და, რა საკვირველია, ყველა კოლონას კავშირი უნდა გვექონოდა ერთმანეთთან, მაგრამ რამდენიმე საათში ჩვენი რაცია დაჯდა, „როგორც ყოველთვის“. მთაში საბრძოლო აღჭურვილობით გადაადგილება ჭირდა. არ მოგვეპოვებოდა წყალი. ატარაში, ეზოების დამრეცე-ბზე ამოთხრილ გუბურებში დაგროვილ წყალს ვსვამდით. პირველი დასახლება ადვილად ავიღეთ. მეორეში წინააღმდეგობა შეგვხვდა, მაგრამ ისიც ავიღეთ. გათხრილ სანგრებში დატოვებული ნალაფარიდან სამხედრო ჭოგრიტი ახლაც სახლში მაქვს. იქვე იყო დოკუმენტები ადგილობრივი მოსახლეობის გვარებით და მინიშნებებით. ასევე, ამავე სანგრებში გადაღებული ფოტოები, რომელზედაც შეიარაღებული ხალხი იყო აღბეჭდილი. შემდეგ გავიგეთ, ეს „ბალამუტას“ დაჯგუფება ყოფილა, რომელიც ტყვეარჩელები მოკლეს მოგვიანებით.

ღამე იქ გავათენეთ. მეორე დღეს ავიღეთ ნახარზოუ. სხვათაშორის, ჩვენთან ერთად იბრძოდნენ ცხონებულები გია კრიალაშვილი, გიო ახოზაძე და დანი კეკელია. ვერასოდეს ვაპატიებ ჩემს თავს, რომ გიორგი მიროტაძე, რომელიც გამოსვლისას გვთხოვდა, თქვენთან ერთად წამოვალო, არ წავეყვანეთ, ვითომ გავუფრთხილდით. ის 18 წლის იყო, დედით აფხაზი, ორმეტრიანი, ულამაზესი ბიჭი. ისეთი ჩამოყალიბებული და ნაკითხი ახალგაზრდა იშვიათად შემხვედრია. ჩვენ ორი ექიმი გვყავდა: ირაკლი წურნუშია და გოგა აბრამიშვილი, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს გორში დაიღუპა. ყუმბარა მოხვდა ჰოსპიტლის ეზოში, როცა პოსტი არ დატოვა და მოვალეობას სიცოცხლე შესწირა. სწორედ მის სახელს ატარებს ახლა გორის სამხედრო ჰოსპიტალი. ორივე ექიმი თან გამოცდილი მებრძოლებიც იყვნენ. სულ სულ თან გვახლდნენ. გიორგი მიროტაძე, ბრძოლაში გამოუცდელი და ძალიან ახალგაზრდა, მაინც გამოყვა სხვა შენაერთს და ფეხზე დამდგარი შეხვდა სიკვდილს.

ეს ბრძოლები და ბატალიები ცალკე მოყოლის საგანია, ამიტომ ვწერ ასე მოკლედ. მე მინდა გადმოგვით ძაღლის ამბავი, რომელიც ჩემთვის უსახელო ატარაში შემემთხვა. ნახარზოუს შემდეგ ავიღეთ ჯგერდა, ანჭაბის მშობლიური სოფელი. იქაც გავათენეთ, შტაბთან არავითარი კავშირი არ გვაქვს. ერთადერთი, ცხონებული გოდერძი გვრიტიშვილი ამოვიდა და ზურგით ტყვია-წამალი ამოვიტანა ამ სიმაღლეზე. ღამით უკან მარტო დაბრუნდა, რა გული ჰქონდა ამ მანგლისე ვაჟკაცს... საუბედუროდ, მალევე ვერტმფრენში ააფეთქეს და სულ დამწვარი დავასაფლავეთ. ამასობაში ბრძოლით სოფელ კუტოულამდე ავედით. აქ უკვე მიხეილ თათარაშვილი წამოგვენია თავისი ბიჭებით და მისგან გავიგეთ, რომ ძალიან შორს შევსულვართ. მივიღეთ შეჩერების ბრძანება, ჩვენი ძალები თათარაშვილმა ჩაანაცვლა კუტოულში და ჩვენ დავეშვიტ დისლოკაციის ადგილისკენ აგუძერაში.

ღამე ნახარზოუს გავათენეთ, გამთენიისას კი მონინააღმდეგის შეტევა მოვიგერიეთ. მოკლედ, მზად დავხვდით. ჩვენგან ერთი მეომარი მსუბუქად დაიჭრა, მონინააღმდეგემ კი ორი მებრძოლი დაკარგა. ჩვენ მიერ მოგერიებულმა მტერმა სროლით ჩაუარა ქვევით, მოშორებით მყოფ შენაერთს, სადაც გიორგი მიროტაძე იყო და სწორედ მათი ნასროლი ტყვიით დაიღუპა.

მივაღექი ძაღლის ამბავს... როდესაც დაბოლა ვეშვებოდით, სერზე ბილიკი გადიოდა. გაღმა პატარა დასახლებაში კი რანდენიმე შენობა ჩანდა. ჩვენ ხევი გვეყოფდა. მანძილი დაახლოებით 100-150 მეტრი იყო. უეცრად ამ სახლებიდან ცეცხლი გაგვიხნეს, ჩვენქვით და ვუპასუხეთ, ზურგს უკან ჩაის პლანტაციები გვექონდა, წინ კი ხის მორები გამოვიყენეთ საფარად. მე და ზურა ადუაშვილი ბეტონის ბოდის უკან მოხვდით, რომელსაც 35-40 სანტიმეტრის კვადრატული ფორმა ჰქონდა. მოგვიანებით ვნახეთ, რომ რამდენიმე ტყვია მოხვედროდა. დღესაც არ ვიცი, ორი კაცი როგორ დავგიცვა იმ ბოძმა. შემოვლითი მანევრის განხორციელებისა და ჩვენი მხრიდან ყუმბარმტყორცნების გამოყენების შემდეგ, სროლა შეწყდა და ჩვენც შევედით დასახლებაში.

ეზო, საიდანაც გვესროდნენ, რამდენიმე ნაგებობისგან შედგებოდა. ვინც ხართ აფხაზურ სოფლებში ნამყოფი, გექნებათ ნანახი, ეზოში სახლის გარდა რამდენიმე დამხმარე სა-



ილიქარ ბრიგოლია

თავსოა. ეზოში სისხლიანი „ტელეგრაფები“ და ნაჭრები ეყარა. მოკლული ან დაჭრილი არ დავხვებდრია. დავიწყეთ ე.წ. „რასჩისტკა“. არავინ ჩანდა. იქვე გრძელი ხის ნაგებობა იდგა. კარი შეღებული იყო. ავტომატ მომარჯვებული ფრთხილად შევედი, აბსოლუტურად ცარიელ შენობაში, შორეულ კუთხეში, უზარმაზარი ძაღლი, ჩვენში „ქოსას“ რომ ეძახიან, ზურგით იჯდა და კუთხეს მისმტერებოდა. რამდენჯერმე დაუძახებ, კიდეც დაუესტვინე, რა არ ვცადე, მაგრამ რეაქცია არაფერზე ჰქონდა. მისმტერებოდა კუთხეს და გაუნძრევლად იჯდა, თითქოს იქ არ ვიყავი. მე ჩემი საქმეები მქონდა, გამოვბრუნდი და ეს ამბავი დიდი ხნის მერე უკვე თბილისში, ერთ-ერთი უძილო ღამის დროს გამახსენდა. დაფიქრდი, რატომ არ შემომხვდა იმ ძაღლმა. მე მგონი, ჩვენ და მისმა პატრონმა ისეთი სოდომგომორი დავატრიალეთ იმ მინაზე და ეზოში, ისე დავჭამეთ ერთმანეთი, რომ ამ ძაღლისთვის ჩვენ, ადამიანები, ძაღლები გავხდით და მან მე ძაღლადაც არ ჩამაგლო.

თადარიგის კაპიტანი
ილიქარ ბრიგოლია
სამაჩაბლოს და აფხაზეთის ომის
ვეტერანი, „თეთრი გიორგის“ მეთაური,
„ღირსების“ ორდენის კავალერი



„ოპოზიციური პოლიტიკა არაკონსტიტუციურია“

ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნავთ მათ მიმდინარეობის სახელებს. შსს-ს სპეცდანიშნულების რაზმის უფროსის ყოფილი მოადგილე შიდა ქართლში, თადარიგის ოფიცერი გია ცერცვაძე, ერთ-ერთია მათ შორის. ქართველი ოფიცერი ორი თვის წინ ავადმყოფობით გარდაიცვალა. უნდა ითქვას, რომ იგი არ იქნა დაკრძალული იმ პატივით, რაც აფხაზეთისა და 2008 წლის აგვისტოს ომების მონაწილე ვეტერანს ეკადრებოდა. დამსახურებული ადამიანის სიკვდილი კი ის მოვლენაა, რომელიც შსს-ს და გაგვიჩვენებს ყოველგვარ დაპირისპირებას. რაც, სამწუხაროდ, გია ცერცვაძის გარდაცვალების შემთხვევაში არ მომხდარა.

პოლიტიკური პროცესები არის დროებითი, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ქვეყნის განვითარებაზე, მაგრამ ისტორიაზე იგი ვერაფერს ვერც შეცვლის, ვერ გააფერმკრთალებს, ვერ გააუბრალოებს. გია ცერცვაძის ბიოგრაფია კი სწორედ ისტორიის კუთვნილებაა.

მას იმ ქვეყანასთან, რომლის დასაცავად სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იბრძოდა, დედისეული ფესვები აკავშირებდა. ორი წლის იყო, როდესაც დედა გარდაიცვალა. დედის გარდაცვალების შემდეგ მამამ იგი მშობლიურ სოხუმში ჩამოიყვანა. სხვა ცოლი შეირთო, რომელმაც პატარა გიას არაჩვეულებრივი დედობა გაუწია. გზა უკრაინიდან საქართველოში და ცხოვრების დასასრულს კვლავ უკრაინაში... ამ გზაზე იგი რუსეთის ფედერაციის სამართალდამცავი ორგანიზაციის მიერ ძებნილი გახდა. ბრალდება ასეთი იყო: 2003 წელს ჩადენილი დანაშაული — „მკვლელობა ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად, მკვლელობის მცდელობა ჯგუფურად, იარაღის უკანონო ტარება“.

რატომ ძებნიდა ქართველი ოფიცერს რუსეთი? ვინ იყო გია ცერცვაძე, როგორ იყო იგი, როგორ აღმოჩნდა ორი მშობლიური ქვეყნის, საქართველოს და უკრაინის, დამცველთა რიგებში? როგორ იყო ოფიცრების ოჯახი და როგორ უნდა იცხოვრონ მათმა ვაჟებმა: 15 წლის გიგმი, 14 წლის ვახტანგმა და 9 წლის ალექსანდრემ მამის გარეშე?.. შევცადოთ, ამ საკითხებზე გია ცერცვაძის ქვრივთან, ტატიანა მესხთან გვესაუბრა და ამ მონათხრობიდან პოლიტიკურ ორომტრიალს შენერიული ქართველი ოფიცრის სახე გადმოგვეცა.

ტატიანა მესხი: 2002 წელს დავამთავრე თავდაცვის ოფიცერთა აკადემია და გოგონების პირველი გამოშვება ვიყავი. გომბორში მოვხვდი განაწილებით ცალკეული სპეცდანიშნულების ბატალიონში, რომელიც თელავის ბრიგადას

ეკუთვნოდა. მომავალი მეუღლე იქ გავიცანი, გოგონებს გვაჯარჯიშებდა. ათ დღეში ვიქორწინეთ. სიმპატიები თავიდანვე გამიჩნდა.

– **ქალბატონო ტატიანა, რას გვეტყვი თქვენი მეუღლის შესახებ, როგორი იყო როგორც ქმარი და როგორც სამხედრო**



გია ცერცვაძე

მოსამსახურე?

– ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული. როგორც ქმარი იყო ძალიან თბილი, რბილი ხასიათის, მოსიყვარული. ის ჩემთვის იყო არა მხოლოდ ქმარი, არამედ მეგობარიც და საერთოდ, ყველაფერი. ჩემს და გიას შორის სხვაობას ვერ ვხედავდი. ყველაფერში მეხმარებოდა. როგორც სამხედრო პირი, იყო მკაცრი და მომთხოვნი. თავად ძალიან მონერვილებული და დისციპლინებული სხვისგანაც მოითხოვდა დისციპლინას.

– **მისი წარმომავლობის შესახებ რას გვეტყვი?**

– დაიბადა უკრაინაში. ორი წლის ასაკში ჩამოიყვანეს აფხაზეთში და იმის შემდეგ ცხოვრობდა სოხუმში. ძალიან პატარა დაობდა. დედამისი ექიმი იყო და როგორც გიასგან ვიცი, პაციენტისგან რაღაც დაავადება გადაედო. ზრდიდა დედობილი, ჯარის დროს მამაც გარდაეცვალა, არხანგელსკში მსახურობდა და მამის დაკრძალვაზე ვერ ჩამოვიდა.

– **როგორ დაუახლოვდა ჯარს, როგორ მოხდა მისი შესვლა შეიარაღებულ ძალებში?**

– ჯარის შემდეგ ლენინგრადის სამხედრო ინსტიტუტში ჩააბარა, ჯერ ავიაციის განხრით, მაგრამ დედას არ

უნდოდა ავიაცია და საბუთები დაზვერვა-დივერსიის ფაკულტეტზე გადაიტანა. ბოლო კურსზე სწავლობდა, როდესაც აფხაზეთში ომი დაიწყო. მიატოვა სწავლა და სამშობლოში დაბრუნდა. აფხაზეთის ომის შემდეგ შსს-ს სისტემაში მსახურობდა. ერთი პერიოდი თავდაცვის სისტემაშიც იყო. ბოლოს შსს-ს სპეცდანიშნულების რაზმის უფროსის მოადგილე იყო შიდა ქართლში.

– **როგორც ვიცი, აგვისტოს ომში თქვენც მონაწილეობდით, ცალ-ცალკე იყავით?**

– კი, ცალ-ცალკე ვიყავით.
– **ბავშვები ვისთან დატოვეთ?**
– მამინ ორი შვილი მყავდა, დედას დაეუტოვე გორში. მეზობელი მოდიოდა თბილისში და იმისთვის გამოუყოლებია თურმე. როდესაც დავბრუნდით, ბავშვები მერე მოვძებნეთ.

– **შვილებზე რას ფიქრობდით, რადგანაც ცოცხალი გამოხვიდოდით თუ არა, საკითხავი იყო...**

– მამინ შვილებზე არავინ ფიქრობდა, რადგანაც თუკი რუსები შემოვიდოდნენ, ცოცხალს არავის შეიქნებოდა დატოვებდნენ. არც სატელეფონო კავშირი გვქონდა, რომ დაგვერეკა. მათუ-მეტეს, როდესაც თვითმფრინავი გადაიფრენდა, საერთოდ ითიმებოდა ხოლმე ყველაფერი. დედაჩემის გამოყვანა ვერ მოვახერხეთ, მხოლოდ მამაჩემი გამოვიყვანეთ. გორის დაბომბვის დროს ჩვენი ნაწილიც დაიბომბა. ბიჭი დამეჭრა და მანქანას ვეძებდი, ჰოსპიტალში რომ გადამიყვანა, დედასერთა იყო, გიორგი მირადაშვილი, საუბედუროდ, ვერ გადავარჩინეთ. გიასთვის უთქვამს ვიღაცას, ტატიანა დაიჭრა და ჰოსპიტალში გადაიყვანესო. დაჭრილებში რომ ვერ მნახა, თურმე მორგში მეძებდა. მე გამუდმებით ვურეკავდი. როგორც იქნა კავშირზე გავედი და ვუთხარი, ამა და ამ სახლის სარდაფში ვარ-მეთქი, ჩემთან ერთად შეიდე ბიჭი იყო. უცებ მოვარდა და სასაფლაოდ გადავიყვანა. ხალხი მალავდა სამხედროებს, ვისაც ფორმა ეცვა. საჭმელს აჭმევდნენ. ადგილობრივები ძალიან დაგვეხმარნენ. თბილისში ჩამოვედით და ბავშვები მოვძებნეთ, ჩემი მეზობლის ნათესავეებთან იყვნენ. ამის შემდეგ ისევ უკან გატრიალდა და უკვე კვირაობით ვეღარ ვხედავდი. სადაც რუსები იდგა, იმ ტერიტორიაზე იყო ხოლმე, მე ჩემს ნაწილთან ერთად უჯარმაში ავედი.

– **ჯარიდან როდის წამოხვედით და რატომ?**

– ჩემი სურვილით, ბავშვების გამო. სამი ბავშვი მყავდა უკვე. გიამ მთხოვა, ჯარს თავი დაანებე და ბავშვებს მიხედო. სამსახურის გადაწყვეტი, სახლში იშვიათად ვიყავი და ვგრძნობდი, შვილები უკვე დედად ვეღარ აღმიქვავდ-

ნენ. სულ სწავლებასა და მივლინებაში ვიმყოფებოდი და ბავშვებს თანდათან ვშორდებოდი.

- თქვენი მეუღლე 2013 წელს გაუშვეს ჯარებიდან, მოვუსმინე მის ინტერვიუს, სადაც ამბობს, როცა მითხრეს, უნდა წახვიდე, გავედი და ვიტყვი...

- კი, ძალიან ინერვიულა. გიას ერთადერთი „დანაშაული“ ისაა, რომ სამშობლოსთვის იბრძოდა.

- უთხრეს მიზეზი, რატომ უნდა წახვიდეო?

- მაშინ დაახლოებით 300 კაცი გაუშვეს და მიზეზი არავის აუხსნეს. გიას მომზადებული ხალხიც გაუშვეს იმის გამო, რომ მათ გია ასწავლიდა და ამაზე ძალიან წერვიულობდა.

- თქვენი აზრით, რატომ ჰქონდათ მის მიმართ ასეთი განწყობა?

- არ ვიცი, ალბათ, იმიტომ რომ ის პოლიტიკაში არასოდეს ერეოდა. მისთვის მთავარი სამხედრო საქმე და ჯარისკაცები იყვნენ.

- საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ გაუღერდა ინფორმაცია, რომ თითქოს გია საპროტესტო აქციების დარბევებში იღებდა მონაწილეობას. რამდენად შეეფერება ეს სიმართლეს?

- ნამდვილად ვიცი, რომ მისი ადამიანური ბუნებიდან გამომდინარე, გიას ასეთი რამ არ გაუკეთებია და ვერც გააკეთებდა, რადგანაც მას საერთოდ სულ სხვა პროფილი ჰქონდა. გია იყო კაცთმოყვარე და საკუთარი ხალხის დარბევებში იგი მონაწილეობას არ მიიღებდა. ისე კი, როდესაც რაღაცას ლაპარაკობ ადამიანი, დამტკიცება უნდა შეგეძლოს. მე შემძლია დავამტკიცო, რომ იგი დარბევებში მონაწილეობას არ იღებდა.

- გასაგებია, მაგრამ დარბევებში ისეთი ქვედანაყოფებიც მონაწილეობდნენ, რომელთაც საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება სულაც არ ევალებოდათ... იქ პროფილს არავინ უყურებდა. 7 ნოემბრისა და 26 მაისის დარბევებზე თუ გქონდათ სახლში ლაპარაკი?

- 2009 წელს, მუხროვანის ამბოხის დროს, მასხოვს, გიას უთხრეს, უნდა შეხვიდე ნაწილში და დაარბიო. გიამ უპასუხა, არ არსებობს, მე ქართველზე ხელს არ აწევო. ამის გამო იგი დააქვეითეს, „დელტას“ შტაბის უფროსი იყო, კაპიტნის ნოდებით და უფროს ლეიტენანტზე ჩამოყვანეს. გია არ იყო ის ადამიანი, რომ ქართველები დაერბია. ეგ კი რადა, იმდენ აფხაზს დაეხმარა, ცოლ-შვილი გადაურჩინა და იქით გადაიყვანა. მას ცუდი ურთიერთობა არც აფხაზებთან ჰქონდა და არც ოსებთან. რუსები რომ არ ჩარეულიყვნენ, ჩვენ, ოსები და აფხაზები დღესაც ერთად ვი-

ცხოვრებდით.

- უკრაინაში წასვლა როგორ გადწყვიტა?

- აქ ვერანაირი სამსახური ვერ ნახა. მუშადაც კი არ იღებდნენ. რომ გაიგებდნენ, რომ პოლიციიდან იყო და თან სპეცრაზმელი, უარს ეუბნებოდნენ.



ტატიანა მახნი შვილებთან ერთად

თავისი თავი რომ ვერ იპოვა, უკრაინაში წავალ, თქვა და წავიდა. იქ სხვადასხვა ქვედანაყოფში იბრძოდა.

- არ წერვიულობდით?

- არ ვწერვიულობდი, რადგანაც იმედი ყოველთვის მქონდა, რომ გია დაბრუნდებოდა.

- ბოლო პერიოდს რაც შეეხება, გიას და თქვენ გქონდათ გულისწყვეტა და პრეტენზია, რომ სახელმწიფომ იგი ვერ დაიცვა...

- საახალწლოდ ჩამოვიდა და უკან რომ ბრუნდებოდა, 2016 წლის იანვარში, საზღვარზე დააკავეს. არ იცოდა, ინტერპოლით თუ იძებნებოდა.

ოსებს ჰქონდათ პრეტენზია გიას მიმართ წყლის მონამელის მცდელობასთან დაკავშირებით. საკითხავია, როგორ უნდა მონამლო ცხინვალში წყალი, რომელიც არაგვს უერთდება და ჩამოიღეს თბილისში. ან რითი უნდა შეიტანო იმდენი სანამლაგი, რომ იმხელა წყალსაცავი მონამლო?! რაღაც მკვლევარებსაც აბრალებდნენ, რომელთანაც არანაირი კავშირი არ ჰქონდა, მაგრამ ვილაცისთვის ხომ უნდა დაებრალებინათ?! ჯარისკაცები დიდ პატივს სცემდნენ გიას და მასთან ერთად ყველა წავიდოდა ბრძოლაში. მე ვთვლი, რომ სწორედ ამიტომ უნდოდათ მისი მოშორება. სამაგალითოდ უნდოდათ მისი დასჯა. ეს ყველაფერი ოსური მხარეიდან მოდიოდა, რადგანაც ძალიან ბევრი განცხადება გააკეთა მაშინ ოსეთის პროკურატურამ.

- ანუ რუსეთმა ამის გამო გადასცა ინტერპოლს. მაშინ ჩვენი ხელისუფლება რა შუაშია?

- ჩვენმა ხელისუფლებამ რუსეთს გადასცა გიას ყველანაირი მონაცემები, რაც იყო ქვეყნის შიგნით. რაც კი

საიდუმლო მონაცემი იყო, ყველაფერი დაგვხვდა მოსკოვიდან გადმოგზავნილ გიას საქმეში.

- შეიძლება, ეს სულაც არ იყოს ხელისუფლების ბრალი, რადგანაც რუსეთს თავისი აგენტურა ეყოლება საქართველოში და შესაძლოა, სწორედ მათი საშუალებით მოხდა ამ მასალების გადაცემა...

- ეს თვითონ უნდა გაარკვიონ, ჩემთვის უკვე სულერთია. ძალიან დიდი შეცდომა დაუშვეს. სულ ცოტა, უნდა გაეფრთხილებინათ მაინც, თუ ინტერპოლით იძებნებოდა. რაც გააკეთეს, იმას ველარ გამასწორებენ.

- გია გამართლდა და ისე გაათავისუფლდა, ხომ?

- დიახ, გაამართლეს. მისი საქმე ხუთჯერ გადაგზავნეს მოსკოვში მტკიცებულების გადმოგზავნის თაობაზე. თუკი მტკიცებულებები იქნებოდა, გიას გადაგზავნიდნენ. ხუთჯერვე მოუვიდათ უარი. მაშინ უკრაინის მხარემ ასეთი რამ შესთავაზა - თქვენს ჩამოყვანას უზრუნველყოფთ და აქ დაკითხეთო.

ამაზეც უარი თქვეს. საქმე დაიხურა. პროკურატურამ მოგვცა საბუთი, რომ გიას დაკავება არ შეეძლოთ არც უკრაინის შიგნით და არც მის საზღვრებზე. თავისუფლად შეეძლო გადაადგილება. ასევე, უკრაინის ჯართან მას კონტრაქტი ჰქონდა დადებული, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ინტერპოლით ძებნა მოხსნილი იყო. ეს უნდა გაეკეთებინა ქართულ მხარეს, სახალხო დამცველს და პრეზიდენტს, რომლებმაც რატომღაც უარი თქვეს. გია რომ ძებნაში არ ყოფილიყო, უკრაინა აგზავნიდა მას ისრაელში ან ამერიკაში თავისივე ხარჯებით. რადას დეპუტატები თავლებში უდგებოდნენ, მაგრამ ისრაელმა ვერ დაარღვია კანონი ინტერპოლის წინაშე.

- ავად როდის გახდა?

- 2017 წლის ოქტომბერში და ერთ წელიწადში კიდევ კარდაიცვალა ლიმფომით. მსხვილუჯრედოვანი ლიმფომა ჰქონდა, რომელიც კარგად იკურნება, თავისუფლად შეიძლებოდა მისი გადარჩენა.

- ახლა რითი ცხოვრობთ, თქვენ მუშაობთ?

- არა, მე არ ვმუშაობ, რაც გია გაუშვეს, აღარც მე მიღებდნენ სამსახურში. ახლა ჯერ-ჯერობით დედასთან ვცხოვრობთ გორში. დევნილთა სამინისტროში რამდენი ხანია, დატოვებული გვაქვს განცხადება ბინის თაობაზე და არაფერი ჩანს. მე სერბილს ნამდვილად ვერ დავინწყებ, არ მაქვს იმის თავი, რომ ვილაცას ვეხვეწო.

ძვირფასო მოქალაქეებო!



1992-1993 წლებში, აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებების დროს უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანების მოძიების პროგრამის ფარგლებში, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ახორციელებს სამარხების შესწავლას.

მოძიებული ნეშტების ამოცნობის ხელშეწყობის მიზნით, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, თუკი ფლობთ რაიმე სახის ინფორმაციას სავარაუდო სამარხების ან/და უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების შესახებ. ნებისმიერი, თუნდაც მცირე ინფორმაცია, შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

ჩვენთვის მონოდებული ნებისმიერი ინფორმაცია გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ ამ ჰუმანიტარული პროგრამის ფარგლებში. ჩვენ არ ვასაჯაროებთ წყაროს პირად მონაცემებს.


საკონტაქტო პირები:
ანნა გოგობია 557 14 14 15;
მზია ანთაშვილი 591 601 732;
 წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგაცია:
 თბილისი, მოსაშვილის ქ. N24; ტელ: (995 32) 2 35 55 10
 ზუგდიდი, თაბუკაშვილის ქ. N28; ტელ: (995 415) 22 04 93 / 25 01 72
 წინასწარ გიხდით მადლობას თანადგომისათვის.

ძვირფასო ვებარანებო! 1992-1993 წლებში, აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებების დროს უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანების მოძიების პროგრამის ფარგლებში, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ახორციელებს აგუძერას საავადმყოფოს ეზოში არსებული სამარხის შესწავლას. იქ დაკრძალული ადამიანების ნეშტების ამოცნობის ხელშეწყობის მიზნით, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, თუკი ფლობთ რაიმე სახის ინფორმაციას აღნიშნულ სამარხთან დაკავშირებით. ნებისმიერი, თუნდაც მცირე ინფორმაცია, შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

საკონტაქტო პირი: ანნა გოგობია.

ტელ: (032) 235 55 10; 557 14 14 15;
 ჩვენთვის მონოდებული ნებისმიერი ინფორმაცია გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ ამ ჰუმანიტარული პროგრამის ფარგლებში. ჩვენ არ ვასაჯაროებთ წყაროს პირად მონაცემებს.
 წინასწარ გიხდით მადლობას თანადგომისათვის.

ვატივისცემით წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი.



საზოგადოების დაკვეთით, ძალიან მალე დღის სინათლეს იხილავს ჟურნალისტ ზაირა მიქაძაძის წიგნი - „ენგურს გაღმა საქართველო“. ქართველი ჟურნალისტი, რომელიც აშუქებდა აფხაზეთის ომს, ომის შემდეგ ცდილობს, კვლავ მოხვდეს აფხაზეთში. 21 წლის შემდეგ იქაური ქართველის დახმარებით, რომელსაც აფხაზები „ოქროს კაცს“ ეძახიან, იგი ახერხებს, გადავიდეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ხუთდღიანი მოგზაურობის დროს შემოივლის გალის, ოჩამჩირის, ტყვარჩელის, გულრიფშის რაიონის სოფლებს; სოხუმს, გუდაუთას, გაგრას... შეხვდება აფხაზებს. ისმენს მათ მოსაზრებებს. დადის გავერანებულ, გაპარტახებულ და უკაცრიელ ადგილებში. იღებს ფოტოებს, ხოლო საღამოს, მძიმე შთაბეჭდილებების ქვეშ მყოფი, წერს დღიურებს, სადაც იგი დაწვრილებით აღწერს ნანახს და მოსმენილს. ომის ჟურნალისტი ხვდება იმ აფხაზებსაც, რომლებიც აფხაზეთის ომში ქართველების წინააღმდეგ იბრძოდნენ. დღეს მათ ქართველები ენატრებათ, ისევე, როგორც ქართველებს ენატრებათ აფხაზები. ნაწარმოებს ლაიტმოტივად მიჰყვება აზრი: „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“.



ქართველისთვის.

ჩოხებით ასევე ნათლავენ. შემდეგ ცეკვაზე დადიან. შემდეგ ცოლიც ჩოხაში მოყავთ.

მინდა, იმედი ვიქონიო, რომ ეროვნული სამოსის მიმართ სიყვარული დროებითი არ იქნება და ასე გაგრძელდება.

რა თქმა უნდა, მისი ყიდვის საშუალება ყველას არ აქვს, მაგრამ ეს მაინც ვერ უშლის ხელს საზოგადოებას ეროვნული სამოსი ატაროს, ამიტომ არის ჩოხის ქირაობის სერვისიც.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ სერვისით სარგებლობს ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი. ძირითადად, ახალგაზრდები. ეროვნული სამოსის პოპულარიზაციის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ჩოხოსნებს, რომლებიც ქუჩაში დადიან ქართული სამოსით.

ჩოხა ჩვენმა მამა-პაპამ შექმნა და აქედან გამომდინარე, ის ჩვენი ეროვნული საგანძურია და მას მოფრთხილება სჭირდება.

ჩოხა

ქართული ეროვნული სამოსის კერვით ბავშობიდან ვარ დაკავებული. ძირითადად, 1990 წლიდან. მახსოვს, დედა კერავდა ჩოხებს და მე და ჩემი და ვეხმარებოდით.

შემდეგ ექვს წლიანი პაუზა მქონდა, რადგანაც საქართველოში არ ვცხოვრობდი. 2005 წლიდან კი ისევ შევუდექი ქართული სამოსის კერვას.

თავიდან, ძირითადად, ცეკვის და სიმღერის ანსამბლებს ვუკერავდით.

შემდეგ კი ნელ-ნელა საზოგადოებამაც დაინწყო ჩოხის ჩაცმა. ძალიან მიხარია, რომ დღეს ახალშობილსაც აცმევენ და ისე გამოყავთ სამშობიაროდან. ანუ პირველი სამოსი ჩოხაა

წუგზარ კვანტალიანი





დუგლაძეების ღვინის კომპანია გილოცავთ შობა-ახალ წელს

დუგლაძეების ღვინის კომპანია წარმოადგენს ინტეგრირებულ საწარმოს სრული საწარმოო ციკლით, რომელიც ღვინოს, ღვინის ბრენდის, ცქრიალა ღვინოს და ჭაჭას აწარმოებს. კომპანია ყოველთვის ორიენტირებულია ხარისხიანი პროდუქციის წარმოებაზე, რასაც ადასტურებს მის მიერ სხვადასხვა ღონისძიებაზე მოპოვებული მედლები და დიპლომები.



ISSN 1987-5428



9 771987 542005

რედაქციისათვის:

ქრნალ „მეხიროვნე“ რედაქცია მადლოგან უხდის იმ ადამიანებს, რომელთა დანებარებითაც ქრნალმა გამოსსლება შექლო. კვლავაც ჩვენი მკითხველისა და სოზომადლოგნის მხარდაჭერის იმედი გვაქვს. თქვენ მიერ გადაბული თითოეული თეთრი ქრნალ „მეხიროვნე“ არსებოგნის საშუალებას მისცემს. მიმღები: ააიზ შეიარაღებული ქალების მხარდაჭერისთვის საქართველოს ბანკი, ანგარიშის ნომერი: **GE93BG0000000809717500**

შემოსული თანხის ნაწილი მხარდაბა საქველმოქმედო საქმიანოგანს.



ავტორი გოგი ცაგარელი